№2 2011

მასწავლებელი

გაკვეთილის გეგმა

XXI საუკუნის უნარები

სასკოლო გარემო

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შეძენის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი“ ბანკის
კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:
202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ, ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
დ. უზნაძის ქ. №52
ტელ: 438621

ცენტრის გამოცემების შეძენა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009“ წიგნის მაღაზიაში, ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43 ტელ.: 96 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე
სახელმძღვანელო
სკოლის
დირექტორებისთვის

სტატიები განათლების
საკითხებზე

მასწავლებელთა
დამხმარე
სახელმძღვანელო სამ
ნაწილად

1. განვითარებისა და
   სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და
   პროფესიული გარემო

ჟურნალი
„მასწავლებელი“

კითხვის ეფექტური
მეთოდები
სასწავლო მეთოდური
ფილმი (DVD) და მისი
გზამკვლევი

დაწყებითი საფეხურის
მასწავლებლის მეთოდური
გზამკვლევი

მასწავლებლისა და
სკოლის დირექტორის
ეთიკის კოდექსები და
მოსწავლის ქცევის
კოდექსი

რედაქტორისგან

საქართველოს სახელმწიფომ, მასწავლებლის პროფესია რეგულირებადი გახადა. ამით მან ხელი შეუწყო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას და ცდილობს მასწავლებელი საკუთარი შედეგების მიხედვით დაფასდეს.

მასწავლებლების პროფესიული მომზადების პარალელურად აუცილებელია, მომავალ თაობას გაუჩნდეს სურვილი, რომ თვითონაც გახდეს მასწავლებელი.

ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ იმაზე, როგორ დავამკვიდროდ განათლება როგორც ღირებულება და აუცილებლობა და რომ, განათლების მიღება ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

ჩვენ ასევე ხშირად ვსაუბრობთ რეფორმის სტრატეგიაზე, რომელმაც უნდა განავითაროს სკოლები, მეცნიერებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობაზე და იმაზე, როგორ ავუწყოთ თანამედროვე დინამიკას ფეხი. ჩვენ ყოველდღიურად უნდა ვეზიარებოდეთ ახალ ცოდნას და გამოცდილებას. სკოლამ და მასწალებელმა საზოგადოებას განათლებაზე და ცოდნაზე ორიენტირებული თანამედროვე ადამიანი უნდა შესთავაზოს.

ჟურნალი „მასწავლებელი“, რომელიც სამი წლის გახდა, ცდილობს ამ პროცესის ხელშემწყობი იყოს. ჟურნალის ამ ნომერში გესაუბრებით საგაკვეთილო გეგემაზე, რომელიც მასწავლებ-ლის ერთ-ერთი მთავარი გზამკვლევია, 21-ე საუკუნის უნარებზე, რომ ჩვენი მოსწავლეები გავხადოთ გლობალური ციფრული სამყაროს ბინადარი, გეოგრაფიის საწავლების პრობლემებზე, იმაზე, თუ რატომაა სინგაპურის მთავარი რესურსი ადამიანი და მისი განათლება, რატომ უნდა ვასწავლიდეთ კულტურულ ტრადიციებს სკოლაში, როგორ ვემსახუროთ ცოდნის გადაცემას და გავრცელებას და როგორ შევუქმნათ მოსწავლეებს სასურველი გარემო სკოლაში.

თუმცა, ამ ყველაფრის განხორციელება მას-წავლებლის თანამომონაწილეობის გარეშე ეს შეუძლებელია. ამიტომ, ტრადიციულად მოგმართავთ, ვითანამშრომლოთ და ერთმანეთისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გავხედეთ.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N2(14),2011

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** მაია მენაბდე.

ნომერზე მუშაობდნენ: თეო ნეფარიძე, მალხაზ ხარბედია, მანანა რატიანი, ანა ჯანელიძე, მერაბ ლაბაძე, ირაკლი კაკაბაძე, ქეთო ნინიძე, გია ალიბეგაშვილი, მაია უთურგაიძე, გიორგი ლაცაბიძე, თეა შავერდაშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, ირმა კახურაშვილი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, 0102 დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 43 86 22, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

თეო ნეფარიძე

5 **საგაკვეთილო პროცესი და მისი დაგეგმვა**

გაკვეთილის გეგმა სამოგზაურო გზამკვლევს ჰგავს, რომელიც მასწავლებელს ეხმარება, ორგანიზებულად უხელმძღვანელოს საგაკვეთილო პროცესს.

მერაბ ლაბაძე

9 **სკოლა და XXI საუკუნის უნარები**

მასწავლებლის მიერ ამ საკითხების განხილვა და საკუთარი მიდგომის გამომუშავება, საერთო ჯამში, სასარგებლო იქნება თანამედროვე ქართველი მოსწავლისათვის, რომელიც სულ უფრო მეტად ხდება გლობალური ციფრული სამყაროს ბინადარი.

პრობლემა

მანანა რატიანი

13 **სტერეოტიპები და სირთულეები გეოგრაფიის სწავლებაში**

მოზარდის აღზრდაში გეოგრაფიის როლი მნიშვნელოვანია. ჩვენი მოვალეობაა, მოსწავლეებს ვასწავლოთ აზროვნება, რათა მათ შეძლონ იცხოვრონ სწრაფად ცვალებად სამყაროში და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები.

ანა ჯანელიძე

25 **ინკლუზიური განათლება და მასწავლებელი**

ინკლუზიური განათლების დანერგვის საწყის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა დამოკიდებულებასა და მათ მზაობას, სხვა ბავშვებთან ერთად ასწავლონ სსსმ ბავშვებს.

მოსაზრება

ქეთო ნინიძე

21 **თანამედროვე სამოქალაქო ფასეულობები ქართული ლიტერატურული გამოცდილების მაგალითზე**

ქართული ენისა და ლიტერატურის საგანში სავალდებულო ნაწარმოებების ახალი ნუსხა შემუშავდა. გვაქვს მზაობა იმისა, რომ სკოლამ გადააფასოს უსარგებლო შეხედულებები და მიდგომები, განავითაროს ახალი პერსპექტივა, საბოლოოდ კი, დაეხმაროს მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს თავისუფალ მოქალაქედ.

მრგვალი მაგიდა

ირმა კახურაშვილი

17 **სკოლა, როგორც სახლი და ყველასათვის სასურველი გარემო**

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსწავლისათვის სკოლა სასურველ გარემოდ იქცეს? რა გზით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მასწავლებელმა, სკოლის ადმინისტრაციამ და მშობელმა ყველასათვის სასურველი სასკოლო გარემო შევქმნათ?

გამოცდილება

ირაკლი კაკაბაძე

29 **სინგაპურის ერთადერთი ბუნებრივი რესურსი**

სინგაპურის მთავრობა საკუთარ მოსახლეობას ხშირად მოიხსენიებს, როგორც ერთადერთ ბუნებრივ რესურსს და ამ რესურსის მთავარ ღირებულებად განათლებას.

თეა შავერდაშვილი

54 **სერტიფიცირება – საფრანგეთის გამოცდილება**

მასწავლებელი მთელი პროფესიული ცხოვრების მანძილზე უნდა აქტიურობდეს საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების დასახვეწად.

შინაარსი

განათლება და ტრადიციები

მალხაზ ხარბედია

35 **ღვინო და განათლება თანამედროვე საქართველოში**

ბავშვებმა უნდა იცოდნენ ქართული სუფრის წეს-ჩვეულებები. რაც მთავარია, კარგი იქნება, თუ ისინი ხშირად მიიღებენ მონაწილეობას ვენახის მოვლაში, რთველსა და ღვინის დაწურვაში. ამ დროს მიღებული ინფორმაცია ბავშვს კულტურულ ადამიანად ჩამოაყალიბებს.

ინტერვიუ

ნატო ინგოროყვა

39 **ჩვენ ვემსახურებით ცოდნის გადაცემას**

ცნობილი ფიზიკოსი გიორგი დვალი, რომელიც ლუდვიგ მაქსიმილიანის, მაკ პლანკისა და ნიუ იორკის უნივერსიტეტებსა და CERN-ში მოღვაწეობს, ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმარია.

რჩევა

მაია უთურგაიძე

41 **მოსწავლეთა სწავლის უნარის დარღვევის მიზეზები**

დაწყებითი კლასებიდან საბაზო საფეხურზე გადასვლას მოსწავლეების დიდ ნაწილში თან ახლავს მოსწრების დონის დაწევა და სწავლაში პრობლემების მომატება.

გიორგი ლაცაბიძე

51 **ევროსაბჭოს რეკომენდაციები პედაგოგებს**

„პესტალოცის პროგრამის“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგები მასწავლებელთა ტრენერებისათვის. ისინი ყველა მასწავლებლისთვის საკვანძო კომპეტენციებს მიეძღვნა.

განათლების ისტორია

გია ალიბეგაშვილი

44 **შუა საუკუნეების საქართველოს საგანმანათლებლო ტრადიციები**

მწირი ცნობები მოგვეპოვება ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე, მაგრამ, შეიძლება აღდგენა იმ სასწავლო ტრადიციებისა, რომლებიც ადრე შუა საუკუნეების საგანმანათლებლო პროცესს შეადგენდა.

პროფესიული განათლება

ბელა ჩეკურიშვილი

48 **პროფესია და არჩევანი**

პრიორიტეტულ პროფესიებს სამომხმარებლო ბაზარი განსაზღვრავს. ბოლო წლებში რამდენიმე ახალი პროფესია გამოიკვეთა, რომელთა მიღება დაინტერესებულ ახალგაზრდებს უკვე თბილისის პროფესიულ სასწავლებლებში შეუძლიათ.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი

> 21-ე საუკუნის მასწავლებელი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ თანამედროვე, განსხვავებული შესაძლებლობებისა და ღირებულებების მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები და მოლოდინები დააკმაყოფილოს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, განათლების სისტემის სრულყოფისა და დახვეწის მიზნით, უწყვეტი რეფორმების პროცესშია. რეფორმები მრავალმხრივია, შედეგები კი შედარებით გვიან გამოჩნდება. ცხადია, სახელმწიფო და სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გვქონდეს საუკეთესო სკოლა, გვყავდეს პროფესიონალი მასწავლებელი და მოსწავლეს სკოლიდან მოჰქონდეს ცოდნა და ის უნარები, რომლებიც მას დასჭირდება და გამოადგება მომავალში. მინდა, რეფორმის რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე გესაუბროთ.

მასწავლებლები და დირექტორები სერტიფიცირებისთვის, ხოლო მე-12 კლასის მოსწავლეები გამოსაშვები გამოცდებისთვის ემზადებიან. პირველად საქართველოში, საატესტატო გამოცდები CAT-ის სისტემით ჩატარდება. ახალ სისტემასა და ტესტური დავალებების ნიმუშებს მოსწავლეები და მასწავლებლები პრეტესტის საშუალებით უკვე გაეცნენ.

ზოგადი განათლების ხარისხის გაზრდის მიზნით, 2011 წლიდან ყველა საჯარო და კერძო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები 8 ძირითად საგანში საატესტატო გამოცდებს მსოფლიოში აღიარებული CAT-ის სისტემით ჩააბარებენ. თითოეულ საგანში გამოცდა ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას ერთიან ქსელში ჩართული რამდენიმე ათასი ვიდეოთვალი გააკონტროლებს.

საგამოცდო საკითხების ბაზა, სირთულის დონის მიხედვით, 7-10 კატეგორიად იყოფა. საგამოცდო პროცესის დასაწყისში მოსწავლეს საშუალო სირთულის კითხვები მე-4 და მე-5 კატეგორიიდან მიეცემა. გაცემული პასუხების საფუძველზე, პროგრამა ცოდნის დონეს შეაფასებს და გადაწყვეტს, თუ რომელი კატეგორიიდან მისცეს მოსწავლეს მომდევნო საკითხი. საგამოცდო პროცესი დასრულდება მაშინ, როდესაც პროგრამა დაადგენს, რომ მოსწავლის მიერ გარკვეული სირთულის შეკითხვებზე სწორად გაცემულმა პასუხებმა სტაბილური ხასიათი მიიღო და შემთხვევით სწორად გაცემული პასუხების ალბათობა მინიმუმამდეა დასული.

თუ მოსწავლე რომელიმე საგანში ჩაიჭრება, მას სხვა საგნებში გადალახული კომპეტენციის ზღვარი შეუნარჩუნდება. მომავალ წელს ის მხოლოდ იმ საგანს ჩააბარებს, რაშიც ჩაიჭრა.

საატესტატო გამოცდები ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ერთადერთი პირობა არ არის. ამიტომ, მუშაობა კომპლექსურად მიმდინარეობს ყველა მიმართულებით: შეიცვალა სასწავლო პროცესის ორგანიზება; სკოლებში დისციპლინა დამყარდა; ამოქმედდა შეფასების ახალი სისტემა; საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში ხდება მოსწავლეთა წახალისება;

მასწავლებელთა და დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, არაერთი პროექტი ხორციელდება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება სკოლის დირექტორის კვალიფიციურობასა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, სამინისტრომ სკოლის დირექტორების შესარჩევი კონკურსი ჩაატარა. მომავალ დირექტორებს ცოდნის გამოვლენა ყველა იმ მიმართულებით მოეთხოვებათ, რაც აუცილებელია სკოლის მართვისთვის: საკანონმდებლო ბაზა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, სკოლის ფინანსური მართვა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და ა.შ. ამ კონკურსით სამინისტროს იმ პროფესიონალი კადრების გამოვლენა სურს, რომლებიც სკოლის განვითარებასა და თანამედროვე სტანდარტებით ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ.

პრეზიდენტის ინიციატივით, 2011 წლიდან სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ, დამატებითი გამოცდა ჩააბარონ კომპიუტერისა და ინგლისური ენის მინიმალურ ცოდნაში. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მათი ხელფასი კიდევ 200 ლარით გაიზრდება. იმ პედაგოგების 25%-ს კი, რომლებიც ორივე სასერტიფიკაციო გამოცდაზე ყველაზე მაღალ ქულებს დააგროვებენ, ხელფასი 1000 ლარამდე გაეზრდებათ.

21-ე საუკუნის მასწავლებელი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ თანამედროვე, განსხვავებული შესაძლებლობებისა და ღირებულებების მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები და მოლოდინები დააკმაყოფილოს.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ, ისევ შევხვდებით ჟურნალ „მასწავლებლის“ შემდეგ ნომერში.

საგაკვეთილო პროცესი და მისი დაგეგმვა

სწავლა ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შეხედულებების შეძენა და განვითარებაა. ადამიანი როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში სწავლობს. არაფორმალურ გარემოში სწავლა გარემოსთან ინტერაქციის შედეგია და შესაბამისად, უწყვეტი პროცესია, რომელიც აზროვნებას, შეგრძნებას, პრაქტიკულ განხორციელებას მოიცავს და საბოლოოდ, განვითარებასა და დადებით ცვლილებაზეა ორიენტირებული.

თეო ნეფარიძე

ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში სწავლას შორის უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ არაფორმალურ გარემოში სწავლის პროცესი დაუგეგმავად და სპონტანურად მიმდინარეობს, ფორმალურ გარემოში კი – ყოველთვის კონკრეტული სტრატეგიისა და გეგმის მიხედვით. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ ფორმალურ გარემოში სწავლის ერთ-ერთი უმთავრეს ფორმას – საგაკვეთილო პროცესს და მისი დაგეგმვის მეთოდიკას.

გაკვეთილის გეგმა სამოგზაურო გზამკვლევს ჰგავს, რომელიც მასწავლებელს ეხმარება, ორგანიზებულად უხელმძღვანელოს საგაკვეთილო პროცესს.

რატომ არის მნიშვნელოვანი დაგეგმვა?

გაკვეთილის გეგმის მომზადების შემდეგ მასწავლებელს მეტი შესაძლებლობა აქვს, გააკონტროლოს საგაკვეთილო პროცესის ყველა დეტალი. გაკვეთილის დაგეგმვის დროს მას შეუძლია წინასწარ შეაფასოს, რამდენად შეესაბამება გაკვეთილის თემა და აქტივობები მოსწავლეების დონეს და საჭიროებებს, განსაზღვროს პოტენციური სირთულეები და მათი დაძლევის გზები, გაკვეთილის მიმდინარეობის დროს ყურადღება ინდივიდუალურად დაუთმოს მოსწავლეებს, ხოლო გაკვეთილის დასრულების შემდეგ ზუსტი პასუხები გასცეს მათ შეკითხვებს. გაკვეთილის გეგმის დახმარებით, როგორც მასწავლებელი, ისე მოსწავლეები მიზნის მისაღწევად სისტემურად და თანმიმდევრულად მუშაობენ. მასწავლებელი უფრო თავდაჯერებულად გამოიყურება და მოსწავლეს მეტი პატივისცემა უჩნდება მის მიმართ. გარდა ამისა, მოზარდები აცნობიერებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის განცდა ნებისმიერი საქმის წარმატებით შესასრულებლად. შესაბამისად, მათაც უვითარდებთ ეს უმნიშვნელოვანესი უნარ-ჩვევები. გაკვეთილის დაგეგმვა, ზოგადად, პროფესიონალიზმის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.

გაკვეთილის დაგეგმვის პრინციპები

სწავლისა და სწავლების თეორიებში გაკვეთილის დაგეგმვის რამდენიმე მიდგომა განიხილება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს გამოვყოფთ და განვიხილავთ.

გაკვეთილის ეფექტურად დაგეგმვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია მრავალგვარი ინტელექტის გათვალისწინება. იდეალურ შემთხვევაში, გაკვეთილი ისე უნდა დაიგეგმოს,

„გაკვეთილის გეგმა სამოგზაურო გზამკვლევს ჰგავს, რომელიც მასწავლებელს ეხმარება, ორგანიზებულად უხელმძღვანელოს საგაკვეთილო პროცესს.“

რომ ყველა ტიპის შემსწავლელები დააინტერესოს. ამდენად, გაკვეთილის აქტივობები უნდა იყოს თანმიმდევრული, სირთულის მიხედვით მარტივიდან რთულისკენ გარდამავალი, სმენითი, კინესტეტიკური, ვიზუალური და ანალიტიკური შემსწავლელების საჭიროებების შესაბამისი.

გაკვეთილი უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ სტანდარტებს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში დადგენილ საგნობრივ სტანდარტებთან გაკვეთილის მიზნების თანხვედრა ეფექტური სწავლების აუცილებელი პირობაა. საგნობრივი კომპეტენციის გარდა, მასწავლებელმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს ეროვნული სასწავლო გეგმა, რათა სასწავლო პროცესი ლოგიკურად და მიზანმიმართულად დაგეგმოს.

გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველა მოსწავლეს გაკვეთილში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს. მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო პროცესი საინტერესო და სახალისო უნდა იყოს, თანაც გარკვეულწილად სირთულეებსაც უნდა შეიცავდეს, რათა მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების განვითარებაში დაეხმაროს.

გაკვეთილის შინაარსობრივი მხარე და ფორმატი მრავალფეროვანი უნდა იყოს. მასწავლებელმა, შეძლებისდაგვარად, განსხვავებული რესურსები უნდა გამოიყენოს. მხოლოდ სახელმძღვანელოზე მუშაობა მოსწავლეებისთვის მოსაწყენი ხდება, ამიტომ საგაკვეთილო პროცესში ჩართული უნდა იყოს ისეთი საშუალებები, როგორიცაა ინტერდისციპლინარული ასოციაციების გამოყენება, თამაშები და ინტერაქტიური აქტივობები, ტექნოლოგიები, საველე გასვლები, ვიზუალური დამხმარე მასალები და ა.შ.

გაკვეთილის დაგეგმვისას აუცილებლად უნდა განისაზღვროს ტესტირებისა და შეფასების ფორმა და შინაარსი. გაკვეთილის შედეგების შეფასება უნდა განხორციელდეს ზუსტ, გაზომვად და რეალისტურ მიზნებთან მიმართებაში.

დაგეგმვისას პედაგოგმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემსწავლელთა ასაკი, მათი ინტერესები და საჭიროებები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაძლოა, ერთი და

„გაკვეთილი უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ სტანდარტებს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში დადგენილ საგნობრივ სტანდარტებთან გაკვეთილის მიზნების თანხვედრა ეფექტური სწავლების აუცილებელი პირობაა.“

იმავე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს განსხვავებული გამოცდილება და ცოდნა ჰქონდეთ, ამდენად, სასწავლო ღონისძიებების გატარებამდე, აუცილებელია, მასწავლებელმა წინასწარ შეისწავლოს კონკრეტული ჯგუფის წევრების საბაზისო ცოდნა და გამოცდილება.

და ბოლოს, გაკვეთილს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული გამოყენება. გაკვეთილზე მიღებული ინფორმაცია გამოსადეგი უნდა იყოს პირადი, სოციალური, კულტურული ან გლობალური თვალსაზრისით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვისა, მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესი მოქნილად და თანმიმდევრულად უნდა მართოს. აქტივობების თანმიმდევრულობა და მათ შორის ლოგიკური ბმები გაკვეთილის წარმატების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მოქნილობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელი ერთი და იმავე სასწავლო მეთოდების ჩარჩოებში არ უნდა

მოექცეს და სხვადასხვა სასწავლო ტექნიკას უნდა იყენებდეს. მრავალფეროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას სწავლებისა და სწავლის თანამედროვე თეორიაში ეკლექტიციზმის სახელით მოიხსენიებენ.

გაკვეთილის დაგეგმვის ფაზები და გეგმის სტრუქტურა

გაკვეთილის დაგეგმვა, პირობითად, სამ ფაზად შეგვიძლია დავყოთ:

- **მომზადება გაკვეთილის დაგეგმვისთვის;**
- **გაკვეთილის დაგეგმვა და განხორციელება;**
- **გაკვეთილის შემდგომი ღონისძიებები, შეფასება და ცვლილებების შეტანა.**

მოსამზადებელ ფაზაში მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსწავლეების ცოდნის დონე და გაკვეთილის მიზნები. შემდეგ მან უნდა შეიმუშაოს ის სტრატეგიები და მეთოდები, რომლებითაც მოსწავლეებს უკეთ დაეხმარება სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს შესაბამისი საკლასო აქტივობები და დავალებები, საჭირო მასალები, ჯგუფთან მუშაობის ფორმა და აქტივობების ტიპები, დროის მართვის პრინციპები.

გაკვეთილის დაგეგმვისა და განხორციელების ფაზაში, პირველ რიგში, შეირჩევა გაკვეთილის ფორმატი. გაკვეთილის გეგმის ყველაზე გავრცელებული ორი ტიპია: 4MAT (იგივე ოთხგანზომილებიანი გაკვეთილი) და PPP (პპპ მოდელი – პრეზენტაცია, პრაქტიკა, პროდუქცია). გაკვეთილის გეგმის 4MAT მოდელი ორიენტირებულია ყველა ტიპის შემსწავლელის (თეორეტიკოსი, ანალიტიკოსი, პრაგმატიკოსი, აქტივისტი) საჭიროებების გათვალისწინებასა და დაკმაყოფილებაზე. PPP-მოდელი საგაკვეთილო პროცესზე აკეთებს აქცენტს და გულისხმობს პრეზენტაცია-პრაქტიკა-პროდუქციის განუყოფელობას. გაკვეთილის ფორმატის განსაზღვრის შემდეგ, ამავე ფაზაში, განისაზღვრება სტრუქტურა და გაიწერება გაკვეთილის გეგმა, რომელიც შემდეგ გზამკვლევად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში.

ბოლო, მესამე ფაზაში მასწავლებელი მოსწავლეების გამოკითხვისა და თავისი დაკვირვების საფუძველზე აფასებს გაკვეთილს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს გაკვეთილის გაუმჯობესების მიზნით.

გაკვეთილის გეგმის სტრუქტურა

სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა სკოლა გაკვეთილის გეგმის სხვადასხვაგვარ სტრუქტურას გვთავაზობს. არსებობს გაკვეთილის ვრცელი ან მოკლე სტრუქტურა, ისევე როგორც გაკვეთილის გეგმის თითოეული კომპონენტის დეტალურად ან ლაკონურად ჩამოყალიბებაა შესაძლებელი. არჩევანს აკეთებს მასწავლებელი, თავისი გამოცდილებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ოთხგანზომილებიანი გაკვეთილის გეგმა, რომელიც ამერიკელი თეორეტიკოსის, დევიდ კოლბის გამოცდილებითი სწავლის მოდელს ეფუძნება, გულისხმობს შემსწავლელთა კონკრეტულ გამოცდილებაში ჩართვას, მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდებას, პრაქტიკის შესაძლებლობის უზრუნველყოფას და მიღებული ინფორმაციის გაანალიზება/გადაფასებას.

პრეზენტაცია, პრაქტიკა, პროდუქციის მოდელზე აგებული საგაკვეთილო გეგმა კი, ჩვეულებრივ, შემდეგი ხუთი კომპონენტისგან შედგება:

- **სათაური/გაკვეთილის თემა**
- **მიზნები და ამოცანები**
- **პროცედურა/აქტივობები**
- **მასალები/რესურსები**
- **შეფასება**

გაკვეთილის თემა ისე უნდა განისაზღვროს სათაურის სახით, რომ გაკვეთილის შინაარსის შესახებ ზოგადი წარმოდგენა შეგვიქმნას. სათაური იმაზეც უნდა მიგვანიშნებდეს, თუ რა მასალებს გამოვიყენებთ გაკვეთილზე. მაგალითად, ლიტერატურის გაკვეთილის სათაური ნათლად უნდა გვაჩვენებდეს, პროზაული ნაწარმოები იქნება განხილული თუ პოეზიის ნიმუში, თავისუფალ კომპოზიციაზე იმუშავებენ მოსწავლეები თუ ლიტერატურულ კრიტიკაში ჩაებმებიან.

გაკვეთილის მიზნები და ამოცანები იმ შედეგებს აღწერს, რომლებიც გაკვეთილის ბოლოს მიიღწევა. ეს მიზნები და ამოცანები ეროვნული სასწავლო გეგმით დაწესებული სტანდარტებიდან და ინდიკატორებიდან მომდინარეობს. ამოცანები სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური უნდა იყოს. ზუსტად უნდა განისაზღვროს, რა კონკრეტულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ მოსწავლეები გაკვეთილზე. ამოცანის ჩამოყალიბებისას, პირველ რიგში, ვაზუსტებთ წინაპირობას (მაგ., ორი სავარჯიშოს შესრულების შედეგად, ხუთწუთიანი ლექციის მოსმენის შემდეგ, პრეზენტაციის მოსმენის შედეგად, ვიდეო მასალების გაცნობის შემდეგ და ა.შ.); წინაპირობის ჩამოყალიბების შემდეგ შევარჩევთ ზმნას (მაგ., გაანალიზება, ამოცნობა, შედარება, მსჯელობა, ჩამოთვლა და ა.შ.); ბოლოს განვსაზღვრავთ, უშუალოდ რა პროდუქტი, პროცესი ან შედეგი უნდა მივიღოთ გაკვეთილის ბოლოს (მაგ., ორი ლექციისა და სამი ექსპერიმენტის შემდეგ, მოსწავლეები დაასახელებენ მჟავების მიღების სულ მცირე ორ სხვადასხვა გზას).

გაკვეთილის გეგმაში მითითებული უნდა იყოს, რა რესურსებს გამოიყენებს მასწავლებელი (სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ვიზუალური დამხმარე მასალები, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, გრაფიკული ნახაზები).

გაკვეთილის გეგმის შემდეგი ნაწილი – პროცედურა და აქტივობები გეგმის ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანი ნაწილია. მასში დეტალურად უნდა გაიწეროს, რა მასალას ახსნის მასწავლებელი და როგორ, ინდუქციურ მეთოდს გამოიყენებს თუ დედუქციურს, აუდიო მასალას მიანიჭებს უპირატესობას თუ ვიდეო მასალას, დამხმარე სახელმძღვანელოებს მოიხმარს თუ თვალსაჩინოებებს. გაკვეთილის პროცედურის დაგეგმვისას პედაგოგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ აქტივობა შეესაბამება და მეტიც, ყველაზე ეფექტურია მოცემული მიზნების მისაღწევად. აქვე უნდა განისაზღვროს, თუ რა დრო დასჭირდება თითოეული აქტივობის განხორციელებას და რომელი აქტივობა რა ფორმატით განხორციელდება. სხვადასხვა თემატიკა ან აქტივობა სხვადასხვა სახის სასწავლო ტექნიკისა და ფორმატის გამოყენებას მოითხოვს. მაგალითად, უცხო ენის შესწავლისას, გამოთქმის შესასწავლად მოსმენისა და გამეორების მეთოდი გამოიყენება, სპეციფიკური საკომუნიკაციო დავალების შესრულების მიზნით კი უმჯობესია დიალოგი და წყვილში მუშაობა გამოვიყენოთ. როგორც აღვნიშნეთ, სასურველია აქტივობები მრავალფეროვანი ფორმატით მიმდინარეობდეს; გამოიყენებოდეს ინდივიდუალური, წყვილში, ჯგუფში და კლასთან ერთობლივი მუშაობის ტექნიკები, შეჯიბრება, წერითი და კვლევითი დავალებები და ა.შ.

გაკვეთილის ბოლო, შეფასებითი ნაწილის მეშვეობით მასწავლებელი აჯამებს იმას, თუ როგორ მიეწოდა მასალა მოსწავლეებს, როგორ აითვისეს და გაიაზრეს მათ ის, რისი შეცვლა ან გაუმჯობესებაა სასურველი სამომავლოდ. შეფასების ფორმები მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს, რადგან არასწორი შეფასებით შესაძლებელია არარეალისტური მონაცემები მიიღოს. შეფასების ფორმების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია სასწავლო

> „გაკვეთილს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული გამოყენება. გაკვეთილზე მიღებული ინფორმაცია გამოსადეგი უნდა იყოს პირადი, სოციალური, კულტურული ან გლობალური თვალსაზრისით.“

შედეგების სამი სახე: შემეცნებითი შედეგები, რომლებიც ფაქტების, თეორიებისა და კონცეფციების კონსტატაციას გულისხმობს, ფსიქომოტორული შედეგები, რომლებშიც შემსწავლელის მიერ ათვისებული ფიზიკური უნარ-ჩვევები იგულისხმება და ემოციური შედეგები, რომლებიც შეძენილ ან შეცვლილ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებზე მიანიშნებს.

ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სტრუქტურირებული და დეტალურად გაწერილი გაკვეთილის გეგმა, შესაძლოა, ერთგვარ დაბრკოლებად იქცეს, თუ მასწავლებელი მოქნილად ვერ ახერხებს გაკვეთილზე გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებას, მათზე რეაგირებასა და გაკვეთილის პროცესში ცვლილებების შეტანას. ამდენად, უნდა გვახსოვდეს, რომ გაკვეთილის გეგმა მასწავლებლისთვის გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს, რომელიც საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას მას თავისუფლებას უფრო მეტად ანიჭებს, ვიდრე შეზღუდვებს უწესებს.

სკოლა და 21-ე საუკუნის უნარები

ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მე-20 საუკუნის ბოლოდან ძირეულად შეცვალა სამუშაო და სასწავლო გარემო. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ინტერნეტის მეშვეობით თითქმის შეუზღუდავი გახდა. მასწავლებლის განკარგულებაში არა მარტო ის რესურსები აღმოჩნდა, რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესის გასამდიდრებლად სულ უფრო მრავალფეროვნად შეიძლება, არამედ ახლა მას თავად შეუძლია შექმნას ღირებული მასალა სტანდარტული პროგრამების მეშვეობით და ის ყველასათვის საზიარო გახადოს. ამ ახალ გარემოს თავისი გამოწვევები ახლავს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია შესაბამისი უნარებითა და ცოდნით მოსწავლეთა აღჭურვისათვის. ასეთ უნარებს ზოგჯერ 21-ე საუკუნის უნარებს უწოდებენ.

მერაბ ლაბაძე

საზოგადოებრივი განზომილება

ტექნოლოგიებით გამდიდრებული თანამედროვე სამყაროს სოციალური პროცესების აღწერისას გამოყოფენ რამდენიმე კონცეფციას, რომლებსაც ხშირად იყენებენ მკვლევარები თუ პრაქტიკოსები. ისინი გავლენას ახდენენ შესაბამისი უნარებისა თუ კომპეტენციების განვითარების სტრატეგიების ჩამოყალიბებაზე. ერთ-ერთი ასეთი ცნებაა ინფორმაციული საზოგადოება, სხვა სიტყვებით, საზოგადოება, სადაც მთავარი როლი ინფორმაციის მიღებას, გააზრებას, გადამუშავებას, გადაცემას და შექმნას ენიჭება. ინფორმაციული ნაკადი, რომელიც თანამედროვე მოზარდის ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება, სულ უფრო მზარდია, რაც გარკვეულწილად მოითხოვს მისი ფილტრაციის უნარს, ხოლო სასწავლო ამოცანების გადაწყვეტისას – რამდენიმე მოქმედების ერთდროულად შესრულების გაძლიერებულ უნარს. მზარდ ინფორმაციულ ნაკადებში ღირებული და საჭირო ცოდნის მოძიებისა და მიღების უნარი მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროგრამის წარმატებას.

ეკონომიკური ჭრილი

კიდევ ერთი გავრცელებული ტერმინი, რომელიც ახალ რეალობას ეხმაურება, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკაა. თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში, კონკურენციის პირობებში, ცოდნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს ის ცოდნა, რომელიც უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობებში წარმატების მისაღწევად, არა მარტო მრავალფეროვანია, ის ხშირად მოითხოვს განახლებას, ადაპტაციასა და ახალი უნარების შეძენის აუცილებლობას კარიერის სხვადასხვა ეტაპზე. სპეციფიკური პროფესიული ტრენინგები, სამეცნიერო ხარისხის მოპოვების მზარდი შესაძლებლობები გარკვეულწილად პასუხობს ინდივიდუალური კომპეტენციების მუდმივი განვითარების მოთხოვნებს. ამასთან ერთად, ვითარდება საკუთარი კარიერის დაგეგმვისა და ადაპტაციის უნარიც ინდივიდუალური თუ ჯგუფური კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

ხდება სამუშაო ადგილის ცნების ევოლუციაც: მუდმივი ინტერნეტ თუ კომუნიკაციური კავშირის არსებობის პირობებში მოქნილი სამუშაო გრაფიკი, სახლიდან მუშაობა, მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული სამუშაო პროცესი სულ უფრო ხშირი მოვლენაა ბევრ თანამედროვე ორგანიზაციაში. გუნდური მუშაობა შესაძლოა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ხორციელდებოდეს, რაც წინ წამოსწევს კომუნიკაციისა და ინტერკულტურული ურთიერთობის უნარების მნიშვნელობას.

„ციფრული სამყაროს მკვიდრი“ თაობა

ეს ტერმინი 21-ე სუკუნის მოზარდების სწავლა-სწავლებასთან მიმართებაში ხშირად გამოიყენება. ეს თაობა სულ უფრო მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი ელექტრონული საშუალებების გარემოცვაში იზრდება და მათ გამოყენებას უფრო ბუნებრივად, ორგანულად და სწრაფად ახერხებს, ვიდრე უფროსები. შესაბამისად, იმ თაობას, რომელმაც ციფრული ერის დადგომამდე მიიღო განათლება და რომელსაც

მასწავლებლები, ხშირ შემთხვევაში, განეკუთვნებიან, „ციფრულ ემიგრანტებს“ ეძახიან. „ციფრული სამყაროს მკვიდრებისათვის“ უპირატესობებთან ერთად ინფორმაციის მზარდი ნაკადები გარკვეულ პრობლემებსაც ქმნის: მაგალითად, გონებაგაფანტულობისა და ერთ საკითხზე ყურადღების გამახვილების არარსებობის საფრთხეებს.

სწავლების ახალი მეთოდების განხილვისას საინტერესოა თავად „ციფრული სამყაროს მკვიდრების“ თაობის წარმოდგენების გათვალისწინებაც სწავლასთან მიმართებაში. ისინი ხომ ხშირად ბუნებრივად ახერხებენ ტექნოლოგიებისა და ინფორმაციით გაჯერებული გარემოს გამოყენებას სასწავლო ამოცანებისთვის.

ერთ-ერთი უკანასკნელი კვლევის თანახმად:

- თანამედროვე მოსწავლეებს სურთ, გამოიყენონ ახალი საკომუნიკაციო და თანამშრომლობითი სოციალური ინსტრუმენტები ექსპერტული, პერსონიზებული ქსელების შესაქმნელად საკუთარი განათლების პროცესის მხარდასაჭერად.
- მათ სურთ შეუზღუდავი სწავლა – ისინი მხარს უჭერენ ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო გარემოს გაფართოებას საკლასო ოთახის, სკოლის, ადგილის, დაფინანსების შესაძლებლობებისა და ზოგჯერ მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩოების მიღმა.
- მოსწავლეებს სურთ, ჰქონდეთ ციფრული რესურსებით მდიდარი სასწავლო გარემო, რაც სწავლის შედეგიანობის ამაღლების მნიშვნელოვან წინაპირობად მიაჩნიათ.

განათლების როლი

სწრაფად ცვალებადი ციფრული რეალობის გამოწვევების საპასუხოდ განათლების სხვადასხვა სისტემებში ფიქრობენ იმ უნარებზე, რომელთა განვითარებაც მყარ საფუძველს ჩაუყრის მოსწავლის მიერ ღირებული ცოდნის მოპოვებას, წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას და 21-ე საუკუნის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

ევროპაში 21-ე საუკუნის უნარების განვითარება აღიარებულია ერთ-ერთ პრიორიტეტად. ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულია ციფრული და ინოვაციური უნარების განვითარების ჩარჩო დოკუმენტი და შესაბამისი ინდიკატორების სისტემა, რომელიც ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, შეიმუშაონ ციფრული უნარების განვითარების საკუთარი პოლიტიკა და შესაბამისი სამოქმედო გეგმები.

აშშ-ში ჩამოყალიბდა 21-ე საუკუნის უნარების კონცეფცია, რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა. მისი მიზანია, უზრუნველყოს მოსწავლის მზაობა ახალი საუკუნის ამოცანების განსახორციელებლად თუ გამოწვევების დასაძლევად.

21-ე საუკუნის უნარები

ძირითადი და პრიორიტეტული საგნების სწავლების გაძლიერებასთან ერთად, რაც აუცილებელი უნარების მანამდე არსებულ ტაქსონომიაშიც იყო ასახული, ამ მიდგომაში გამოყოფენ 21-ე საუკუნის უნარების სამ კატეგორიას:

- სწავლისა და ინოვაციის უნარები;
- ინფორმაციის, მედიისა და ტექნოლოგიური უნარები;
- ცხოვრებისა და კარიერის უნარები.

ამ კატეგორიებში შესული ზოგიერთი უნარ-ჩვევა მანამდეც არსებობდა; დღეს მათ ახლებური დატვირთვა მიიღეს. ზოგი ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა, თუმცა მათი ერთიანობაში განხილვა და ხელახალი გააზრება სწორედ ამ კონცეფციაში მოხდა.

აღნიშნული კონცეფცია, პირველ რიგში, 21-ე საუკუნის მოსწავლეს ეხება, თუმცა ასევე მიზანშეწონილია, ქვემოთ ჩამოთვლილი უნარები მასწავლებელმაც გააცნობიეროს და გაითავისოს: ხშირად საკუთარი მაგალითით და მონდომებით სწავლის მოტივაციის გაზრდაც არის შესაძლებელი. ამავე დროს, 21-ე საუკუნის უნარების კონცეფციის ცოდნა პროფესიული განვითარებისთვისაც სასარგებლოა, რადგან გამოკვეთს იმ მიმართულებებს, სადაც შესაძლოა, ცოდნის გაღრმავება იყოს საჭირო.

განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

სწავლისა და ინოვაციის უნარებში გამოყოფენ შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებასა და პრობლემების გადაჭრას, კომუნიკაციასა და კოლაბორაციას.

შემოქმედებითობის განვითარების კონტექსტში:

- მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ, შექმნან ახალი და ღირებული იდეები და კონცეფციები;
- ასევე, მათ უნდა გამოიმუშაონ, დახვეწონ, გააანალიზონ და შეაფასონ საკუთარი იდეები შემოქმედებითი მიღწევების გასაუმჯობესებლად;
- ისინი უნდა იყვნენ ღია და ყურადღებიანი ახალი და განსხვავებული თვალთახედვის მიმართ. მათ უნდა შეძლონ ჯგუფის წევრების შეხედულებების გათვალისწინება და გამოყენება; დავალების შესრულებისას უნდა გამოიჩინონ ორიგინალურობა და გამომგონებლობა; უნდა გაითვალისწინონ რეალური სამყაროს შესაძლებლობები და შეზღუდვები; წარუმატებლობა სწავლის გაღრმავების შესაძლებლობად უნდა მიიჩნიონ.

კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრისათვის:

- მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სხვადასხვა ტიპის არგუმენტაცია სიტუაციის შესაბამისად;

- მათ უნდა გამოიყენენონ სისტემური აზროვნება, ანუ უნდა ესმოდეთ, თუ როგორ ურთიერთქმედებენ მთლიანის ნაწილები ერთმანეთთან კომპლექსურ სისტემებში საერთო შედეგის მისაღებად;
- მათ უნდა შეძლონ სწორად შეფასება და გადაწყვეტილებების მიღება; ეფექტურად უნდა გააანალიზონ და შეაფასონ არგუმენტები, მტკიცებები და წარმოდგენები, ალტერნატიული თვალთახედვები; მოახდინონ ინფორმაციისა და არგუმენტების დაკავშირება და სინთეზირება; სხვადასხვა ტიპის პრობლემის გადაჭრა როგორც აღიარებული, ასევე ინოვაციური მეთოდებით; უნდა გამოკვეთონ მნიშვნელოვანი შეკითხვები, რომლებიც ცხადყოფენ არგუმენტებს და ხელს უწყობენ პრობლემის გადაწყვეტას.

კომუნიკაციისა და თანამშრომლობის კუთხით:

- მოსწავლეებმა ეფექტიანად უნდა გამოხატონ აზრები და იდეები ზეპირი, წერილობითი და არავერბალური კომუნიკაციის უნარებით, სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა კონტექსტში;

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში წიგნიერების მიღწევის მხრივ საგულისხმოა შემდეგი უნარები:

- ტექნოლოგიების გამოყენება ინფორმაციის კვლევის, ორგანიზებისა და ანალიზისათვის;
- სხვადასხვა ტიპის ციფრული მოწყობილობების (კომპიუტერი, მობილური, მედია პლეიერი, GPS, სხვ.), საკომუნიკაციო საშუალებების და სოციალური ქსელების გამოყენება ინფორმაციის მოპოვების, მართვის, ინტეგრირების, შეფასებისა და შექმნისათვის „ცოდნის ეკონომიკაში“ წარმატებით ფუნქციონირებისათვის.
- მოსწავლეს საფუძვლიანად უნდა ესმოდეს ისტ-ის, მედიისა და ინფორმაციის წვდომასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური და სამართლებრივი საკითხები.

ცხოვრებისა და კარიერის უნარ-ჩვევები

თანამედროვე სამუშაო და ცხოვრებისეულ კონტექსტში, გლობალური კონკურენციის პირობებში, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ შესაბამისი უნარების განვითარებას, კერძოდ:

> „სწავლების ახალი მეთოდების განხილვისას საინტერესოა თავად „ციფრული სამყაროს მკვიდრების“ თაობის წარმოდგენების გათვალისწინებაც სწავლასთან მიმართებაში. ისინი ხომ ხშირად ბუნებრივად ახერხებენ ტექნოლოგიებისა და ინფორმაციით გაჯერებული გარემოს გამოყენებას სასწავლო ამოცანებისთვის.“

- მათ უნდა შეეძლოთ ეფექტიანად მოსმენა მნიშველობის აღსაქმელად, ცოდნის, ღირებულებების, მიმართებებისა და განზრახვების განსაზღვრა და ამოცნობა;
- მათ უნდა გამოიყენონ კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით – ინფორმირებისათვის, ინსტრუქციისათვის, მოტივირებისა და დარწმუნებისათვის; უნდა მოახდინონ ეფექტიანი კომუნიკაცია განსხვავებულ, მათ შორის მრავალენოვან გარემოში.

ინფორმაციული, მედიისა და ტექნოლოგიური უნარები:

მედია უნარების კუთხით 21-ე საუკუნის მოსწავლეს:

- უნდა შეეძლოს ინფორმაციის მოპოვება ეფექტურად (დახარჯული დრო) და ეფექტიანად (წყაროები); ინფორმაციის შეფასება კრიტიკულად და კომპეტენტურად;
- უნდა შეეძლოს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ნაკადების მართვა;
- უნდა ესმოდეს როგორ, რატომ და რა მიზნებით იქმნება მედია გზავნილები; თუ როგორ შეუძლია მედიას ზეგავლენა მოახდინოს წარმოდგენებსა და ქცევაზე; ასევე უნდა ითვალისწინებდეს მედია გზავნილების განსხვავებულ ინდივიდუალურ აღქმას; უნდა შეეძლოს, თავად შექმნას მედია პროდუქტები სხვადასხვა გავრცელებული საშუალებით; ესმოდეს სხვადასხვა კულტურულ გარემოში მისაღები გამოხატვა და ინტერპრეტაციები.
- მათ უნდა შეეძლოთ ადაპტირება განსხვავებულ როლებთან, მოვალეობებთან, სამუშაო განრიგთან და კონტექსტებთან; ეფექტიანად მუშაობდნენ ცვალებად გარემოში; პოზიტიურად აღიქვამდნენ როგორც შექებას, ასევე კრიტიკას; ეფექტიანად შეეძლოთ შენიშვნების გათვალისწინება;
- მათ უნდა დასახონ მიზნები და წარმატების კრიტერიუმები; დააბალანსონ სტრატეგიული და მოკლევადიანი ამოცანები; ეფექტიანად გამოიყენონ დრო; შეძლონ დამოუკიდებლად მუშაობა, შეასრულონ დავალებები უშუალო ზედამხედველობის გარეშე; შეეძლოთ თვითორგანიზაცია; ავლენდნენ ინიციატივას აუცილებელზე მეტი ცოდნისა და უნარების მიღწევაში; ესმოდეთ სიცოცხლის მანძილზე სწავლის მნიშვნელობა; შეეძლოთ მიღებული გამოცდილების კრიტიკულად შეფასება სამომავლოდ მისი გააზრებულად გამოყენებისათვის, საკუთარი სწავლის სტილისა და მეთოდების შეფასება და გაუმჯობესება;
- ისინი უნდა იყვნენ პასუხისმგებლიანნი და პროდუქტულები;
- მათ უნდა შეეძლოთ პროექტების მართვა: შესაბამისი მიზნების დასახვა და შესრულება წინააღმდეგობის პირობებშიც კი; სამუშაოს დაგეგმვა და მართვა დასახული მიზნის მისაღწევად;
- ისინი უნდა იყვნენ თანმიმდევრულნი შედეგების მიღწევაში, კერძოდ: მართავდნენ დროსა და პროექტებს ეფექტიანად;

შეეძლოთ მრავალ ამოცანაზე ერთდროულად მუშაობა; იყვნენ აქტიურად ჩართულები და ეფექტიანად თანამშრომლობდნენ გუნდში; იყვნენ შედეგებზე პასუხისმგებლები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლიდერობის უნარის განვითარებაც. კერძოდ, მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ სხვების გასაძღოლად გამოიყენონ საკომუნიკაციო და პრობლემების გადაჭრის უნარები, ასევე დანარჩენების ძლიერი მხარეები. მათ უნდა შეძლონ საკუთარი მაგალითით სხვების მოტივირება საუკეთესო შესაძლებლობების გამოვლენაში.

მოსწავლეებში ზემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევების განვითარების საყრდენს შესაბამისი მხარდაჭერის სისტემები წარმოადგენს, სადაც მასწავლებელი მთავარ როლს თამაშობს. აი, ზოგიერთი მათგანი:

21-ე საუკუნის სტანდარტების შემუშავებისას მნიშვნელოვანია:

21-ე საუკუნის უნარებზე ფოკუსირება; საგნის არსის ღრმა გაგების ხაზგასმა ზედაპირულ ცოდნასთან საპირისპიროდ; მოსწავლეთა დაკავშირება რეალური სამყაროს მონაცემებთან, ინსტრუმენტებთან თუ ექსპერტებთან, რომლებსაც ისინი მომავალში შეხვდებიან უმაღლეს სასწავლებელში, სამუშაო ადგილებსა და ცხოვრებაში; ცოდნის დონის მრავალმხრივი შეფასება.

21-ე საუკუნის შეფასების სისტემა:

უზრუნველყოფს დაბალანსებულ შეფასებას, რომელიც მოიცავს მაღალხარისხიან ტესტირებასა და ეფექტიანი ტექნოლოგიებით გამდიდრებულ მიმდინარე თუ შემაჯამებელ საკლასო შეფასებებს; იყენებს მოსწავლეთა პორტფოლიოების სისტემას, რომელიც მათ მიერ 21-ე საუკუნის უნარების ფლობას ამოწმებს.

21-ე საუკუნის კურიკულუმი:

ფოკუსირებულია 21-ე საუკუნის უნარების გამოყენებაზე, როგორც ძირითად საგნებში, ასევე მრავალ დისციპლინურ ასპექტში; განავითარებს სწავლების ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც ახდენენ მხარდამჭერი ტექნოლოგიების, პრობლემების გადაჭრისა და საპროექტო მიდგომების ინტეგრირებას.

21-ე საუკუნის პროფესიული განვითარების სქემებში:

ხაზგასმით აღინიშნება ის გზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, ზემოთ ჩამოთვლილი უნარები, მეთოდები და სწავლების სტრატეგიები საგაკვეთილო პრაქტიკაში ჩართონ; ყურადღება ექცევა პირდაპირი ინსტრუქციის შეჯერებას პროექტზე ორიენტირებულ სწავლებასთან; ხდება მასწავლებელთა პროფესიული ქსელების აქტიური გამოყენება 21-ე საუკუნის უნარების სწავლების მეთოდების გაზიარებისა და გავრცელებისათვის; სქემები ეხმარება მასწავლებელს, განსაზღვროს მოსწავლის შემეცნების სტილი, გონებრივი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, სრულად განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები 21-ე საუკუნის უნარების სწავლებაში სხვადასხვა სტრატეგიის გამოსაყენებლად.

21-ე საუკუნის სასწავლო გარემო უზრუნველყოფს:

ხარისხიან სასწავლო ინსტრუმენტებზე, ტექნოლოგიებსა და რესურსებზე თანაბარ წვდომას; სასწავლო გამოცდილების, ადამიანური რესურსისა და ფიზიკური გარემოს მხარდაჭერას 21-ე საუკუნის უნარების სწავლა-სწავლებისათვის; მოსწავლეთა მიერ ცოდნის მიღებას თანამედროვე კონტექსტში, მაგალითად, პროექტზე დაფუძნებული სწავლითა და სხვა პრაქტიკული მეთოდების გამოყენებით; პროფესიული ქსელების განვითარებას, თანამშრომლობის გაფართოებულ შესაძლებობებს, მათ შორის საერთაშორისო კოოპერაციასა და ჩართულობას სწავლებაში.

ჩამოთვლილი უნარების განვითარებაზე აქცენტის გაკეთება ინდივიდუალურადაც არის შესაძლებელი. მთავარია, მოხდეს მათი გააზრება და საკუთარი სკოლისა თუ საკლასო ოთახის რეალობაში ადაპტირება. შესაძლოა, ზოგიერთი უნარის განვითარებისთვის მზაობა ჯერ ნაკლებად იყოს გამოხატული, თუმცა მასწავლებლის მიერ ამ საკითხების განხილვა და საკუთარი მიდგომის გამომუშავება, საერთო ჯამში, სასარგებლო იქნება თანამედროვე ქართველი მოსწავლისათვის, რომელიც სულ უფრო მეტად ხდება გლობალური ციფრული სამყაროს ბინადარი.

21-ე საუკუნის გაზრდილი მოთხოვნების საპასუხოდ და ახალი გამოწვევების წარმატებით დასაძლევად მკვლევარებსა და პრაქტიკოსებს კიდევ მრავალი აღმოჩენა ელით, რაც ჩვენს წარმოდგენებს სწავლა-სწავლების პროცესზე უფრო მრავალმხრივს გახდის. მიდგომებისა და სტრატეგიების სწრაფად და სწორად ადაპტირებაც ის მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც თანამედროვე სამყაროში ღირებული შედეგების მიღების წინაპირობაა.

სტერეოტიპები და სირთულეები გეოგრაფიის სწავლებაში

დიდი ხანია, გეოგრაფიამ სასწავლო პროცესში თავისი ადგილი დაიკავა. ის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი მეცნიერებაა, რომლის შესწავლაც მოსწავლეებს სამყაროში მიმდინარე პროცესების, მოვლენებისა და კანონზომიერებების აღქმას უადვილებს. გეოგრაფია შეისწავლის კავშირებს ადამიანს, საზოგადოებასა და გარემოს შორის, მათ დრო-სივრცით გამოვლინებებს. გეოგრაფიული წიგნიერება გლობალურად მიმდინარე პროცესების გასაგებად აუცილებელია. თუ მოსწავლეს გეოგრაფიული განათლება მიღებული აქვს, მას უკეთესად ესმის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის თანამედროვე პრობლემები, შეუძლია მათი გამომწვევი მიზეზებისა თუ შედეგების გაანალიზება.

მანანა რატიანი

მოზარდის აღზრდაში გეოგრაფიის როლი მნიშვნელოვანია. ჩვენი მოვალეობაა, მოსწავლეებს ვასწავლოთ აზროვნება, რათა მათ შეძლონ იცხოვრონ სწრაფადცვალებად სამყაროში და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები.

ბოლო დროს სასკოლო ცხოვრებაში არაერთი ცვლილება განხორციელდა. მათ შორის მთავარი, რა თქმა უნდა, ეროვნულ სასწავლო გეგმის შექმნაა, რომელმაც თავისი ხუთი ფუნდამენტური პრინციპით შეცვალა საგნებისადმი და მთლიანად სასწავლო პროცესისადმი დამოკიდებულება. ყველა მათგანი ყურადსაღებია, თუმცა ამ შემთხვევაში, მხოლოდ ორს აღვნიშნავ: 1. სწავლა არ ნიშნავს მხოლოდ ინფორმაციის შეძენას, არამედ ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების ერთობლიობას და 2. მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი. მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რა ისწავლა მოსწავლემ, არამედ როგორ ისწავლა და როგორ შეუძლია მას ამ ცოდნის მოხმარება.

აღნიშნული პრიორიტეტები მართლაც გასათვალისწინებელია. წლების მანძილზე ზოგი მასწავლებელი გაკვეთილებს გეოგრაფიული ნომენკლატურის დასწავლას ანდომებდა. რუკასთან დგომასა და ამა თუ იმ მდინარისა თუ მთის მოძებნა/ჩვენებაზე იხარჯებოდა მნიშვნელოვანი წუთები, საათები და წლებიც კი. დამკვიდრდა სწავლების მანკიერი ფორმა, რომლის დროსაც კარგი მეხსიერების მქონე მოსწავლე უფრო წარმატებული გამოდიოდა, გეოგრაფია კი მხოლოდ სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის ადგილმდებარეობამდე დაიყვანებოდა. არ შეიძლება ეს საგანი განვითარების საწყის ფაზაში დაბრუნდეს, როდესაც მას მხოლოდ ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი და აღმწერი ფუნქცია ჰქონდა. თანამედროვე გეოგრაფია მოითხოვს არა მხოლოდ ქვანახშირის საბადოების ცოდნას, არამედ იმასაც, თუ რა შედეგებამდე მივყავართ ქვანახშირის მოხმარებას (მაგ.: გლობალური კლიმატცვლილება). სახელმძღვანელოებში ზოგიერთი თემა არასწორად იყო გაშუქებული, რაც ავტორების დაუფიქრებლობას (რომ არაფერი ვთქვათ არაპროფესიონალიზმზე) შეგვიძლია მივაწეროთ.

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიები იმდენად განვითარებულია, რომ მოგზაურები კომპასის ნაცვლად გეოპოზიციონირების სისტემებს იყენებენ, რაც მარტივი, მოხერხებული და უშეცდომოა. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველანაირი ტექნიკა შესაძლებელია წყობიდან გამოვიდეს სხვადასხვა ფაქტორის გამო

„სწავლა არ ნიშნავს მხოლოდ ინფორმაციის შეძენას, არამედ ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების ერთობლიობას.“

და ამ შემთხვევაში, კვლავ შეუცვლელი ხდება ადგილზე ორიენტირება ტრადიციული მეთოდებით. შეგახსენებთ, თუ როგორ ვასწავლით უცნობ ადგილას ორიენტირებას: თუ ლაშქრობაში ვართ, გზა აგვერევა, ან სხვა რაიმე მიზეზით დავიკარგებით, სახელმძღვანელოები გვირჩევენ, გამოვიყენოთ ბუნებრივი ნიშნები. თავდაპირველად უნდა დავაკვირდეთ გარემოს და ვცადოთ, მასში აღმოვაჩინოთ ისეთი ობიექტი, რაც საშუალებას მოგვცემს, ჰორიზონტის მხარეები ამოვიცნოთ და გზა გავიკვალოთ. მაგალითად, ცალკე მდგომ ხეს ჩრდილოეთით ცოტა ტოტები აქვს, ხოლო სამხრეთით ხის ვარჯი უფრო განვითარებულია; ასევე, ქვებსა და ხეებს ხავსი უფრო ხშირად ჩრდილოეთის მხრიდან უვითარდება, გადაჭრილი ხის კუნძს კი წრიული რგოლები სამხრეთით უფრო ფართო აქვს, ვიდრე ჩრდილოეთით, ხოლო ჭიანჭველები ბუდეს ხეებისა და ქვების სამხრეთით იშენებენ და შესასვლელსაც სწორედ სამხრეთიდან უკეთებენ.

გთავაზობთ, დააკვირდეთ სურათს და მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნები გამოიტანოთ. დაადგინეთ, თითოეულ ნახატზე საით არის ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმოსავლეთი თუ დასავლეთი.

მგონია, რომ უმეტესობას იმდენად ღრმად აქვს გამჯდარი ბავშვობაში მიღებული ეს ინფორმაცია, რომ „სწორი“ პასუხის გაცემას შეხსენების გარეშეც არ დააყოვნებდა.

„მოზარდის აღზრდაში გეოგრაფიის როლი მნიშვნელოვანია. ჩვენი მოვალეობაა, მოსწავლეებს ვასწავლოთ აზროვნება, რათა მათ შეძლონ იცხოვრონ სწრაფად – ცვალებად სამყაროში და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები.“

თუმცა სინამდვილეში მდგომარეობა არც ისე ცალსახაა.

ალბათ ეს საკითხი ნაკლებად პრობლემურად გამოჩნდებოდა, ისევ ჩაკეტილ საზღვრებში რომ ვცხოვრობდეთ. ამ შემთხვევაში, იმის შანსი, რომ ეკვატორის სამხრეთით, მაგალითად, ველინგტონში ამოვჩნდებოდით და თანაც გზა აგვერეოდა, მართლაც მიზერული იქნებოდა. სამწუხაროდ, სახელმძღვანელოებში არ ეწერა, რომ ამ ბუნებრივ ორიენტირებზე ნაპოვნი ნიშნებით ჩრდილოეთ ნახევარსფეროში უშეცდომოდ მოვახერხებდით გზის გაგნებას, სამხრეთში კი ბუნებრივი ნიშნები სრულიად საპირისპირო მიმართულებებს გვიჩვენებდა. ეს საკითხი კვლავაც მოუგვარებელია, სახელმძღვანელოებში არსებული ხარვეზები კი – სასწრაფოდ აღმოსაფხვრელი. თანამედროვე მოსწავლე ცნობისმოყვარეა და მასწავლებელი უხერხულ მდგომარეობაშიც კი შეიძლება ჩააგდოს, თუ მოცემულ კითხვაზე სულ სხვა პასუხის შემთხვევაში ის დაბალ ქულას მიიღებს.

ამდენად, ავტორები ვალდებულები არიან, დაამსხვრიონ გაბატონებული სტერეოტიპები და მოსწავლეებს საინტერესო დავალებები შესთავაზონ, რათა მათ, საჭიროების შემთხვევაში, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება შეძლონ.

მაღალ საფეხურზე მოსწავლეები საზოგადოებრივ გეოგრაფიას შეისწავლიან. აქაც სხვადასხვა სახის პრობლემებია. მაგალითისათვის ქვეყნების რაოდენობა გამოდგება. რამდენი ქვეყანაა დღევანდელ მსოფლიოში? ერთი შეხედვით, უმარტივესი შეკითხვაა, რომელზეც ყველა გეოგრაფს თუ არაგეოგრაფს,



რომელსაც ოდესმე ეს საგანი უსწავლია, პასუხი უნდა ჰქონდეს (აქვე შეგახსენებთ კონტინენტების და ოკეანეების რაოდენობის საკითხებს, რაც ასევე საკამათოა პროფესიონალების წრეშიც კი). როგორ ვიქცევით ასეთ დროს? ფაქტობრივად, არ არსებობს „სწორი“ პასუხი შეკითხვაზე, თუ რამდენი ქვეყანაა დღეს მსოფლიოში.

მსოფლიოში 192 გაეროს წევრი ქვეყანაა, თუმცა გაეროს ჰყავს არაწევრი დამკვირვებლებიც: ვატიკანი, პალესტინა და მალტა. 2008 წლის ბეიჯინის (ყოფილი პეკინი) ოლიმპიადაზე მონაწილე ქვეყნების რაოდენობა კი 204 იყო. გინესის რეკორდების წიგნში 191 სუვერენული ქვეყანაა წარმოდგენილი, რასაც 65 არა-სუვერენული ტერიტორია ემატება, რაც ჯამში 256-ია. ასეთ თემებზე საუბარი გადაუმოწმებელ წყაროებზე დაყრდნობით არ შეიძლება. სანდო და სამეცნიერო წრეებში ხშირად ციტირებული წყარო „The World Factbook” ცნობებს მსოფლიოს 260 ქვეყანაზე იძლევა.

მსოფლიო ატლასი 193 ქვეყანას გამოყოფს. მათგან 53 აფრიკაშია, 44 – აზიაში, 47 – ევროპაში, 23 – ჩრდილოეთ ამერიკაში, 12 – სამხრეთ ამერიკაში, ხოლო ოკეანეთში – 14 (http://www.worldatlas.com/cntycont.htm). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების აღიარება-არ აღიარების საკითხი პოლიტიკური თემაა. მიუხედავად იმისა, რომ გაერო 192 ქვეყანას ცნობს, ამერიკის შეერთებული შტატები კოსოვოს დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარებს, ხოლო ტაივანს ჩინეთის ნაწილად მიიჩნევს. საკამათოა გრენლანდიის, დასავლეთ საჰარას, კოსოვოს და პალესტინის საკითხებიც.

აუცილებელია, სახელმძღვანელოებში განსხვავებული ფაქტები იყოს ასახული და ითქვას, რომელი უფრო სანდოა და რატომ. ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროდ გაერო უნდა მივიჩნიოთ. მისი წესების მიხედვით, ქვეყნის აღიარება ვერ მოხდება, თუ მას გაეროს 75 წევრი ქვეყანა არ აღიარებს (http://www.un.org/en/members/growth.shtml#text).

პრობლემურ საკითხად შეიძლება მივიჩნიოთ სხვადასხვა წყაროში ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი განსხვავებული ტერმინების არსებობაც, რაც მართლაც დამაბნეველია. მაგალითისათვის გამოდგება განვითარების ამსახველი ტერმინების ნაირგვარობა.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ქვეყნების განვითარების მაჩვენებლების სერიოზული შესწავლა დაიწყო, ღარიბი ქვეყნები მოიხსენიებოდნენ, როგორც „განუვითარებელი ქვეყნები“. ამ ტერმინმა დამსახურებული აღშფოთება გამოიწვია, რადგან მიუხედავად სიღარიბისა, მრავალი ქვეყანა კულტურულად მეტადაც კი იყო განვითარებული, ვიდრე ეკონომიკურად მდიდარი ზოგიერთი ქვეყანა. ამდენად, ტერმინს ჩაენაცვლა „განვითარებამდელი“, რაც არაფრით უკეთესი არ იყო და ცალსახად წარმოაჩენდა მდიდარი ქვეყნების უპირატესობას. ამის შემდეგ ტერმინი გახდა „ნაკლებად განვითარებული ქვეყნები“, რამაც ასევე უკმაყოფილება

გაეროს მიერ აღიარებული ქვეყნების რაოდენობა წლების მიხედვით (1945-2006 წწ.)



გამოიწვია. მასში თავისთავად იგულისხმება, რომ არსებობს მეტად განვითარებული ქვეყნებიც. შემდეგი მცდელობა იყო დაემკვიდრებინათ ტერმინი „განვითარებადი“, რაც ღარიბი ქვეყნებისთვის იმდენად ღირსების შემლახველი არ გახლდათ, თუმცა მან ერთგვარი ზღვარი გაავლო ქვეყნებს შორის.

1960-1970 წლებში დამკვიდრდა ახალი ტერმინი „მესამე სამყარო“. ეს ცივი ომის პერიოდის ტერმინია, როდესაც არსებობდა ორი სამყარო: კაპიტალისტური და სოციალისტური, მესამედ კი მიიჩნეოდა ყველა დანარჩენი ქვეყანა. გასაგები მიზეზების გამო, ამ ტერმინმაც დიდხანს ვერ იარსება. შემდეგ გაჩნდა გამოთქმა „ქვეყნების 2/3“, რაც ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ღარიბ ქვეყნებში მსოფლიოს მოსახლეობის 2/3-ია კონცენტრირებული. ამას

მოჰყვა ტერმინი „ადამიანური რესურსებით მდიდარი ქვეყნები“, რაც გამოკვეთდა ღარიბი ქვეყნების მნიშვნელოვნებას ადამიანურ რესურსებში. ამ ტერმინს დიდხანს არ უარსებია, რადგან საკმაოდ გრძელი დასახელება მის მოხმარებას ართულებდა. მორიგი ტერმინი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მდიდარ და ღარიბ ქვეყნებად დაყოფა იყო.

მდიდარი ჩრდილოეთი და ღარიბი სამხრეთი

ეს დაყოფა, პირველ რიგში, გეოგრაფიულ უზუსტობებს შეიცავდა: ახალი ზელანდია და ავსტრალია, ამ გამყოფი ხაზის მიხედვით, ჩრდილოეთში უნდა მოხვედრილიყვნენ, თუმცა ისინი სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობენ. უზუსტობა იყო ასევე მრავალი ქვეყნის მოქცევა სამხრეთში მათი სიღარიბის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარეობენ. ასეთია ჩინეთი, მექსიკა, პაკისტანი, ბანგლადეში და სხვა მრავალი. არ არის გასაკვირი, რომ ამ ტერმინმაც დიდხანს ვერ იარსება.

დასავლურ ლიტერატურაში განვითარების აღმნიშვნელი ტერმინები დღეისათვის ასე ჟღერს „ეკონომიკურად მეტად განვითარებული ქვეყნები“ (MEDCs – More Economically Developed Countries) და „ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნები“ (LEDCs – Less Economically Developed Countries). სწორედ ეს ტერმინები მიიჩნიეს ქვეყნებისა და მათი მოსახლეობისთვის ღირსების ნაკლებად შემლახველად. ჩვენ კი მათ კვლავ განვითარებულსა და განვითარებად ქვეყნებს ვუწოდებთ.

ამ სტატიაში ვცადეთ, აგვესახა ის სირთულეები, რომლებმაც გეოგრაფიის სწავლებისას იჩინა თავი. ეს მხოლოდ პრობლემური საკითხების ნაწილია. თუმცა მათი გააზრება და საკითხის წამოწევა საშუალებას გვაძლევს, სასწავლო პროცესს უფრო გააზრებულად მივუდგეთ, შევცვალოთ მიდგომები, დავამსხვრიოთ სტერეოტიპები, დავიწყოთ დისკუსია აკადემიურ წრეებში და გადავჭრათ დაგროვილი პრობლემები.

> „მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი. მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რა ისწავლა მოსწავლემ, არამედ როგორ ისწავლა და როგორ შეუძლია მას ამ ცოდნის მოხმარება.“



სკოლა, როგორც სახლი და ყველასათვის სასურველი გარემო

ირმა კახურაშვილი

სასურველი სასკოლო გარემო, უპირველესად, კეთილმოწყობილ სასწავლო დაწესებულებასთან ასოცირდება. თუმცა, სინამდვილეში, ყველასათვის მისაღები სკოლა ის ადგილია, სადაც მოსწავლე არა მხოლოდ უფროსი თაობისგან დაკისრებული ვალდებულებების მოსახდელად, არამედ საკუთარი სურვილით, სიამოვნებით უნდა დადიოდეს. სასკოლო გარემო – ამ მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანი თემის განხილვისათვის ჟურნალმა „მასწავლებელმა“ „მრგვალ მაგიდასთან“ განათლების ექსპერტები, მოსწავლეთათვის სასურველი სასწავლო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები და მშობლები მიიწვია.

ნატო ინგოროყვა: *რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსწავლისათვის სკოლა სასურველ გარემოდ იქცეს? რა გზით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მასწავლებელმა, სკოლის ადმინისტრაციამ და მშობელმა ყველასათვის სასურველი სასკოლო გარემო შევქმნათ?*

სოფო ლობჟანიძე: პირობითად, გარემოს, რომელშიც ბავშვი ძირითად სასკოლო დროს ატარებს, ორ ნაწილად დავყოფდი – საგაკვეთილო პროცესად და სწავლების არაფორმალურ კომპონენტად. როგორ უნდა ჩატარდეს გაკვეთილი და როგორ მოვაწყოთ ეფექტური სასწავლო გარემო – ამაზე დღეს ბევრს მსჯელობენ და უამრავი სემინარი ტარდება. თუმცა მიმაჩნია, რომ მეტი აქცენტის გადატანა გვმართებს სწავლების არაფორმალურ კომპონენტზე, რადგან მან, სრულიად დაუმსახურებლად, დღეს უკანა პლანზე გადაინაცვლა. თუ გვსურს, ბავშვს სკოლაში სიარულის მოტივაცია გავუზარდოთ, აუცილებელია, მეტი ყურადღება მივაქციოთ კლასგარეშე ღონისძიებებს. ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კვანძი თემის, მშობლების ჩართულობაა.

ელენე ფირცხალავა: სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მშობელი პასუხისმგებლობას იხსნის და ბავშვს მთლიანად სკოლას აბარებს. ათწლიანი გამოცდილება მიჩვენებს, რომ აუცილებელია მშობლებთან მასწავლებლის თანამშრომლობა. ზოგჯერ გამოდის, რომ მოსწავლეს მასწავლებელი და მშობელი სრულიად განსხვავებულ მიდგომებს სთავაზობენ და ის გაურკვეველ ვითარებაში ხვდება, რადგან მისთვის ავტორიტეტი მასწავლებელიც არის და მშობელიც. მე ყოველთვის წინასწარ ვსაზღვრავ სასკოლო საჭიროებებს. მშობელთა კრებაზე საერთო საქმიანობას ერთად განვიხილავთ, შემდეგ კი ვცდილობ, ინდივიდუალურად მივუდგე ყველა მშობელს. თუ ამას ვერ ვახერხებ, მათ წერილობით ვეკონტაქტები. რთულია მშობელთან თანამშრომლობა, დიდ დროს, ენერგიას და რაც მთავარია, ორივე მხარის ნებას მოითხოვს. რადგან მასწავლებელი სასკოლო გარემოში ბავშვთან ერთად არის, მას უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. არსებული სტერეოტიპის მიხედვით კი, ბევრი მშობელი უნდობლობას უცხადებს მასწავლებელს.

ნატო ინგოროყვა: *მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობაში ხშირად იკარგება მთავარი – ბავშვი, რადგან უფროსები მის გარეშე წყვეტენ ყველაფერს.*

თამარ მამსიკაშვილი: დირექტორმა ყველა დაინტერესებულ მხარესთან უნდა ითანამშრომლოს. ჩვენი ფუნქციაა, დავეხმაროთ

მრგვალი მაგიდის მონაწილეები:

გია მამულაშვილი – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი*

თეა კვინტრაძე – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე*

თეონა კუპატაძე – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე*

ელენე ფირცხალავა – *თბილისის 52-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი*

ქეთევან თავართქილაძე – *ფსიქოლოგი*

თამარ მამსიკაშვილი – *თბილისის 64-ე საჯარო სკოლის დირექტორი*

თემურ კვიტაიშვილი – *თბილისის I გიმნაზიის მანდატური*

სოფო ლობჟანიძე – *ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

ხათუნა ჯანჯალია – *მშობელი*

ირაკლი კაკაბაძე – *ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორი*

შეხვედრას უძღვებოდა **ნატო ინგოროყვა** – ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი.

მასწავლებელს, უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს მშობელთან. შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობა დიდია. აქ ითქვა არაფორმალურ განათლებაზე, რომელშიც განსაკუთრებულ როლს კლასის დამრიგებელი თამაშობს. დამრიგებელი სკოლასა და მშობელს შორის მედიატორია. ეს ინსტიტუტი ძალიან მნიშვნელოვანია. სასწავლო გეგმაში ჩადებულია, რომ მას ევალება სადამრიგებლო საათების, სხვადასხვა ღონისძიებისა და აქტივობის ჩატარება. ბავშვებისთვის მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობა ერთგვარი სტიმულია.

ქეთევან თავართქილაძე

გია მამულაშვილი: რატომ არ უყვარს მოსწავლეს სკოლა? ვფიქრობ, რომ ბავშვებისთვის, პირველ რიგში, მიუღებელია უსამართლო და არაობიექტური გარემო. მოსწავლეს არა აქვს განცდა იმისა, რომ სკოლაში გულშემატკივარი ადამიანები ჰყავს. მას არა მხოლოდ არ უყვარს სწავლა ან სასწავლო დაწესებულება, არამედ პროტესტი აქვს მის მიმართ, რისი შედეგიცაა გაფუჭებული მერხები, ჩამტვრეული მინები და ა.შ. რასაკვირველია, მშობელი ძალიან მნიშვნელოვანი რგოლია, მაგრამ ნუ გადავიტანთ მთელ აქცენტს მხოლოდ მშობლის ჩართულობაზე. მეტი ყურადღება დავუთმოთ ჩვენს დამოკიდებულებას. ყველაზე ელემენტარულიც კი, მაგალითად, მასწავლებლის ან დირექტორის საუბრის ტონი – მოსწავლისათვის უკვე იმის საბაბია, რომ არ მოუნდეს სკოლაში სიარული.

> ”ვფიქრობ, რომ ბავშვებისთვის, პირველ რიგში, მიუღებელია უსამართლო და არაობიექტური გარემო. მოსწავლეს არა აქვს განცდა იმისა, რომ სკოლაში გულშემატკივარი ადამიანები ჰყავს.“

ეს არის საბჭოთა სკოლიდან წამოყოლილი მენტორული დამოკიდებულება, რომელიც დღესაც არ შეცვლილა.

ნატო ინგოროყვა: ცოტა ხნის წინ ჩვენს სკოლებში არ იყო უსაფრთხო გარემო, მაგრამ მანდატურების შემოყვანის შემდეგ ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა. მანდატურების მუშაობით, დღეს, მშობელთა უმრავლესობა კმაყოფილია. საინტერესოა მანდატურის მოსაზრება ამ საკითხებზე და აგრეთვე ისიც, თუ რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ სკოლა უსაფრთხო იყოს?

თემურ კვიტაიშვილი: რამდენად საჭირო იყო მანდატური, ამაზე გაუმჯობესებული სიტუაცია და შედეგები მოწმობს. თუმცა, ჩემი აზრით, უსაფრთხოება არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურ ფაქტორებს. აქ იგულისხმება ფსიქოლოგიური უსაფრთხოებაც. ვეთანხმები ბატონ გიას – ბავშვები სკოლაში გულშემატკივარს ეძებენ. ჩემთან ხშირად მოსულა მოსწავლე, გაუზიარებია თავისი დამოკიდებულება, გულისტკივილი. ქართველ მანდატურს ფსიქოლოგის ფუნქციის შეთავსებაც უწევს. ეს ყველას არ შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებისეული გამოცდილებაც გვაქვს და აკადემიაში ფსიქოლოგიის კურსებსაც გავდიოდით. სკოლაში კონფლიქტის მიზეზი ნებისმიერი წვრილმანი შეიძლება გახდეს. ვცდილობთ, ჰუმანურად, სამართლიანად მოვაგვაროთ პრობლემა.

ნატო ინგოროყვა: საინტერესოა, როგორ ხედავენ და გასაზღვრავენ საკუთარ როლს მშობლები და რა მოლოდინები აქვთ მათ სკოლისგან?

თეა კვინტრაძე: ჩემი, როგორც მშობლის, მოლოდინი სკოლისგან ასეთია – ბავშვმა კარგი განათლება უნდა მიიღოს. მომწონს, როცა წიგნის გარდა, მას სხვა დავალებებსაც აძლევენ, სთხოვენ დამატებითი მასალის მოძიებას, თუნდაც ჩემი დახმარებით. მომწონს, როცა მასწავლებელი კლასს საერთო საკითხავ წიგნს აბარებს და კვირაში ერთხელ მისი გარჩევა ხდება. ბუნებრივია, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემო

სკოლაში. სკოლაში მოუგვარებელი კონფლიქტი ბავშვებს შორის არ უნდა არსებობდეს. კატეგორიულად არ ვეთანხმები მასწავლებელს, რომელიც სისტემურად ყვირის, აგრესიულია ბავშვის მიმართ, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში, სამწუხაროდ, ხშირად გვხვდება.

ხათუნა ჯანჯალია: თანამშრომლობა მასწავლებელსა და მშობელს შორის აუცილებელია. სამწუხაროა, რომ მასწავლებლები მშობლის მიერ გამოთქმულ აზრს ხშირად პრეტენზიის სტატუსს ანიჭებენ. თუ ვკითხულობ: რატომ აქვს ჩემს შვილს დაბალი ქულა? – ეს პრეტენზია კი არა, ინტერესია. მე, მშობელმა, უნდა ვიცოდე, რომელ

სოფო ლობჟანიძე

ნატო ინგოროყვა: მრავალმხრივი პრობლემები გამოიკვეთა მშობლის, მასწავლებლისა და დირექტორის მხრიდან. ქალბატონო ქეთევან, თქვენ როგორ შეაფასებდით არსებულ მდგომარეობას?

ქეთევან თავართქილაძე: გვიჭირს პროფესიონალიზმშიც და ურთიერთიერთობების დამყარებაშიც. ძალიან საწყენია, რომ დღეს ჩემი შვილი იმავე პრობლემების წინაშე დგას, რომლის წინაშეც მე ვიდექი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, ის ჩემთვის თვალთმაქცობის, სიყალბისა და უსამართლობის ადგილი იყო. ჩემი შვილიც კარგად სწავლობს, მაგრამ ყოველი დღე იწყება იმით, რომ სკოლაში წასვლა არ უნდა.

ელენე ფირცხალავა

> **ერთმნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილზე პროფესიონალი პედაგოგი უნდა შედიოდეს, ბავშვი უსაფრთხო გარემოში უნდა სწავლობდეს და მანდატურის სამსახური ამისთვის ყველაფერს უნდა აკეთებდეს. მშობელმა, დირექტორმა, მასწავლებელმა და მოსწავლემ უნდა ითანამშრომლონ და უნდა გამონახონ საერთო ენა.**

საგანში აქვს ჩემს შვილს პრობლემა. ჩემთვის მნიშვნელოვანია განათლებული, პროფესიონალი მასწავლებელი. სკოლა ნამდვილად უნდა ემსახურებოდეს აღზრდა-განათლებას, ეს მისი პირველადი დანიშნულებაა. თუ მასწავლებელი გაკვეთილს ვერ ატარებს და ვერ აკონტროლებს სიტუაციას კლასში, ანუ ვერ ახერხებს ბავშვების დაინტერესებას, ცოდნის გადმოცემას, ის არ უნდა მუშაობდეს სკოლაში. დავინტერესდი და გავეცანი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010-2015 წლების სტრატეგიას და გავიგე, როგორი უნდა იყოს თანამედროვე მასწავლებელი. მე, როგორც მშობელს, მჭირდება სერტიფიციტებული, წარმატებული მასწავლებელი. მინდა, ჩემი შვილი ისეთ სკოლაში სწავლობდეს, რომ რეპეტიტორი არ სჭირდებოდეს. ბევრ მშობელს არ აქვს ამის შესაძლებლობა და ბავშვი ცოდნის გარეშე რჩება.

მტკივნეულად მახსენდება ერთი პრეცედენტი, რომელმაც ალბათ სამუდამოდ შეცვალა ჩემი შვილის განწყობა სკოლის მიმართ. ცხრა წლის ასაკში, საპრეზენტაციო თემების წარდგენის დროს, ერთ-ერთმა მასწავლებელმა არ დაიჯერა, რომ ის მისი მომზადებული იყო და ეს საჯაროდ განაცხადა. ბავშვი ძალიან განაწყენდა და სკოლაში დაბრუნება აღარ ისურვა. სკოლის კოლექტივი შეწუხდა და ჩაერია პრობლემის მოგვარებაში, მაგრამ იმის შემდეგ ბავშვი კონკურსებში მონაწილეობაზე უარს ამბობდა და ასეა დღემდე.

რაც შეეხება მენტორულ ტონს, ეს არის მასწავლებლის პროფესიული დეფორმაციის ერთ-ერთი ნიშანი. პარადოქსულია, მაგრამ რაც უფრო მეტია პროფესიული გამოცდილება, მით უფრო გამოკვეთილია ტონი. საერთოდ, ამ ტონის გამოყენების საჭიროებას, მით

თამარ მამსიკაშვილი

ხათუნა ჯანჯალია

> „მასწავლებლის პროფესიონალიზმი ძალიან მნიშვნელოვანია. მასწავლებელმა საკუთარ თავზე, განვითარებაზე უწყვეტად უნდა იმუშაოს.“

თემურ კვიტაიშვილი

უფრო პროფესიული საქმიანობის სივრცის გარეთ, ვერ ვხედავ. ამის გაკონტროლება ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. როცა ხედავ, რა გავლენას ახდენს ბავშვზე შენი მზერა, ინტონაცია, გაღიმება, ერთი მოძრაობაც კი, უნდა შეეცადო, იყო გულწრფელი შენს სიტყვებსა და დამოკიდებულებებში.

ამჟამად ვმუშაობ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს. როგორ მომყავს თანამშრომლობაზე მშობლები? პირველი შეხვედრის დროს ვეკითხები: რას ითხოვთ ჩემგან, რა მოლოდინი გაქვთ? ასეთივე კითხვა უნდა დაუსვას მასწავლებელმა მშობლებს. თუ მშობელს უნდა, რომ შვილმა სკოლაში მაქსიმალური ცოდნა მიიღოს, პედაგოგთან თანამშრომლობის გარეშე ეს შეუძლებელი იქნება. მასწავლებელი იღებს დიდ პასუხისმგებლობას, მაგრამ მშობელიც მზად უნდა იყოს თავისი ცხოვრების სტილის, ქცევის შესაცვლელად.

მასწავლებლის პროფესიონალიზმი ძალიან მნიშვნელოვანია. მასწავლებელმა საკუთარ თავზე, განვითარებაზე უწყვეტად უნდა იმუშაოს.

ელენე ფირცხალავა: წლების წინ სკოლაში მქონდა შემთხვევა, როდესაც ჩემს სადამრიგებლო კლასში მოსწავლე რეგულარულად აცდენდა პარასკევის გაკვეთილებს. დაკვირვების შედეგად მივხვდი, რომ ამას ერთ-ერთი მასწავლებლის გამო აკეთებდა. როცა ამ მასწავლებლის გაკვეთილს დავესწარი, დავრწმუნდი, რომ პრობლემა მართლაც პედაგოგში იყო. თუმცა საგულისხმოა, რომ მანამდე, ვიდრე ამ ამბავს გავარკვევდი, მშობელმა არ ითანამშრომლა ჩემთან, ბავშვის გაცდენები მის ავადმყოფობას დააბრალა და დამიმალა პრობლემის ნამდვილი მიზეზი.

ქეთევან თავართქილაძე: უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური, ისევე როგორც ფსიქოლოგიური ძალადობა, არ არის ერთჯერადი ქმედება. ეს არის დამოკიდებულების სისტემა და ამიტომაცაა ძნელად შესაცვლელი. მშობელმა არ იცის, როგორ და რით დასაჯოს ბავშვი, მისთვის ძალადობა უალტერნატივო აღმზრდელობითი მეთოდია. ზოგიერთი მასწავლებელიც ამავე აზრისაა. ამის დასტური იყო ერთ-ერთი სამდღიანი ტრენინგი მასწავლებლებთან, რომლის დასრულების შემდეგ ერთმა პედაგოგმა მთხოვა, მისთვის დასჯის მეთოდები მესწავლებინა.

თამარ მამსიკაშვილი: აუცილებელია სკოლაში ფსიქოლოგის ინსტიტუტის გაძლიერება. თუ გვინდა, რომ ბავშვისათვის სკოლა სასურველი გარემო იყოს, ამისათვის იქ სწავლის ყველა პირობა უნდა შევქმნათ. თუმცა ხშირია შემთხვევაც, როცა მასწავლებლისა და დამრიგებლის გვერდის ავლით ბავშვი მხოლოდ მანდატურს ენდობა. ასევე, პრობლემაა მშობლის „ზედმეტი აქტიურობა“, რასაც მასწავლებელთა ჯგუფი კრიტიკად აღიქვამს. სწორედ ამიტომ დამრიგებელი ხშირად უნდა ხვდებოდეს მშობლებს. მეც, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ვისურვებდი, უფრო ხშირად დავსწრებოდი ასეთ შეხვედრებს და თავად მიმეწოდებინა ინფორმაცია მათთვის.

ნატო ინგოროყვა: ვყოფილვარ მოსწავლეც და მასწავლებელიც და კარგად მახსოვს ის პედაგოგები, რომლებსაც გაკვეთილის ყოველი წუთი ჰქონდათ გათვლილი. ასეთ მასწავლებლებს კლასთან და მშობლებთან ურთიერთობების პრობლემაც მინიმალურად ჰქონდათ. ერთმნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილზე პროფესიონალი პედაგოგი უნდა შედიოდეს, ბავშვი უსაფრთხო გარემოში უნდა სწავლობდეს და მანდატურის სამსახური ამისთვის ყველაფერს უნდა აკეთებდეს. მშობელმა, დირექტორმა, მასწავლებელმა და მოსწავლემ უნდა ითანამშრომლონ და უნდა გამონახონ საერთო ენა. სკოლაში უნდა არსებობდეს ფსიქოლოგის ინსტიტუტი. ერთი სიტყვით, სკოლა უნდა იყოს სახლი – ყველასათვის, ადგილი სადაც ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა და ავსებს.

თანამედროვე სამოქალაქო ფასეულობები ქართული ლიტერატურული გამოცდილების მაგალითზე

ქეთო ნინიძე

ლიტერატურულ ტექსტს, როგორც ხელოვნების ნაწარმოებს, გამოყენების ფართო შესაძლებლობები აქვს. სასკოლო პრაქტიკაში მხატვრული თუ არამხატვრული ლიტერატურა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ითავსებს – მკითხველთა (ამ შემთხვევაში, მოსწავლეების) სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს. ეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღეს, როდესაც თავიდან განისაზღვრა ე.წ. ლიტერატურული კანონი: ქართული ენისა და ლიტერატურის საგანში სავალდებულო ნაწარმოებების ახალი ნუსხა შემუშავდა. გვაქვს მზაობა იმისა, რომ სკოლამ გადააფასოს უსარგებლო შეხედულებები და მიდგომები, განავითაროს ახალი პერსპექტივა, საბოლოოდ კი, დაეხმაროს მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს თავისუფალ მოქალაქედ. ამ მოცემულობით, ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგადი მიზნების პრიორიტეტებში მოიაზრება ის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ, რა არის მოქალაქეობრივი აზროვნება, ტოლერანტობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

საბჭოთა პერიოდის ქართულ საგანმანათლებლო პრაქტიკაში ქართველი მწერლების გარშემო ჩამოყალიბდა სტერეოტიპები, რაც კონიუნქტურის მექანიზმებთან ორგანულად იყო შეთანხმებული და ამ მწერლების ესთეტიკური, სამოქალაქო, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების გადაფარვას ისახავდა მიზნად. ცისფერყანწელების ლიტერატურული მემკვიდრეობა სასკოლო პრაქტიკაში წარმოდგენილი იყო ნაციონალური ნარატივებით – იმ ტექსტებით, რომლებშიც სამშობლოს სიყვარული, საქართველოს ისტორიისა და ზოგჯერ, ბელადების ხოტბა ჩანდა. განგებ მიიჩქმალა მათი მოდერნისტული ესთეტიკური კონცეფციები, რაც დეკლარირებული იყო ამ ლიტერატურული ორდენის მანიფესტებში. პროპაგანდა ეწეოდა იმ ნაწარმოებებს, რომლებსაც ეს ავტორები თვითცენზურის მოქმედებით ქმნიდნენ. იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურული პორტრეტი მხოლოდ „დედა ენასა“ და „იავნანამ რა ჰქმნას“ უკავშირდებოდა, ყურადღება არ

„ოთარაანთ ქვრივი“ – ილია ჭავჭავაძე, მხატვარი ჰენრიკ ჰრინევსკი

ეთმობოდა მის პუბლიცისტიკას, სადაც მწერლის სამოქალაქო პოზიცია და პოლიტიკური შეხედულებებია წარმოჩენილი. იმისათვის, რომ ქართული ლიტერატურის ახლებურად გააზრების პროცესში კვლავ არ აღმოვჩნდეთ რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგიის ტყვეობაში, ქართველი მწერლების მსოფლმხედველობა, სამოქალაქო და პოლიტიკური, ასევე ესთეტიკური ხედვები უნდა შევისწავლოთ და გავაანალიზოთ. ასეთ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო იქნება მათი მხატვრული მემკვიდრეობა, დოკუმენტური მასალა (დღიურები, პირადი მიმოწერა, მემუარები ან მოგონებები მათზე). ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა ტრაექტორიით ვითარდებოდა მათი ლიტერატურული შეხედულებები (რა ჰქონდა წაკითხული მწერალს, რა იყო მისი სამაგიდო წიგნი და ა.შ.), რათა გავარკვიოთ ამ მწერლების ესთეტიკური და პოლიტიკური კონცეფციების გენეზისი. ამგვარი მონაცემების შესწავლით თავს დავიზღვევთ ახალი კონიუნქტურების ზეგავლენისგან.

როდესაც დგება მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევის საკითხი მათი ყოფის რეკონსტრუქციის ფონზე და

რეალურ მოვლენებთან შეთავსებით, პირველ რიგში, ეს მცდელობა ავთენტური კონტექსტის მოსანიშნად არის ღირებული. მხატვრული ტექსტის შესწავლა კონტექსტის განსაზღვრის გარეშე მე-20 ს.-ის ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე არაკვალიფიციურობის ნიშანი იყო. შეუძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ სრულფასოვანი ცოდნა შუასაუკუნეების სარაინდო რომანის, არისტოტელეს ეთიკისა და პოეტიკის, დიონისე არეოპაგელის, ასევე აღმოსავლური სამივჯნურო პოემებისა და სუფიური პოეზიის, როგორც კულტურული მოვლენების შესახებ ცოდნის გარეშე. კონტექსტი არის ველი, რომელზედაც ვრცელდება გარკვეული სისტემა; ის ქმედუნარიანია ამ სისტემის შიგნით და მნიშვნელობას კარგავს მის გარეთ. ავთენტური კონტექსტი შეიძლება იყოს კულტურული (სოციალური, პოლიტიკური); შეიძლება, ის აერთიანებდეს ერთი რომელიმე ლიტერატურული წრის პროდუქციას. ვთქვათ, „ღამე“, როგორც მისტიკური დრო-სივრცის აღმნიშვნელი, შესაძლოა, გვხვდებოდეს რომანტიკოსების შემოქმედებაში, რეალისტებთან კი ის უძრავობას უკავშირდებოდეს. შესაძლოა, მისი საზღვრები უფრო დავიწროვდეს და რომელიმე მწერლის შემოქმედებაში ან შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე იყოს ქმედითი.

მაგალითისთვის:

კულტურული კონტექსტი – განმანათლებლობა / საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობები /რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა / პეტერბურგში განათლებამიღებული ქართველი ახალგაზრდა თავად-აზნაურების შემოქმედება. ავტორის კონტექსტი – ადამიანის მოქალაქეობის პრობლემა მოთხრობებში „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, ლექსში „გუთნისდედა“, პუბლიცისტურ წერილში „რა არის თავისუფლება“ და ა.შ.

კონტექსტის მონიშვნის გარეშე შეიძლება, მოსწავლეებს არამართებული წარმოდგენა შეექმნათ ტექსტზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ დავავალებთ, რომ დაწერონ თხზულება ან შეადგინონ დიაგრამები იმ გმირების შედარების მიზნით, რომელთა შედარების საფუძველი არ არსებობს. მაგ., ყველასათვის კარგად ნაცნობი თემა „ოთარაანთ ქვრივისა და თავსაფრიანი დედაკაცის შედარებითი დახასიათება“. საკითხის უმართებულოდ დასმის შედეგად მივდიოდით მცდარ დასკვნამდე, ზოგიერთი ჩვენგანის სიმპატია იხრებოდა ოთარაანთ ქვრივისკენ, სხვების კი – ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის გმირისკენ. რატომ შეიძლება იყოს ამ ტიპის პარალელის გავლება გაუმართლებელი?

1. ავთენტური კონტექსტის პრობლემა – ილია ჭავჭავაძე, როგორც რეალიზმის ლიტერატურული ტრადიციების მიმდევარი, სამოციანელთა თაობის მწერალი, ხოლო ნიკო ლორთქიფანიძე, როგორც მოდერნისტი, იმპრესიონისტი მწერალი.
2. ოპოზიციის რელევანტურობის პრობლემა – მართალია, ზედაპირულ პლანში ორივე გმირის ისტორია მსგავსია (დაქვრივებული დედა), მაგრამ სრულიად განსხვავებულია ორი ავტორის ხედვის პერსპექტივა: ნაწარმოებებში დასმული პრობლემები და მათი განვითარება.

ცხადია, ლიტერატურული გმირების ქცევა არ უნდა განვიხილოთ, როგორც რეალური ადამიანებისა, რადგან, ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია არა ამ გმირების, არამედ მათი ავტორების დამოკიდებულებებში გარკვევა. კონტექსტის ცოდნა ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს ათვლის წერტილის მონიშვნაში, სწორი აქცენტების დასმაში. ეს კი აგვარიდებს ისეთი ზედაპირული პარალელების გავლებას, როგორიც არის „განდეგილი და მამა სერგი“, „ხევისბერი გოჩა და მატეო ფალკონე“.

კაცი. ცნების ლიტერატურული ველი

ყოველი მწერალი შეიმუშავებს განსაზღვრულ ლექსიკურ ფონდს. ამ მარაგში შეიძლება, ამოვიცნოთ ამოჩემებული სიტყვები. შემოქმედებითი მეთოდის შესაბამისად, ზოგიერთი ავტორი სიტყვის აკუსტიკურ ღირებულებას ანიჭებს უპირატესობას, სხვანი კი – სემანტიკასა და ეტიმოლოგიას.

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებში გამოირჩევა რამდენიმე ასეთი სიტყვა, რომელთაც მწერალი სიღრმისეულად აწონ-დაწონის და ცნების დატვირთვას ანიჭებს. „კაცი“ ის ლექსიკური ერთეულია, რასაც ილია ჭავჭავაძე ღვთის ხატი და მსგავსი ადამიანის, მეორე მხრივ კი – თავისუფალი მოქალაქის აღმნიშვნელად იყენებს: „მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს / და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი – კაცურს“ („ქართვლის დედას“); „მონება კაცთ არ შეშვენისთ, / ქრისტეა ამის მოწამე“ („ჩემი თარიარალი“); „მამულს მიგცა ზეცამა / და თუ ზედ დააკვდები, / ნუგეშ იცეს დედამა, / რომ კაცი კაცად ჰკვდები“ („ნანა“); „ჭეშმარიტი კაცობა არქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა“ („დიმიტრი ყიფიანი“); „ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელს ქალაქსა“ („საგაზეთო შენიშვნები...“).

„კაცის“ ცნებაში ილია ჭავჭავაძე არ გულისხმობს მასკულინურ ძალას. ის მოქალაქეობრივ სფეროში ორივე სქესს თანასწორად მოიაზრებს. ერთ-ერთ პუბლიკაციაში მწერალი შენიშნავს: „ქართველი დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ დედა-კაცს ეძახის, როგორც მამას მამა-კაცს... ორნივ კაცნი ვართ, ორნივ ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენსა ენას... აშკარაა, რომ კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაც კაციაო,

გვეუბნება ჩვენი ენა და მამაცაო. სხვა რაა უდიდესი და უპატიოსნესი კაცობის სახელზედა ადამიანისთვის, რომელის სქესისაც გინდა იყოს...“ („პატარა საუბარი“, 1898 წ.).

ადამიანის ყოფის ეგზისტენციურ პრობლემას, მეორე მხრივ კი, მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საკითხებს ილია ჭავჭავაძემ დაუთმო „კაცია – ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, ასევე, ლექსი „გუთნისდედა“, რომელიც წლების მანძილზე სასკოლო პროგრამებში სასწავლად იყო გათვალისწინებული. ამ ნაწარმოებების მიხედვით, იდეალი, რომელსაც მწერალი „კაცად“ სახელსდებს, შემდეგი თვისებებისაა: მშრომელი, სამართლიანობისა და კანონის დამცველი, მოსიყვარულე, თავისუფალი.

ილია ჭავჭავაძე


ნიკო ლორთქიფანიძე

ერთი ტექსტი – ორი ინვარიანტი

„ოთარაანთ ქვრივსა“ და „კაცია – ადამიანს?!“ შორის პარალელების გავლება სასკოლო პრაქტიკაში მიღებული და გამოცდილია. შედარების საფუძველი, ტრადიციულად, არის გმირების ოჯახური გარემო, სახლი და კარ-მიდამო, მათი გარეგნობა, ცხოვრებისა და ჩაცმის სტილი, შრომისუნარიანობა და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ნაწარმოებების შედარების საფუძველს ქმნის ისიც, რომ ორივე მოთხრობა ერთსა და იმავე ღერძზეა მიმაგრებული – „კაცობის“, მოქალაქეობის პრობლემაზე.

„კაცია – ადამიანის?!“ სათაური, თავისთავად, მრავლისმთქმელია. მასში ექსპლიცირებულია აზრი: ნაწარმოების მთავარი გმირები არიან ადამიანები, მაგრამ არა კაცები. ისინი იკმაყოფილებენ ბუნებრივ მოთხოვნილებებს, ასრულებენ თავიანთი სოციუმისთვის მისაღებ წესებს, არ იკლებენ გართობას და ა.შ. მაგრამ, ავტორისავე აღნიშვნით, არ აღასრულებენ ადამიანის უმთავრეს ფუნქციას – განღმრთობას. „ცით მონაბერი სული“ იკარგება ამ გმირების უსაგნო ქმედებასა და უნაყოფობისთვის განწირულ ყოფაში. მეორე ნაწარმოების სათაურში, მართალია, პირდაპირ არ ჩანს იდეა, სამაგიეროდ, მთავარი გმირი ტექსტში იწოდება „დედაკაცად“ („ბარაქალა დედაკაციაო, ამბობდა დათია ბადიაშვილი“ და სხვ.). ილია ჭავჭავაძის ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი პუბლიცისტური წერილის ამონარიდს თუ დავესესხებით, „კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა“. ავტორი გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ქვრივის მიმართ, როდესაც მას „დედაკაცად“ მოიხსენიებს.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მეთოდის უმნიშვნელოვანესი „გასაღებია“ ნაწარმოების ფინალი – რა განვითარებას ჰპოვებს ოთარაშვილებისა და თათქარიძეების ყოფა. ლუარსაბის ამქვეყნიური ცხოვრება უნაყოფოა. მას არ რჩება შვილი და კეთილი საქმე, როგორც განვითარების პერსპექტივა. მართალია, ქვრივიცა და მისი შვილიც ტრაგიკულად ასრულებენ სიცოცხლეს, მაგრამ გიორგი ტოვებს „განათლებულ კვალს“, ის გვაძლევს „ნაყოფს, ვით კაცი – კაცურს“ („ქართვლის დედას“).

> ქართული ენისა და ლიტერატურის საგანში სავალდებულო ნაწარმოებების ახალი ნუსხა შემუშავდა. გვაქვს მზაობა იმისა, რომ სკოლამ გადააფასოს უსარგებლო შეხედულებები და მიდგომები, განავითაროს ახალი პერსპექტივა, საბოლოოდ კი, დაეხმაროს მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს თავისუფალ მოქალაქედ.

როგორც ვხედავთ, „კაცობა“ ის მოვლენაა, რაზედაც მთელი კონტექსტია აგებული. ცნებაში თავს იყრის განმანათლებლობისა და ქრისტიანობის იდეალი, ე.ი. თავისუფალი, კანონმორჩილი, მოყვასის მოკეთე, პასუხისმგებლობიანი და განათლებული მოქალაქე. ამდენად, „კაცია – ადამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივი“ შეიძლება, დავიყვანოთ ერთ ტექსტზე, რასაც პოზიტიურად ან ნეგატიურად განავითარებს ეს ორი მოთხრობა, როგორც ორი ინვარიანტი.

გენდერული თანასწორობა, კანონმორჩილება, თავისუფლება

არის თუ არა მართებული, ზოგადად, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის „გადათარგმნა“ თანამედროვე სამოქალაქო დისკურსისთვის ავთენტურ ენაზე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე უნდა გავიხსენოთ, რომ ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია სწორედ მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა. ქართველი სამოციანელი მწერლების გარემოცვაში დომინანტი პოლიტიკური იდეოლოგია ლიბერალიზმია. გავიხსენოთ, მამათა თაობის წარმომადგენლები თერგდალეულებს სწორედ ამ ბრალდებას უყენებდნენ: „ცრუ ლიბერალნი, პატრიოტები“.

პერიოდულ გამოცემებში „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“ უკვე მკვიდრდება ტერმინები: „ლიბერალობა“, „ემანსიპაცია“, „მოქალაქე“, „ანტისემიტიზმი“, „შემწყნარებლობა“, „კანონის უზენაესობა“, „თანასწორობა“, „ადამიანური უფლებები“ და ა.შ. ილია ჭავჭავაძეს არაერთი პუბლიცისტური წერილი აქვს მიძღვნილი ამ პრობლემებისადმი. გავიხსენოთ მისივე ლექსი „პასუხის პასუხი“, სადაც ავტორი შენიშნავს: „ლიბერალობა, პატრიოტობა / სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია“. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, არ უნდა იყოს მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ლიბერალური და დემოკრატიული ფასეულობების შესახებ მსჯელობა.

დავუბრუნდეთ „ოთარაანთ ქვრივს“. 1992 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორის, დოდონა კიზირიას პუბლიკაცია „ოთარაანთ ქვრივი – ქართველი ქალის ზნეობრივი იდეალი“. გვინდა, თქვენი ყურადღება მივმართოთ ერთი მოსაზრებისკენ, რომელიც ამ პუბლიკაციაში გამოითქვა: მკვლევარის აზრით, ქვრივის სახით მწერალმა „გამამლებული“ ქალის ტიპი წარმოგვიდგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მხარს უჭერდა ქალთა საზოგადოებრივ აქტივობას. ის არა მხოლოდ მომხრე იყო დედათა ემანსიპაციისა, არამედ ხშირად მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით მიუთითებდა ქალებს, რომ ისინი მზად არ იყვნენ „საზოგადოებაში გამოსასვლელად“, ვერ იტვირთავდნენ ისეთ ფუნქციებს, როგორსაც ქალები იტვირთავდნენ, მაგალითად, აშშ-ში. „დღეს ქალები რომ იძახიან, მოგვეცით უფლებაო, ეს ძახილი, თუმცა, სამართლიანია, მაგრამ რჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა. იმიტომ, რომ ყველანი ჰხედვენ, რომ ქალები ბევრწილად უქმნი და უვარგისნი არიან... ეს დღევანდელი უქმობა და უვარგისობა ქალებისა ხელზედ დახვეული აქვთ ყველას, ვინც კი დედათა ემანსიპაციას არ ემხრობა და ეწინააღმდეგება.“ ([დედათა ემანსიპაციის შესახებ], 1888 წ.).

ცხადია, ილია ჭავჭავაძემ ოთარაანთ ქვრივის სახით შექმნა ქალი, რომელსაც დამოუკიდებლად გააქვს თავი საზოგადო ცხოვრებაში, იცავს საკუთარ ღირსებას და საზოგადოებრივ წესრიგს, ე.ი. როგორც საკუთარ, ასევე სხვათა უფლებებს. ქვრივი სარგებლობს შრომის თავისუფლებით და ეკონომიკურადაც არ არის დამოკიდებული ვინმეზე. თუ თვალს გადავავლებთ მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართულ ლიტერატურას, ქალი უმთავრესად დატყვევებული, შეურაცხყოფილი, დამცირებული და თავდაცვის უუნაროა. ქართველი მწერლები, ტრადიციულად, მას წარმოაჩენენ, როგორც მსხვერპლს. ეს სოციო-კულტურული მოდელი იმდენად გამყარებულია ქართულ ტექსტში, რომ ლამისაა ქართულ მითოსად იქცეს. მართლაც უკონტექსტოა ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი – უბირი გლეხის ქალი, რომელსაც ვერ ჩაგრავენ, ვერ სჯობნიან, ვერ ამცირებენ.

ქვრივის შემთხვევაში ფსიქოლოგიურ დევიაციასთან რომ არ გვაქვს საქმე, ცხადი ხდება იმ ეპიზოდებში, როდესაც ის გარდაცვლილ ქმარს დასტირის, ეჭვიანობს შვილზე და ა.შ. მას ყველა თვისება აქვს საიმისოდ, რომ ფსიქოლოგიური გადახრა გამოირიცხოს. ამ შემთხვევაშიც, ყველაზე დიდ ღირებულებას იძენს ავთენტური კონტექსტი.

მას შემდეგ, რაც გავეცნობით ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკას, თვალნათელი ხდება მწერლის ხედვის პერსპექტივა – მწერალი ქალს მსხვერპლად არ მოიაზრებს, რადგან მას პასუხისმგებლობას აკისრებს, მოვალედ მიიჩნევს, რომ დაიცვას საკუთარი და სხვათა უფლებები. ამიტომ არის მთავარი გმირი მარტოხელა ქალი – ეს ერთგვარი საშუალებაა მწერლისთვის, დაამტკიცოს საზოგადოების წინაშე, რომ ქალი აღარ არის მსხვერპლი. ეს ირიბი გზავნილია საზოგადოების წინაშეც, რადგან მსხვერპლადქცეული ქალის სახის მიღმა მე-19-20 სს.-ის ქართულ მწერლობაში არაპირდაპირ ყოველთვის ილანდება დამცირებული და პატივაყრილი ქართული ეთნოსის / საზოგადოების ხატი.

და ბოლოს, ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ მოგვითხრობს პრუსიელი ვაჭრის ამბავს. ის სასამართლომ უსაფუძვლოდ დააჯარიმა სიმბოლური თანხით, მას კი მეტად ძვირი დაუჯდა უსამართლობის გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციებში. „სასაცილოა განა, მკითხველო, ასეთი დავიდარაბა ერთის მანათის გულისათვის, მერე ვისგან? მდიდარის სოვდაგარისაგან... მაგრამ აქ საქმე განა მარტო ერთს მანათზეა!.. არამედ... მისის აზრით, კანონი და სამართალი ირღვევა და კანონი და სამართალი კიდევ მისის თავისუფლების ციხე-სამაგრე იმოდენად ძვირფასია, რომ განურჩევლად, განუკითხველად ხელს არავის ახლებინებს. აი, ნამდვილი, ჭეშმარიტი მოქალაქობრივი თავგამოდება, აი ჭეშმარიტი ქველობა კაცთა საზოგადოების წევრისა,“ – წერს ილია ჭავჭავაძე 1887 წელს პუბლიცისტურ წერილში „რა არის თავისუფლება“. 1887 წელს კი მწერალი ქმნის „კაცთა საზოგადოების წევრის“ შესახებ მხატვრულ ნაწარმოებს „ოთარაანთ ქვრივი“.

დღეს, როდესაც ასე მწვავედ დგას კანონმორჩილების პრობლემა და გარკვეულ სოციალურ წრეებში ეს ნიშანი ნაციონალურ იდენტობასთანაც კი არის გაიგივებული, სასურველია, მოსწავლეებს გავამახვილებინოთ ყურადღება „ოთარაანთ ქვრივში“, „კაცია ადამიანსა?!“ თუ სხვა ნაწარმოებებში არა მხოლოდ სოციალური უთანასწორობის თემაზე (რაც მოკლებულია აქტუალობას), არამედ სწორედ მოქალაქეობრივი ცნობიერების, გენდერული თანასწორობის, კანონის უზენაესობის პრობლემებზე. მომავალმა თაობამ უნდა გადააფასოს ის სტერეოტიპები, რომლებიც საბჭოთა მემკვიდრეობამ უანდერძა სკოლას და რაც რადიკალურად არის დაშორებული ქართველი მწერლების – ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის და სხვათა სამოქალაქო ფასეულობებისგან.

ინკლუზიური განათლება და მასწავლებელი



ანა ჯანელიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განათლების უზრუნველყოფას ერთ სასწავლო სივრცეში – სკოლაში. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით არაერთი სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ „მასწავლებელში", გამოიცა მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოები, რომელთა მიზანს წარმოადგენს მასწავლებლებისთვის ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდების გაცნობა. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ საქართველოს სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და წარმატებით დანერგვა ხანგრძლივი პროცესი იქნება, რაც დროსთან ერთად სხვადასხვა რესურსსაც მოითხოვს.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვა მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაიწყო, დღეს სკოლებს მხარდაჭერა სხვადასხვა კუთხით სჭირდებათ. მრავალი საერთაშორისო კვლევა ცხადყოფს, რომ ინკლუზიური განათლების დანერგვის საწყის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა დამოკიდებულებასა და მათ მზაობას, სხვა ბავშვებთან ერთად ასწავლონ სსსმ ბავშვებს. ამ შემთხვევაში, მასწავლებლის მზაობა გულისხმობს რამდენიმე კომპეტენციას:

- **კომუნიკაციური უნარები:** ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის მასწავლებელს მოეთხოვება სსსმ ბავშვებთან მომუშავე სხვადასხვა პირთან აქტიური თანამშრომლობა, როგორც სკოლაში, ასევე სკოლის გარეთ. ეს გულისხმობს მუდმივ კომუნიკაციას ფსიქოლოგთან, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან, სპეციალური განათლების პედაგოგთან, ლოგოპედსა და მშობლებთან.
- **არსებული რესურსების მოძიებისა და გამოყენების უნარი:** ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია, მასწავლებელი ფლობდეს ინფორმაციას სსსმ ბავშვთა განათლების ხელშეწყობისთვის არსებული რესურსების შესახებ როგორც სკოლაში, ასევე სკოლის გარეთ, მაგ., მაღალი კლასის სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში, ქალაქში/რაიონში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ.
- **ორგანიზაციული უნარები:** მასწავლებელი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სსსმ მოსწავლეთათვის, გეგმავს ერთი ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა ჯგუფურ აქტივობებს, რათა ხელი შეუწყოს სსსმ ბავშვთა უმტკივნეულო ინტეგრაციას ზოგადსაგანმანთლებლო სკოლაში. მასწავლებელს მოეთხოვება კლასის მართვის განსაკუთრებული უნარის ფლობა, ვინაიდან სსსმ მოსწავლეთა ჩართვა გაკვეთილზე, შესაძლოა, ახალი ტიპის გამოწვევებს უკავშირდებოდეს.
- **პროფესიული უნარები:** მასწავლებელს სჭირდება საკუთარ საგანთან დაკავშირებით, ასევე ზოგადად, პედაგოგიკასთან, სსსმ ბავშვთა სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებთან დაკავშირებით მუდმივად ახალი ინფორმაციის მოპოვება და პრაქტიკაში დანერგვა. რაც უფრო ინფორმირებულია მასწავლებელი, დროთა განმავლობაში მით უფრო შესაფერის სტრატეგიებს შეარჩევს და შესაბამის რესურსებს გამოიყენებს სსსმ ბავშვთა სწავლებისათვის. სასურველია, ის საკუთარ გამოცდილებას სკოლის სხვა მასწავლებლებსაც უზაიარებდეს. მასწავლებელი მზად უნდა იყოს ისეთი გამოწვევებისთვის, როგორიცა სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამისად ეროვნული

> „ინკლუზიური განათლების დანერგვის საწყის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა დამოკიდებულებასა და მათ მზაობას, სხვა ბავშვებთან ერთად ასწავლონ სსსმ მოსწავლეებისთვის ბავშვებს."

> „საქართველოს სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და წარმატებით დანერგვა ხანგრძლივი პროცესი იქნება, რაც დროსთან ერთად სხვადასხვა რესურსსაც მოითხოვს.“

სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, აგრეთვე, მოსწავლის პროგრესის ობიექტური და ზედმიწევნითი შეფასება, ისგ-ს ეფექტურობა და ა.შ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი იცნობდეს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ ძირითად ტერმინებს, რაც გაამარტივებს სსსმ ბავშვებთან მომუშავე სხვადასხვა სპეციალისტთან თანამშრომლობას.

- ლიდერის უნარები: მასწავლებელი ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს საგანმანათლებლო რეფორმის დროს. სკოლაში მას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია იმის განსაზღვრაში, თუ რა ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის. მასწავლებელი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს სკოლის ადმინისტრაციასთან და თემთან, რათა საჭირო ღონისძიებების გატარებას შეუწყოს ხელი.

იმის გასარკვევად, თუ რა საჭიროებებს ხედავენ ინკლუზიური განათლების დანერგვისთვის სკოლის თემის წარმომადგენლები (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები), 2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საქართველოს მასშტაბით ჩატარდა კვლევა. კვლევის ამოცანას წარმოადგენდა, შეესწავლა:

- თემის ხედვა არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში;
- თემის გამოცდილება ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში;
- თემის მოსაზრებები ინკლუზიური განათლების წარმატებით დანერგვისთვის საჭირო აქტივობების შესახებ.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ჯგუფური გამოკითხვის (ფოკუს ჯგუფები) საშუალებით მოხდა თვისებრივი მონაცემების შეგროვება. შედგა 6 ფოკუს ჯგუფი (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მშობლები) და 3 ფოკუს ჯგუფი (სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრები და დირექტორები). აგრეთვე, გამოიკითხა 11 სსსმ მოსწავლე. ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუები მიმდინარეობდა სამ ქალაქში: თბილისში, თელავსა და ზესტაფონში. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა რესპონდენტთა წარმომადგენლობითი შერჩევა საქართველოს მასშტაბით (სტრატიფიცირებული და კლასტერული შერჩევის მეთოდით). შესაბამისი კითხვარების საშუალებით გამოიკითხა 699 მშობელი, 136 დირექტორი, სამეურვეო საბჭოების 185 წევრი, 223 დაწყებითი განათლების პედაგოგი, 555 საგნობრივი განათლების პედაგოგი, 744 6-12 კლასის მოსწავლე.

შედეგები

როგორც მოსალოდნელი იყო, არსებული სიტუაციის შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის თვალსაზრისით, ყველაზე ინფორმაციული წყარო სკოლის თანამშრომლები (მასწავლებლები, დირექტორები, სამეურვეო საბჭოს წევრები) იყვნენ. თვისებრივი კვლევის შედეგად პრობლემები და საჭიროებები გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულებით:

- აკადემიური ასპექტები: პედაგოგების სსსმ ბავშვების სწავლებისთვის საჭირო პროფესიული ცოდნის დაბალი დონე და სსსმ ბავშვების სწავლების გამოცდილების სიმცირე; პედაგოგების უარყოფითი დამოკიდებულება სსსმ ბავშვებისადმი; დამხმარე სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი) ნაკლებობა სკოლებში; მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოები; კლასში მოსწავლეთა რაოდენობა, მასწავლებლის დაბალი მოტივაცია, სპეციალური სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოებების სიმცირე, სსსმ მოსწავლეთა აკადემიური შეფასება, მასწავლებელთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები: სსსმ ბავშვებსა და სხვა ბავშვებს შორის ურთიერთობა, სკოლის სოციალური კლიმატი, მასწავლებლებსა და სსსმ ბავშვებს შორის ურთიერთობა, საზოგადოების და სხვა მოსწავლეთა მშობლების უარყოფითი დამოკიდებულება ინკლუზიური განათლებისადმი, კლასგარეშე და სოციალური ღონისძიებების ნაკლებობა;
- მატერიალური და ფინანსური ასპექტები: სკოლის ფიზიკური გარემოს მდგომარეობა, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, სატრანსპორტო მომსახურება, სკოლის ფინანსური რესურსები (სპეციალისტების დასაქმებისთვის/

სპეციალური სასწავლო მასალების/ინვენტარის შეძენისთვის/ფიზიკური გარემოს ადაპტირებისთვის; ადგილობრივ დონეზე სსსმ ბავშვებისთვის სხვადასხვა სერვისის (სამკურნალო, განათლების ალტერნატიული ფორმების) არარსებობა;

- **რეგულაციები და სამართლებრივი ასპექტები** ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი რეგულაციები და მათი განხორციელება, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, სსსმ მოსწავლის სტატუსი.

სკოლის თანამშრომელთა 38%-მა აღნიშნა, რომ აქვს სსსმ მოსწავლეთა სწავლების გამოცდილება (სწავლების საშუალო ხანგრძლივობა – 2 წელი და 7 თვე). რესპონდენტთა უმრავლესობისთვის (92.3%) კითხვარის შევსებამდე ნაცნობი იყო ტერმინი „ინკლუზიური განათლება". ინფორმაციის წყაროდ ისინი ყველაზე ხშირად ასახელებდნენ ეროვნულ სასწავლო გეგმას. დიაგრამა 1 ასახავს სკოლის თანამშრომელთა მიერ დასახელებული ინკლუზიური განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების სხვადასხვა წყაროს განაწილებას.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი კვლევის შედეგებთან შედარებით, ფოკუს ჯგუფებში სკოლის თანამშრომლებისა და მშობლების ზოგადი დამოკიდებულება ინკლუზიური განათლებისადმი უფრო ნეგატიური იყო. აგრეთვე, ზემოთ ჩამოთვლილი თითქმის ყველა ხელისშემშლელი ფაქტორი უფრო მწვავედ წარმოჩინდა ფოკუს ჯგუფებში, ვიდრე რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისას. მაგალითად, მაშინ, როდესაც ფოკუს ჯგუფების თითქმის ყველა მონაწილე უკიდურესად უარყოფითად აფასებდა სსსმ მოსწავლეთა სწავლებისთვის მასწავლებელთა პროფესიულ უნარებს, რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზისას აღმოჩნდა, რომ სკოლის თანამშრომელთა მხოლოდ 28%-მა შეაფასა უარყოფითად აღნიშნული ინდიკატორი. ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ სკოლის თანამშრომელთა მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული პრიორიტეტი იყო სწორედ ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებით მასწავლებელთა გადამზადება. ინკლუზიური განათლების წარმატებით დანერგვისთვის ორივე ჯგუფში (სკოლის თანამშრომლები და მშობლები) რესპონდენტთა უმრავლესობამ ერთი და იგივე საჭირო აქტივობები დაასახელა შემდეგი თანმიმდევრობით: მასწავლებელთა გადამზადება, სკოლის ფიზიკური გარემოს ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთათვის დაფინანსების გაზრდა. ღონისძიებების მთლიანი ჩამონათვალის გათვალისწინებით სკოლის თანამშრომელთა მიერ დასახელებული პრიორიტეტების სიხშირეები მოცემულია დიაგრამაზე 2.

კვლევის შედეგად სკოლის თანამშრომელთაგან მოპოვებული მონაცემების ანალიზის დროს გამოიყო აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული სამი ფაქტორი: მასწავლებელთა პროფესიონალიზმი სსსმ მოსწავლის სწავლების საკითხებში, პედაგოგის ინსტიტუციონალური მხარდაჭერა (სხვადასხვა სპეციალისტის არსებობა სკოლაში, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა), მასწავლებლების

ONLINENEWS.GE
უახლესი ამბების პორტალი
www.onlinenews.ge

დიაგრამა 1. სკოლის თანამშრომელთა მიერ დასახელებული ინკლუზიური განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები



დამოკიდებულება ინკლუზიური განათლებისადმი. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო დადებითად აფასებს რესპონდენტი სკოლაში მასწავლებელთა დამოკიდებულებას ინკლუზიური განათლებისადმი, მით უფრო მეტად ეთანხმება ის იმ დებულებას, რომ სსსმ მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარება უკეთ მოხდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ვიდრე სპეციალურ სკოლაში. აგრეთვე, ისინი, ვისაც

დიაგრამა 2. სკოლის თანამშრომელთა მიერ დასახელებული პრიორიტეტები



მიაჩნიათ, რომ სსსმ მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ხელს შეუწყობს მისი აკადემიური უნარების განვითარებას, უფრო დადებითად აფასებენ სკოლაში მასწავლებელთა დამოკიდებულებას ინკლუზიური განათლებისადმი და მათ პროფესიონალიზმს. საინტერესოა, რომ ინსტიტუციონალური მხარდაჭერის ფაქტორი არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სკოლის თანამშრომელთა დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად. სავარაუდოდ, სსსმ ბავშვების სწავლების პროცესში ამგვარი ხელშეწყობის ნაკლებობის გამო, რესპონდენტები სათანადოდ ვერ აფასებენ მის მნიშვნელობას და შესაძლო დადებით ეფექტებს.

გამოიყო ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებული სამი ფაქტორი: სკოლის სოციალური გარემო, სხვა მოსწავლეთა მშობლებისა და საზოგადოების დამოკიდებულება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გარემოს ზეგავლენა სსსმ ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე. შედეგები ცხადყოფს, რომ სკოლის თანამშრომლები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სსსმ ბავშვები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში თავს უკეთ იგრძნობენ, ვიდრე სპეციალურ სკოლაში, უფრო დადებითად აფასებენ სკოლაში არსებულ სოციალურ გარემოს და სხვა მოსწავლეთა მშობლებისა და საზოგადოების დამოკიდებულებას.

როგორც მშობლები, ისე სკოლის თანამშრომლები სკოლის არსებულ ფიზიკურ გარემოს (მაგალითად, საპირფარეშოს მდგომარეობა, ინვენტარის მდგომარეობა და ა.შ.) ნეგატიურად და სსსმ ბავშვთა საჭიროებებისთვის შეუფერებლად აფასებენ. სკოლის თანამშრომელთა მხოლოდ 15.5%-მა აღნიშნა, რომ მათ სკოლას აქვს ფინანსური რესურსები იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს სკოლის გარემოს ადაპტაცია.

მართალია, გამოკითხულ თანამშრომელთა უმრავლესობა (69.2%) თვლის, რომ საქართველოში არსებობს ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის აუცილებელი კანონები და სამართლებრივი აქტები, მაგრამ თითქმის ამდენივეს მიაჩნია, რომ ისინი გადახედვასა და დახვეწას მოითხოვს. რესპონდენტთა დაახლოებით 50%-ის აზრით, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციული და მეთოდოლოგიური რესურსები (ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ტერმინების განმარტებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდები, სსსმ მოსწავლის აკადემიური შეფასება) მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ მშობლები და სკოლის თანამშრომლები სსსმ ბავშვების მიმართ სხვა მოსწავლეთა დამოკიდებულებას არც ისე დადებითად აფასებენ, თავად მოსწავლეები ძირითადად პოზიტიურ განწყობას ამჟღავნებენ საკუთარი დამოკიდებულების აღწერისას (მოსწავლეთა მხოლოდ 7%-მა აღნიშნა, რომ ხელი შეეშლება სწავლაში, თუ მის კლასში ისწავლიან სსსმ ბავშვები, თუმცა შედარებით უარყოფითია სხვა ბავშვების დამოკიდებულების მათეული ხედვა).

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სკოლის თემის წარმომადგენლებს მეტ-ნაკლებად მსგავსი შეხედულებები აქვთ ინკლუზიური განათლების დანერგვისთვის არსებულ საჭიროებებთან დაკავშირებით. ცხადია, გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში რესპონდენტთა პოზიციები გარკვეულწილად სუბიექტურია და შესაძლოა, რეალობას არ ასახავდეს (მაგალითად, მასწავლებლის მიერ საკუთარი პროფესიული უნარების შეფასება, მშობლის მიერ საკუთარი დამოკიდებულების აღწერა და ა.შ.), თუმცა სხვა საკითხებთან დაკავშირებით მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინება სასარგებლო იქნება ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში.

სინგაპურის ერთადერთი ბუნებრივი რესურსი



ირაკლი კაკაბაძე

სინგაპური უნიკალურია, მხოლოდ ეს განსაზღვრება შეგვიძლია გამოვიყენოთ როცა სინგაპურზე ვსაუბრობთ, სხვა უკეთესსა და ზუსტს ვერ მოვიფიქრებთ. ეს პატარა კუნძულოვანი ქალაქი-სახელმწიფო გულგრილს არავის ტოვებს, ვინც კი ერთხელ ნახავს, ყველა გაოცებულია – როგორ მოახერხა ამ ხალხმა, ასე მცირე დროში (სინგაპურმა დამოუკიდებლობა 1965 წელს გამოაცხადა), ამ პატარა ტერიტორიაზე, ასეთი უნიკალური სახელმწიფოს შექმნა ცხოვრების ასეთი მაღალი სტანდარტითა და დონით.

სინგაპური მდებარეობს მალაიზიის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. სინგაპური გამოყოფილია მალაიზიიდან იოჰორის სრუტით, ხოლო ინდონეზიიდან – სინგაპურის სრუტით. სინგაპური არის მსოფლიოს მეოთხე წამყვანი ფინანსური ცენტრი და კოსმოპოლიტური ე.წ. „მსოფლიოს ქალაქი“, რომელიც დღეს ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს საერთაშორისო ვაჭრობასა და ფინანსებში. მისი ფართობი 710,2 კვადრატული კილომეტრია, შედგება ერთი დიდი და 63 პატარა კუნძულისაგან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ 60-ანი წლებიდან დაწყებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ზღვის ტერიტორიის შემოერთებას, მისი ფართობი თანდათანობით იზრდება.

ცხოვრების დონის მიხედვით, საუკეთესოა აზიაში და მე-11 ადგილზეა მსოფლიოში. სინგაპურის პორტი არის წამყვან ხუთეულში ყველაზე დატვირთულ პორტებს შორის, ხოლო სინგაპურის შეიარაღებული ძალები – ტექნოლოგიურად ყველაზე კარგად აღჭურვილი აზიაში.

სინგაპურის მოსახლეობა დაახლოებით 4,9 მილიონი ადამიანია. ძირითად მოსახლეობას ჩინელები, მალაიელები და ინდოელები შეადგენენ, ამიტომაცაა, რომ ქვეყანაში 4 ოფიციალური ენაა: ჩინური, მალაიური, ინდური (ტამილური) და ინგლისური.

მე-14 საუკუნემდე სინგაპურს „საზღვაო ქალაქს“ უწოდებდნენ, მაგრამ ამ პერიოდში ბევრი აკლდა „ქალაქამდე“, რადგან ხშირად ისტორიულ წყაროებში მოიხსენიებენ, როგორც მეთევზეთა სოფელს. მოგვიანებით კი სინგაპური (singapura) ეწოდა, რაც სიტყვასიტყვით „ლომის ქალაქს“ ნიშნავს და რასაც ერთი ლეგენდა უკავშირდება, რომლის მიხედვით, ძველის ძველად, როცა სინგაპურის ადგილას მხოლოდ გაუვალი ტყე იყო, კუნძულ სუმატრაზე ცხოვრობდა პრინცი, რომელსაც სანგ ნილა უტამა ერქვა, რომელიც ერთხელ, ნადირობისას, მაღალ მთაზე ასულა, საიდანაც დაუნახავს ულამაზესი სანაპირო და საუკეთესო ადგილები ნადირობისთვის. პრინცმა შეკრიბა

ერთგული მსახურები და უცნობი ადგილების მოსანახულებლად გაუდგა გზას. გზაში მათ ხომალდს ქარიშხალი დაატყდა თავს და ყველანი იღუპებოდნენ, სანგ ნილა უტამამ თავისი გვირგვინი გადააგდო ზღვაში, მსხვერპლშეწირვის მიზნით და ზღვის ღელვაც ჩადგა. ნაპირზე გამოსულებმა კი დაინახეს ცხოველი, როგორიც არასოდეს ენახათ, იგი ლომს ჰგავდა, მაგრამ ლომისგან განსხვავებით, მას წითელი ტანი ჰქონდა, თეთრი მკერდით და შავი თავი. ცოტა ხნის შემდეგ ლომი გაუჩინარდა. პრინცმა გადაწყვიტა ამ კუნძულზე დასახლება და მას უწოდა სინგაპური – „ლომის ქალაქი“.

სინგაპურის მთავარი ისტორია, მაინც მე-19 საუკუნეში დაიწყო, როცა აქ მსოფლიოს

სინგაპურის მთავრობა საკუთარ მოსახლეობას ხშირად მოიხსენიებს, როგორც ერთადერთ ბუნებრივ რესურსს და ამ რესურსის მთავარ ღირებულებად განათლებას.

უდიდესი ორგანიზაციები და კომპანიები გამოჩნდნენ, ძირითადად, ბრიტანეთიდან, 1819 წელს ტომას სტემფორდ რაფლზმა კუნძულზე დააარსა ბრიტანული პორტი, რის შემდეგაც ის გახდა ინდო-ჩინეთისა და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი. იყო დრო, როცა ის დღევანდელი მალაიზიის შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა სოციალური შეუთავსებლობისა და სინგაპურისა და მალაიზიის პოლიტიკური პარტიებს შორის განხეთქილების გამო გამოეყო მას და გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მანამდე კი გადაიტანა ჩინური, ბრიტანული და იაპონური კოლონიური მმართველობები.

სინგაპურის მთავრობა საკუთარ მოსახლეობას ხშირად მოიხსენიებს, როგორც ერთადერთ ბუნებრივ რესურსს და ამ რესურსის მთავარ ღირებულებად განათლებას. თანამედროვე ეტაპზე მთავრობა ეკონომიკური მიმართულების სამი ძირითადი პრიორიტეტის განვითარებაზე მუშაობს – ჯანმრთელობა, ბიომედიცინა და განათლება.

ქვეყანა ცდილობს გადაიქცეს გლობალურ საგანმანათლებლო ცენტრად, რისთვისაც მილიონობით დოლარი იხარჯება. სინგაპურის მთავრობის გათვლით, 2012 წლისთვის არა ნაკლებ 15 000 უცხოელი სტუდენტი ისწავლის მათ უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში. ახლო წარსულში კი განათლების რეფორმის ფარგლებში სახელმწიფო თავად აფინანსებდა საკუთარ ახალგაზრდებს უცხოეთის საუკეთესო უნივერსიტეტებში სასწავლებლად, ხოლო ცალკე მუშაობდა სახელმწიფო პროგრამა სამშობლოში დაბრუნებულთათვის საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად.

სინგაპურის განათლების სისტემის მთავარი მიზანია, განავითაროს ყველა ადამიანის შესაძლებლობები ისე, რომ მას შეეძლოს, თავისი წვლილი შეიტანოს ეკონომიკის განვითარებაში და მუდმივ ბრძოლაში – რაც შეიძლება პროდუქტული და კონკურენტუნარიანი იყოს ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს პოლიტიკა განათლების სფეროში რამდენიმე პრინციპს ეფუძნება:

- წიგნიერება;
- ანგარიში და მათემატიკური უნარები;
- ბილინგვურობა;

- მორალური აღზრდა;
- ფიზიკური აღზრდა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიებით გამდიდრება.

განათლების რეფორმა სინგაპურში რამოდენიმეჯერ განხორციელდა და ყველა დროს სხვადასხვა პრიორიტეტი ქონდა, მაგალითად:

- განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის (1965-1978წწ);
- პროგრამების, მეთოდებისა და რესურსების დახვეწა, განვითარება (1978-1997წწ);
- ინდივიდუალური შესაძლებლობების ხელშეწყობა, განვითარება და წახალისება (1997წ);
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (1997).

განათლების სისტემა სინგაპურში აგებულია ბრიტანული სისტემის მიხედვით და ყველა წარმომავლობის ჯგუფებს შორის, სკოლაში გადაიტანა და აღზრდის მეთოდებსა და მიზნებს დაუქვემდებარა.

ოჯახების მხრიდანაც ინტერესი და დაკვეთა განათლებაზე დიდია, მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში. ალბათ, ეს იქიდანაც არის გამოწვეული, რომ აქ დაწყებითი სკოლიდან გამოცდითა და აკადემიური მიღწევებით მოსწავლეები კლასებში საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით იყოფიან ე.წ. „სუსტებად“ და „ძლიერებად“. სინგაპურის განათლების ექსპერტები ასეთ დაყოფას იმით ამართლებენ, რომ ასეთ კლასებში სახელმწიფოს, სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს განსხვავებული მიდგომა და მეთოდები გააჩნიათ. შესაბამისად ერთი და იგივე ასაკის მოსწავლეებს სასწავლო პროგრამებიც განსხვავებული

საგნის სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, თუმცა, ბავშვები სკოლაში მშობლიურ ენებსაც სწავლობენ. სკოლა ყველა ეთნიკური ჯგუფის დაახლოების ადგილია. განათლებამ ყველა ოჯახი, მიუხედავად წარმოშობისა, ერთ გარემოში გააერთიანა. ქვეყნის შიდა პრობლემა, მაგალითად ურთიერთობები განსხვავებული რელიგიური მრწამსისა და ეთნიკური აქვთ და სახელმძღვანელოები დონეების მიხედვით იყოფა.

მშობლები ცდილობენ, სკოლის გარეთაც დატვირთონ შვილები, სინგაპურში პოპულარულია სპეციალური კერძო სკოლები, სადაც ბავშვები ძირითად საგნებში ან პროფილური მიმართულების საგნებში ემზადებიან.

სინგაპურის განათლების სისტემა



ყველა სახელმწიფო თუ კერძო სკოლა ხელმძღვანელობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო პროგრამით, რომლის მთავარ მიმართულებებს წარმოადგენს:

- განსხვავებული სწავლება ნიჭიერი მოსწავლეებისთვის;
- სუსტი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების დახმარება;
- უცხო ენების გაძლიერებული სწავლება;
- სამეცნიერო კვლევების პროგრამა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები);
- ხელოვნების არჩევითი საგნები;
- პროგრამა სასკოლო წრეებისა და კლუბებისთვის.

განათლების პროგრამას სინგაპურელი ბავშვები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 3-4 წლის ასაკიდან იწყებენ. სკოლამდელი განათლება სავალდებულო არ არის, თუმცა, ყოველწლიურად მეტ მშობელს მიყავს საკუთარი შვილი საბავშვო ბაღში.

დაწყებით სკოლაში სწავლა სავალდებულოა და ბავშვები 7 წლის ასაკიდან შედიან. დაწყებითი განათლება 6 წლიანია, ხოლო სწავლების შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად მოსწავლეები სახელმწიფო გამოცდას აბარებენ ინგლისურში, ესთეტიკურ საგნებში, მშობლიურ ენასა და მათემატიკაში.

მოსწავლეები სკოლის ყველა საფეხურის დამთავრების შემდეგ იღებენ ატესტატს და აბარებენ სახელმწიფო გამოცდებს მომდევნო ეტაპზე სწავლის გასაგრძელებლად. საბაზო სკოლა 4 ან 5 წლიანია, გააჩნია მოსწავლე რომელი დონის და შესაძლებლობების ჯგუფში მოხვდება. ხოლო საშუალო სკოლის შემდგომი ეტაპი ოთხ მიმართულებად იყოფა:

- პროფესიული კოლეჯი (2წელი)
- საუნივერსიტეტო სკოლა (3 წელი)
- ტექნიკური მიმართულებების სკოლა (3 წელი)
- ტექნოლოგიების ინსტიტუტი (3 წელი)

აქედან უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა და უფლება მხოლოდ საუნივერსიტეტო სკოლის კურსდამთავრებულებს აქვთ. არსებობს გამონაკლისიც, თუ მოსწავლე რომელიმე საშუალო განათლების სასწავლებელს წარმატებით დაამთავრებს და მოხვდება საუკეთესო 5%-ში, მას უფლება ეძლევა, ჩააბაროს უნივერსიტეტში.

სახელმწიფო აქტიურ კოორდინაციას და პოპულარიზაციას უწევს პროფესიულ განათლებას, რათა გაზარდოს რაოდენობა სტუდენტებისა, რომელთაც ექნებათ კვალიფიკაცია ტექნიკურ სფეროში. ამისათვის კი საუკეთესო პირობებია შექმნილი პროფესიულ კოლეჯებსა და სასწავლებლებში. ხოლო ძლიერი კონკურენცია, რომელიც მათ შორის არსებობს, მაღალ ხარისხს განაპირობებს.

სინგაპური უნიკალურია, რადგან აქ ყველაფერი, დიდი თუ პატარა საქმე წვრილმანების დონეზეა დაგეგმილი და გათვლილი, ხოლო სახელმწიფოს ურყევი პოლიტიკა და ხედვა, რომ განათლება ანუ კვალიფიციური და პროფესიონალი კადრები ქვეყნის წარმატების ყველაზე დიდი პირობაა, თანამედროვე სინგაპურის მაგალითზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამართლებს.

განსაკუთრებული სიახლე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის!

2011 წლის აპრილის ბოლოს გამომცემლობა „დიოგენე“ თბილისში წიგნის ახალ, თანამედროვე მაღაზიას ხსნის. მაღაზიის კონცეფცია წიგნის მოყვარულთათვის განსაკუთრებული კომფორტის შექმნას ისახავს მიზნად. ბევრ სხვა საინტერესო იდეასთან ერთად, ჩვენ პირველები გთავაზობთ ფასდაკლებისა და დაგროვების ბარათების სისტემას.

„მასწავლებლის სპეციალური ფასდაკლების ბარათი“ საშუალებას აძლევს ყველა პედაგოგს, ისარგებლოს წიგნის მაღაზია „დიოგენეში“ 10%-იანი ფასდაკლებით წიგნებსა და სუვენირებზე მიმდინარე წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე.

ამოჭერით „მასწავლებლის სპეციალური ფასდაკლების ბარათი“ და წარადგინეთ წიგნის მაღაზია „დიოგენეში“ პედაგოგის მოწმობასთან, ან სკოლიდან ცნობასთან ერთად. გარდა იმისა, რომ თქვენ ისარგებლებთ განსაკუთრებული ფასდაკლებით, საჩუქრად მიიღებთ დაგროვების ბარათსაც. დაგროვების ბარათზე დარიცხული ქულებით ჩვენსავე მაღაზიაში შეგიძლიათ აირჩიოთ საჩუქარი: წიგნები/ხელნაკეთი ნივთები/სუვენირები.

წიგნის მაღაზია „დიოგენე“ განსაკუთრებულ ფასდაკლებას სთავაზობს აგრეთვე სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს. წარადგინეთ მაღაზიაში მოსწავლის/სტუდენტის ბარათი ან დაბადების მოწმობის ასლი და თქვენ წლიურ 10%-იან ფასდაკლებას მიიღებთ.

წიგნის მაღაზია „დიოგენე“ – გაგათლებისა და წიგნიერების მხარდასაჭერად!

დაიმახსოვრეთ ჩვენი მისამართი:
თბილისი, ანდრია აფაქიძის №9
(სპორტის სასახლის გვერდით, „მორკინალთან“)

ყველა მათთვის მეტორმეტკლასელისა და მათი მასწავლებლების საყურადღებოდ!

ძვირფასო მეგობრებო! სულ რამდენიმე კვირაც და საატესტატო გამოცდები დაიწყება, თუმცა თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ დრო იმისათვის, რომ საფუძვლიანად მოემზადოთ ამ საპასუხისმგებლო მოვლენისათვის. თქვენთვის რომ შრომა გაეადვილებინა, გამომცემლობა „დიოგენემ" გამოსცა რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელო სხვადასხვა საგანში, რომლებიც სავსებით შეესაბამება საატესტატო საგამოცდო პროგრამას. ამასთან, ეს სახელმძღვანელოები კომპაქტურია და მათი დამუშავება მოკლე დროშიც შეიძლება. ჩვენი სახელმძღვანელოები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ნებისმიერ მოსწავლეს: ძლიერებს – საგნის გამეორებაში, სუსტებს კი – მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვაში. ახლა კი რამდენიმე სიტყვით გაგაცნობთ თითოეულ სახელმძღვანელოს და მათ ავტორებს:

ბიოლოგია

დამხმარე სახელმძღვანელო მეთორმეტე კლასისათვის.
ავტორები: ლამარა ბურდილაძე, მარინე ბაგალიშვილი.



ბიოლოგია

კონსპექტი საატესტატო გამოცდისათვის.
ავტორი მალხაზ მაყაშვილი

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია

საატესტატო საგამოცდო საკითხების კრებული.
ავტორი დავით ფერაძე

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია

XI-XII კლასები. კონსპექტი საატესტატო გამოცდისათვის და ტესტები. ავტორი ბესიკ ლორთქიფანიძე



ქიმია

დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის.
ავტორები: ჟუჟუნა პეტრიაშვილი, ნელი მაისურაძე



ქართული ლიტერატურა

დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის.
ავტორი თამაზ ვასაძე

გეოგრაფია

დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის. ავტორები: გია ჭანტურია, მაია ბლიაძე

თბილისი 0171, ა. აფაქიძის 9, ტელ: 21 33 21 diogene.ge

ღვინო და განათლება თანამედროვე საქართველოში



მალხაზ ხარბედია

ქართული ღვინის პრობლემები დიდწილად სწორედ გაუნათლებლობაში მდგომარეობს – იმაში, რომ ძალიან ცოტა ვინმე ზრუნავს, ტრადიციული მევენახეობისა და მეღვინეობის საკითხებს ეზიარონ ბავშვები.

ღვინო რომ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ქართული პროდუქტია, ამაზე, მე მგონი, არავინ კამათობს, თუმცა ღვინის განათლების კუთხით საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიო ღვინის სამშობლოდ მიგვიჩნევს, ჩვენს ქვეყანაში ღვინის ცნობადობა მაინც დაბალია. მერე რა, რომ ჩვენში უზარმაზარი რაოდენობით ღვინო ისმება, სამაგიეროდ, უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს, რას ნიშნავს ხარისხიანი ღვინო; არ იციან გარჩევა, არ ინტერესდებიან ღვინის წარმოშობით, არ ფიქრობენ ღვინის ჯიშურ შემადგენლობაზე, ღვინისა და კერძის შეხამებაზე. საქართველოს კვების დაწესებულებების უმრავლესობაში, როგორც წესი, გაუგებარი წარმოშობის სასმელი იყიდება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ღვინოსთან, არადა ამ დაწესებულებებში ყველაზე მეტ „ღვინოს“ მოიხმარენ და დღესდღეობით სწორედ ისინი წარმოადგენენ ქართული მეღვინეობისთვის მთავარ საფრთხეს. შედეგად მივიღეთ ის, რომ ნამდვილი ღვინის ნაცვლად, მომხმარებელთა ერთი ნაწილი მიირთმევს გაკეთებულ ღვინოს, მეორე ნაწილი კი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ რესტორნებში, როგორც წესი, უვარგისი ღვინო აქვთ, არაყს და სხვა მაგარ სასმელს მიეძალა, ასევე უხარისხოს.

ამ მხრივ მძიმე ვითარებაა ახალგაზრდებში. ლუდის სმას ბავშვები 13-14 წლის ასაკიდან იწყებენ, უფროსკლასელები და სტუდენტები კი სმის რაციონს ლუდთან ერთად არაყსაც უმატებენ. არყის სმა კარგ ტონადანაც ითვლება. ბოთლიც ლამაზად გამოიყურება, ყინულიც კარგად ჩხრიალებს არყიან ჭიქაში, არაყი მალე ათრობს და ადუნებს დამლევს. ღვინო მას ვერ შეედრება ამგვარი ეფექტებით, ღვინო ხომ უფრო მშვიდი და ღრმა სასმელია.

ცხადია, როდესაც საუბარს ალკოჰოლიზმის პრობლემაზე ვიწყებთ, ღვინოსა და არაყს შორის განსხვავება მნიშვნელობას კარგავს. ალკოჰოლიზმს ხომ ორივე იწვევს, ასევე ლუდი და ალკოჰოლის შემცველი ბევრი სხვა სასმელიც. რა თქმა უნდა, მოზარდების ალკოჰოლისადმი მიდრეკილება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, მაგრამ დღევანდელ წერილში მას მხოლოდ ნაწილობრივ შევეხები, რადგან დღეს ჩვენ ღვინის განათლებაზე ვისაუბრებთ – საკითხზე, რომელზედაც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, ჯანსაღი თაობების აღზრდა.

ჯერჯერობით მხოლოდ ღვინის ენთუზიასტები ვფიქრობთ, რომ ღვინის განათლება უმნიშვნელოვანესი თემაა. ბევრი ირონიულად უყურებს ამ საკითხს, ბევრი ეჭვის თვალით, ერთი რამ კი ცხადია: ტრადიციული მეღვინეობის ქვეყანაში მოზარდი მეტ ინფორმაციას უნდა ფლობდეს ვენახსა და ღვინოზე, ახალგაზრდობა კი უფრო მეტად უნდა ინტერესდებოდეს ადგილობრივი ღვინოებით. ეს ღვინის განათლების უქონლობის გარდა, უფერული ქართული ღვინის ბაზრითაცაა გამოწვეული,

რადგან თითო-ოროლა ღვინის კომპანიას თუ არ ჩავთვლით, არავინ ინტერესდება ახალგაზრდული თემით, არავინ ცდილობს, თანამედროვე ენაზე წარუდგინოს თანამედროვე ადამიანებს ქართული ტრადიციული პროდუქტი, რის გამოც ღვინო ხანდახან რეგრესის სიმბოლოდაც კი აღიქმება.

„ღვინის კლუბი“, უკვე 2 წელია, ქართული ღვინის პოპულარიზებითაა დაკავებული და ჩვენი უმთავრესი ამოცანა სწორედ ამ ე.წ. ღვინის ნიჰილიზმის დაძლევაა. ამ მიზნებს ემსახურება ჩვენი ყოველკვირეული სხდომები და სემინარები, ყოველთვიური დეგუსტაციები, სხვადასხვა ღონისძიება და აქცია, რომელთაგან, პირველ რიგში, გამოვყოფდი „ახალი ღვინის ფესტივალს“ (გაიმართა გასული წლის მაისში და წელსაც აუცილებლად ჩატარდება), ღვინისა და კერძის შეხამების აქციებს და სხვ. ყოველდღიურად ახლდება ჩვენი საიტი vinoge.com, ხოლო ფორუმზე forum.vinoge.com ძალიან საინტერესო პოლემიკები იმართება ხოლმე ღვინისა და კულტურის თემებზე.

გასულ წელს, თებერვალში ჩვენი ფორუმის ერთ-ერთმა მომხმარებელმა თემა გახსნა, სახელწოდებით „ალკოჰოლი და ბავშვები“, სადაც წარსულისა და თანამედროვეობის მეტად მტკივნეულ საკითხს შეეხო, კერძოდ იმას, თუ რა ზიანი მოაქვს ბავშვობიდან ღვინის დაგემოვნებას, უფროსების მიერ სასმელის გასინჯვინებას და ა.შ. საკითხის ასე დასმას მომხრეებზე მეტად მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ, რომლებსაც მრავალი ქვეყნის გამოცდილება მოჰყავდათ, სადაც უფროსები ბავშვობიდანვე აზიარებდნენ შვილებსა და შვილიშვილებს ღვინის კულტურას. ერთ-ერთმა მომხმარებელმა ასეთი რამ დაწერა ფორუმზე: „სხვათა შორის, ეს ტრადიცია მეღვინეობის ყველა ქვეყანაშია. არაერთხელ წამიკითხავს, თუ როგორ ასმევდა ამა თუ იმ ცნობილ მეღვინეს ბავშვობიდან ღვინოს მამა ან უფრო ხშირად ბაბუა. ასეა, მეღვინეობა სახიფათო პროფესიაა. საქმე ისაა, რას აჩვევ ბავშვს – გამწე (კაცური) სმისთვის ამზადებ, თუ ღვინის ცოდნასა და სიყვარულს ასწავლი“.

მართლაც, ძალიან სახიფათოა, ადრეული ასაკიდან აზიარო ბავშვი ღვინოს, თუკი ზუსტად არა გაქვს გაცნობიერებული, რისთვის

„მიმაჩნია, რომ სკოლების ეზოებში (განსაკუთრებით, ქალაქში) უნდა არსებობდეს ქართული ტრადიციული მარნები საწნახელით, ქვევრებით და სხვა ეთნოგრაფიული აქსესუარებით, სადაც ბავშვები პრაქტიკულადაც შეისწავლიან იმას, რაც სხვადასხვა კლასის სახელმძღვანელოებში გაბნეულია თეორიის დონეზე.“

აკეთებ ამას. მხოლოდ ზერელე წარმოდგენებზე დაფუძნებული ფსევდო-ტრადიციონალიზმი მავნებელი იქნება. ეს ყველაფერი ცოდნაზე უნდა იყოს დამყარებული და ასეთ ენთუზიასტებს მკაფიოდ უნდა ესმოდეთ სამომავლო შედეგების დადებითი თუ უარყოფითი მხარეები.

ცხადია, საკითხის ჭკვიანურად გადაწყვეტის შემთხვევაში, შედეგი მხოლოდ დადებითი იქნება და ბევრ პრობლემას აგვაცილებს თავიდან. ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი პოსტი, რომელიც ზემოხსენებულ თემაში დაიწერა, „ღვინის კლუბის“ წევრს, ჟურნალისტ ალეკო ცქიტიშვილს ეკუთვნის, რომელიც შეეცადა, ბევრ საკითხს შეხებოდა:

„თუ საქართველო მეღვინეობის აკვანია, საქართველოს მოქალაქემ მთლად აკვნიდან თუ არა, პატარაობიდანვე მაინც უნდა იცოდეს, რა არის ღვინო. მიმაჩნია, რომ ჩვენი ბავშვები როცა გაიზრდებიან, არასოდეს გალოთდებიან, თუკი ქართული ტრადიციების შესახებ სკოლაში სწორად მივაწვდით ინფორმაციას და ვასწავლით, რას ნიშნავდა ვენახი ქართველი კაცისთვის, რას წარმოადგენდა ღვინო მისთვის, როგორი ჭურ-მარანი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს, როგორ მონაწილეობდნენ ბავშვები ვენახის სამუშაოებში, რთველში, ღვინის შექმნაში და ა.შ. მათ ასევე უნდა ავუხსნათ, რომ ქართველი კაცი ღვინოს დასათრობად არ სვამდა. ძველად საქართველოში საკმარისი იყო, ვინმე თუნდაც ერთხელ ენახათ მთვრალი და მას სამუდამოდ უტყდებოდა სახელი, როგორც ლოთს, სამარცხვინო ადამიანს.

ბავშვებმა უნდა იცოდნენ ქართული სუფრის წეს-ჩვეულებები. რაც მთავარია, კარგი იქნება, თუ ისინი ხშირად მიიღებენ მონაწილეობას ვენახის მოვლაში, რთველში და ღვინის დაწურვაში. ამ დროს მიღებული ინფორმაცია ბავშვს კულტურულ ადამიანად ჩამოაყალიბებს.

მიმაჩნია, რომ სკოლების ეზოებში (განსაკუთრებით, ქალაქში) უნდა არსებობდეს ქართული ტრადიციული მარნები საწნახელით, ქვევრებით და სხვა ეთნოგრაფიული აქსესუარებით, სადაც ბავშვები პრაქტიკულადაც შეისწავლიან იმას, რაც სხვადასხვა კლასის სახელმძღვანელოებში გაბნეულია თეორიის დონეზე“.

სახელმძღვანელოებზე ვერაფერს გეტყვით. არ ვიცი, ღვინოსთან დაკავშირებული რა ტექსტებია გაბნეული იქ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სკოლას ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს ამ თვალსაზრისით, თან ისე, რომ ამ ყველაფერს არც რელიგიური რიტუალის სახე მიეცეს და ეს არც რაიმე სავალდებულო ფორმით ჩამოყალიბდეს.

სწავლების თამაშებრივი პრინციპი და ღვინის განათლება თანამედროვე გასართობად შეიძლება ვაქციოთ, როდესაც ბავშვები ძალდატანების გარეშე შეისწავლიან საგანს, სიამოვნებით და ინტერესით. საგანიც პირობითად ერქმევა ამას, რადგან ეს იქნება კლასგარეშე აქტივობა, ზოგჯერ ექსკურსიებზე მიბმული, ზოგჯერ გარკვეულ აქციებთან დაკავშირებული (რომლებიც სკოლაშიც შეიძლება ჩატარდეს და სკოლის გარეთაც). საშუალო კლასებში ღვინის გასინჯვის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, აკრძალული უნდა იყოს, უფროსკლასელების შემთხვევაში კი, მცირე დეგუსტაციებიც შეგვიძლია დავუშვათ, რათა მათ თავისი პატარა აღმოჩენები გააკეთონ ღვინოსთან დაკავშირებით. ეს მოზარდებს მხოლოდ დაიცავს და ისინი, უკვე სტუდენტობის ასაკში, უფრო ყურადღებით აარჩევენ პროდუქტს და სხვასაც დაეხმარებიან არჩევანში. ცხადია, ამ ასაკში ღვინის გასინჯვა საკამათო თემაა და ძნელია გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ 15-17 წლის ყმაწვილებს ზოგადი წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეთ ქართული ღვინის ისტორიაზე, ძირითად ჯიშებზე, ღვინის ტიპებზე და ა.შ. ასეთი ცოდნით ისინი უკვე თავად გახდებიან ქართული ღვინის ელჩები აქაც და უცხოეთშიც – იმ ქვეყნებში, სადაც მათ შესაძლოა სწავლა გააგრძელონ.

ამ საკითხით, განათლების სისტემისა და ხელისუფლების გარდა, ვფიქრობ, ძალიან უნდა იყოს დაინტერესებული ღვინის სექტორიც – ის მსხვილი თუ მცირე ღვინის საწარმოები, რომლებიც დღეს ქართული მეღვინეობის სახეს წარმოადგენენ. ეს ახალგაზრდები ხომ, პირველ რიგში, სწორედ მათი ღვინის მომხმარებლები გახდებიან და მათთან, როგორც გათვითცნობიერებულ (და არა ზერელე) მომხმარებელთან აქტიური და ნაყოფიერი ურთიერთობით სულ მალე მართლაც შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა.

რაც მთავარია, საქართველოში არსებობს ამის პრეცედენტი. უკვე არაერთ სკოლაში სცადეს, დაენერგათ ღვინის პრაქტიკული ცოდნა. ჩვენი ფორუმის ზემოხსენებულ თემაში მრავალი მაგალითია მოყვანილი, თუ როგორ აზიარებენ ბავშვებს ღვინის კულტურას. აი, როგორ გამოეხმაურა ერთ-ერთი სკოლის მესვეური ჩემს შეთავაზებას:

„1-მა ექსპერიმენტულმა სკოლამ ასეთი პროექტი მოამზადა: „თბილღვინოსთან“ ერთად მოსწავლეები წავიდნენ რაჭაში, სადაც მოკრიფეს ყურძენი და ქარხანაში დაესწრნენ მის დაწურვა-დაბინავებას. შემდეგ კომპანიამ საჩუქრად გამოგზავნა რამდენიმე ყუთი ღვინო იმის დამადასტურებელი სერტიფიკატით, რომ მის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის

> „უმცროს თაობას, მოზარდებს, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ ყველაზე მეტი შანსი, ხელი შეუწყონ ადგილობრივი ღვინის ტურიზმის დაბადებას საქართველოში.“

„ ძალიან სახიფათოა, ადრეული ასაკიდან აზიარო ბავშვი ღვინოს, თუკი ზუსტად არა გაქვს გაცნობიერებული, რისთვის აკეთებ ამას. მხოლოდ ზერელე წარმოდგენებზე დაფუძნებული ფსევდო-ტრადიციონალიზმი მავნებელი იქნება. “

მოსწავლეებმა. ამ ღვინოს საჩუქრად ვურიგებდით სკოლის საპატიო სტუმრებს. თუ პროექტის ფარგლებში მოექცევა მოსწავლეთა ჩართულობა ყურძნის მოყვანის მთელი ციკლის განმავლობაში (გაფურჩქვნა, შეყელვა და ა.შ.), დიდი სიამოვნებით ჩავერთვებოდით“.

კიდევ რამდენიმე სკოლის დასახელება შეიძლება, სადაც ასეთი რამ სცადეს. ცხადია, მარტო სკოლების აქტიურობით თუ მონდომებით არაფერი გამოვა და ჩვენ, „ღვინის კლუბი“ მზად ვართ, ეს ინიციატივა, პირველ რიგში, თავად განვახორციელოთ. ამაში ღვინის კომპანიებმა თუ კერძო პირებმაც უნდა შეიტანონ განსაკუთრებული წვლილი, რათა მომზადდეს ადგილები, სადაც შესაძლებელი გახდება ბავშვების ჩაყვანა, სპეციალური გასვლითი გაკვეთილების ჩატარება. ამ დროს ისინი უშუალო მონაწილეობას მიიღებენ სამუშაოებში, როგორც ვენახში, ისე მარანში. ამ უფასო კურსების ჩატარება თავად მევენახეებსა და მეღვინეებს შეეძლებათ. თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, გაკვეთილები სულ მალე ვიდეო ფაილებადაც შეიძლება იქცეს, რომლებიც YouTube-ზე აიტვირთება, საიდანაც სოციალურ ქსელებში გავრცელდება.

ეს ყველაფერი საშუალებას მისცემს სხვადასხვა კომპანიას, მეტი ყურადღება მიაქციოს თავისი პროდუქტის წარდგენას. ამ თვალსაზრისით, სწორედ უმცროს თაობას, მოზარდებს, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ ყველაზე მეტი შანსი, ხელი შეუწყონ ადგილობრივი ღვინის ტურიზმის დაბადებას საქართველოში. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველი ტურისტის, პირველ რიგში კი, ახალგაზრდა, ცნობისწადილით სავსე ადამიანების გარეშე საქართველოში ღვინის ტურიზმს არაფერი ეშველება. განუწყვეტლივ მიწევს იმაზე საუბარი, რომ მხოლოდ უცხოელი ტურისტის იმედად ყოფნა სისულელეა, უფრო მეტიც, დანაშაული, ისევე, როგორც აბსურდულად მეჩვენება ქართული ღვინის ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა, როდესაც ჩვენი ბოთლის ღვინის ყველაზე ფართო მომხმარებლად უკრაინელები და ყაზახები ითვლებიან და ისინი გაცილებით მეტ ქართულ ღვინოს სვამენ, ვიდრე თავად ქართველები. სწორედ ასეთი ახალგაზრდების მოთხოვნით, გნებავთ, საზოგადოებრივი დაკვეთითაა შესაძლებელი, რომ საქართველოში შეიქმნას გერმანული Strausswirtschaft-ის ტიპის ღვინის ბარები, სადაც ადგილობრივი ღვინისა და კერძების დაგემოვნებაც იქნება შესაძლებელი. თანაც, ასეთი კულტურის დანერგვა უფრო ადვილად გაგვათავისუფლებს უზომო რაოდენობით ღვინის სმის ყალბი ტრადიციისგან. ეს „ტრადიცია“ თავისთავად გულისხმობს ღვინისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. იმედია, ამ საფეხურიდან მალე ღვინის კულტურის საფეხურზე გადავალთ – ცოდნის მეშვეობით და არა უსაგნო რიტორიკით ან რელიგიური აკრძალვებით. თუკი ცოდნაზე დამყარებულმა კულტურულმა ღვინის სმამ ჩვენში ბევრი მომხრე მოიპოვა, ჩვენ ნამდვილად გვექნება უფლება, „ღვინის აკვნად“ ვიწოდებოდეთ.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივითა და მხარდაჭერით, ფიზიკის მასწავლებელთა სემინარი გაიმართა. სემინარს უძღვებოდა CERN-ში მოღვაწე ქართველი მეცნიერი, ფიზიკოსი გიორგი დვალი.

სამინისტროში ჩატარებული სემინარი ქართველ პედაგოგთა შვეიცარიაში სტაჟირების ერთგვარი გაგრძელებაა. 2011 წლის იანვარში თოთხმეტმა ფიზიკის მასწავლებელმა კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური კურსი ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის კვლევითი ორგანიზაციის – CERN-ის ლაბორატორიაში გაიარა. სწორედ აქ გაჩნდა იდეა, გიორგი დვალს სემინარების ციკლი ქართველი პედაგოგების ფართო აუდიტორიისთვის ჩაეტარებინა. პირველი ლექციის თემა კოსმოლოგია და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა იყო. პედაგოგები CERN-ში მიმდინარე კვლევებსა და ექსპერიმენტებს გაეცნენ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, CERN-ის ექსპერტებთან თანამშრომლობით, ქართველი მასწავლებლებისთვის სპეციალური სატრენინგო პროგრამა შეიმუშავა. მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე, შვეიცარიიდან დაბრუნებული პედაგოგები, მთელი საქართველოს მასშტაბით, ფიზიკის მასწავლებელთა ტრენინგებს განახორციელებენ. ტრენინგები უკვე ჩატარდა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ყვარელში, გორში, ზუგდიდში, ფოთსა და ახალციხეში.

ცნობილი ფიზიკოსი გიორგი დვალი, რომელიც ლუდვიგ მაქსიმილიანის, მაკ პლანკისა და ნიუ იორკის უნივერსიტეტებსა და CERN-ში მოღვაწეობს, ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმარია.

ჩვენ ვემსახურებით ცოდნის გადაცემას

ნატო ინგოროყვა

ბატონო გია, ბავშვობიდან დავიწყოთ: სად სწავლობდით? რომელი სკოლა დაამთავრეთ? თქვენი პროფესიის არჩევაში სკოლისა და მასწავლებლის მნიშვნელობაზეც გვითხარით.

თბილისის 55-ე საშუალო სკოლა დავამთავრე. არაჩვეულებრივი მასწავლებლები მასწავლიდნენ. ჩამოთვლას არ დავიწყებ, ვინმე რომ არ გამომრჩეს. განსაკუთრებით კარგი მასწავლებლები მყავდა საბუნებისმეტყველო საგნებში და ბუნებრივია, მათმა საინტერესო გაკვეთილებმა ინტერესი გამიღრმავა. ახალს არაფერს ვიტყვი, უბრალოდ, გავიმეორებ, რომ სკოლასა და მასწავლებელს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიის არჩევისას. მასწავლებელს შეუძლია დაგაინტერესოს თავისი საგანით და შეგაყვაროს ის.

მოზარდებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლის დაბალი მოტივაცია აქვთ. ინტერესი, დღეს, ცოტა შენელებულია. რა გზები არსებობს იმისთვის, რომ მასწავლებელმა მოზარდს ამ საგნებისადმი ინტერესი გაუღვივოს?

აუცილებელია საგნების სწავლებისადმი კომპლექსური და სტანდარტული მიდგომა. არ შეიძლება სასწავლო პროცესი მთლიანად და მხოლოდ მასწავლებელზე იყოს მინდობილი. მნიშვნელოვანია საინტერესო და თანამედროვე სახელმძღვანელო, პროფესიონალ მასწავლებელთან ერთად. როცა საგნის სწავლება კომპლექსურად მიმდინარეობს, ანუ გვაქვს სტანდარტი, გვაქვს კარგი სახელმძღვანელო და გვყავს პროფესიონალი მასწავლებელი, შედეგი აუცილებლად იქნება. ბუნებრივია, არიან გამონაკლისი მასწავლებლები, ვინც ყველანაირ პირობებში ახერხებენ შედეგებზე გასვლას, მაგრამ სისტემას გამონაკლისებზე ვერ გავთვლით და ვერ დავაყრდნობთ. მასწავლებელი უნდა იცნობდეს სტანდარტს და მან უნდა იცოდეს, რა მოეთხოვება მას და რას მოელიან მისგან.

> ეს ჯაჭვი: მოსწავლე – მასწავლებელი – მეცნიერი არ უნდა გაწყდეს. ის ცოდნა, რაც გამოცდილების შედეგად დაგროვდა, უნდა გადავცეთ და იდეალურ შემთხვევაში, განვავითაროთ კიდეც.

განათლების სამინისტროს განსაკუთრებული როლი აქვს ამ სტანდარტების განსაზღვრასა და განვითარებაში. მასწავლებელს, რაც შეიძლება, ბევრი დამხმარე სახელმძღვანელო უნდა ჰქონდეს და აგრეთვე შესაძლებლობა – რეგულარულად აიმაღლოს კვალიფიკაცია, მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამებში.

» განათლების სამინისტროს განსაკუთრებული როლი აქვს ამ სტანდარტების განსაზღვრასა და განვითარებაში. მასწავლებელს, რაც შეიძლება, ბევრი დამხმარე სახელმძღვანელო უნდა ჰქონდეს და აგრეთვე შესაძლებლობა – რეგულარულად აიმაღლოს კვალიფიკაცია, მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამებში. «

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბავშვებს ინტერესს უღვივებს კლასგარეშე აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ლაბორატორიებში, გასვლითი გაკვეთილები. კარგია მეცნიერებისა და მოსწავლეების ურთიერთანამშრომლობა და ხშირი შეხვედრები. ამ პროცესში მასწავლებელი წამყვანი ფიგურაა. მისი ენთუზიაზმი და ცოდნის განახლების სურვილი მოსწავლეებისათვის სამაგალითო უნდა იყოს.

თქვენ ხშირად მოგზაურობთ, რამდენიმე ქვეყანაში მოღვაწეობთ, შესაძლებლობა გაქვთ, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას იცნობდეთ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების სფეროში. აქვე გკითხავთ: თქვენ, როგორც მშობელი, რამდენად ხართ ჩართული თქვენი შვილების სასკოლო ცხოვრებაში?

სკოლებთან ურთიერთობის გამოცდილება არ მაქვს, უნივერსიტეტებში ვმუშაობ, მაგრამ ჩემი შვილები სკოლის მოსწავლეები არიან და ზოგადი წარმოდგენა, რა თქმა უნდა, მაქვს. როგორც მშობელს, მინდა, მჯეროდეს, რომ სკოლაში ჩემი შვილი სათანადო განათლებას იღებს. მშობელი შვილის განათლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ის სწორი მიმართულებების მიმცემია. ჩემი შვილების სკოლაშიც წამიკითხავს ლექცია ბავშვებისთვის. არა მხოლოდ მე, სხვა მშობლებიც იღებენ ასეთ აქტივობებში მონაწილეობას და ეს ძალიან კარგია, რადგან ბავშვები უკეთ ეცნობიან მშობლების საქმიანობას.

თქვენ ჩაატარეთ სემინარების ციკლი ქართველი პედაგოგებისთვის. მიგვაჩნია, რომ ფიზიკის მასწავლებლებისთვის ეს ძალიან კარგი გამოცდილება იყო. როგორ თვლით, რამდენად საჭიროა ასეთი შეხვედრები?

ჩვენ მეცნიერების პოპულარიზაციას ვეწევით. დამეთანხმებით, რომ მეცნიერული მიღწევების გარეშე ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია. ის, რასაც დღეს ვიღებთ, როგორც მოცემულობას, მეცნიერების დიდი შრომის, ღვაწლისა და გამოცდილების შედეგია.

ფუნდამენტური მეცნიერება ცალკე ვერ იარსებებს. მას საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება. ამიტომ მეცნიერების გავრცელება აუცილებელია – ამით მეცნიერება საკუთარ თავსაც უჭერს მხარს. ჩვენ ხომ ცოდნის გადაცემას ვემსახურებით. ეს ჯაჭვი: მოსწავლე – მასწავლებელი – მეცნიერი არ უნდა გაწყდეს. ის ცოდნა, რაც გამოცდილების შედეგად დაგროვდა, უნდა გადავცეთ და იდეალურ შემთხვევაში, განვავითაროთ კიდეც.

ფიზიკა ისეთი საგანია, რომელიც ლოგიკურ აზროვნებას უვითარებს ადამიანს, ეხმარება მას მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრაში. ნებისმიერ ადამიანს, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს, ეს უნარები სჭირდება და გამოადგება.

ჩემი დღევანდელი ლექციის თემა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა და კოსმოლოგია იყო. შევეცადე, ამეხსნა მასწავლებლებისთვის, როგორ შეიძლება სასკოლო პირობებში, იმ ინსტრუმენტებით, რაც ნებისმიერ მასწავლებელს აქვს, ვთქვათ, ნიუტონისეული მექანიკით, გააგებინონ და აუხსნან მოსწავლეებს კოსმოგოლოგიის რაობა.

საინტერესო იქნებოდა თქვენგან დატოვებული გზავნილი ჩვენი მასწავლებლებისათვის.

მასწავლებლის პროფესია იმდენად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, ძნელია ერთი ძირითადი გზავნილის დატოვება. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის ცოდნის მიცემა და სწავლის ინტერესის გაღვივება. მთავარია, მასწავლებლებმა შეინარჩუნონ ენთუზიაზმი და იზრუნონ თვითგანვითარებაზე.

მოსწავლეთა სწავლის უნარის დარღვევის მიზეზები

მაია უთურგაიძე

დაწყებითი კლასებიდან საბაზო საფეხურზე გადასვლას მოსწავლეების დიდ ნაწილში თან ახლავს მოსწრების დონის დაწევა და სწავლაში პრობლემების მომატება. ბავშვების მხოლოდ მცირე ნაწილი ინარჩუნებს მოსწრების იმავე დონეს, რაც დაწყებით საფეხურზე ჰქონდა. ეს პრობლემა მხოლოდ ჩვენი სკოლის წინაშე არ დგას. მას სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტშიც იკვლევენ. ვინაიდან ჩვენს სასწავლო პროცესზე დაკვირვების დროს ანალოგიური პრობლემები იკვეთება, საინტერესოდ მივიჩნიეთ ამ კვლევების მოკლე მიმოხილვა.

რატომ ეცემა მე-5, მე-6 კლასებში მოსწავლეთა მოსწრების დონე?

ამის მიზეზად, ტრადიციულად, ბავშვების სოციალური ადაპტაციის სიძნელეებია მიჩნეული, თუმცა ეს პრობლემა მაშინ ჩნდება, როცა ისინი საგნობრივ სწავლებაზე გადადიან, როცა ერთი მზრუნველი მასწავლებლის ნაცვლად მათ სასკოლო ცხოვრებაში რამდენიმე უცხო მასწავლებელი შემოდის განსხვავებული მეთოდებითა და მიდგომებით. მოსწრების შემდგომი კლება კი მოზარდობის კრიზისს ემთხვევა. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, სკოლის ფსიქოლოგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეების სასკოლო ადაპტაციას (სკოლასთან შეგუებას) და მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ისინი ტრენინგებს ატარებენ, მაგალითად, მოზარდების ემოციური სფეროს სტაბილიზაციისთვის, შფოთვის შესამცირებლად, ნებელობითი რეგულაციისა და კომუნიკაციური უნარების გასავითარებლად, აგრეთვე მასწავლებლებს აცნობენ პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებაზე ორიენტირებულ პედაგოგიურ მეთოდებს.

განათლების ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ძირითადი პრობლემები, რომლებიც მე-5, მე-6 კლასელებს უჩნდებათ ხშირად სოციალურ-ფსიქოლოგიური სახის არ არის. სირთულეები უფრო მეტად სწავლას უკავშირდება. სოციალურ-ფსიქოლოგიური დეზადაპტაცია (შეუგუებლობა) მეორადია და მაშინ იწყება, როცა მოსწავლე ვეღარ იგებს გაკვეთილს, ანუ უკვე დარღვეულია წამყვანი სასწავლო საქმიანობა.

რა ამოცანები დგას სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და ხომ არ იწვევს ამ პრობლემებს ეტაპებს შორის კოორდინაციის დარღვევა?

დაწყებითი კლასების მთავარი ამოცანა ცხოვრების ახალ სტილთან ბავშვის ადაპტაციაა. ამ დროს წამყვანი ხდება სასწავლო საქმიანობა, ანუ ბავშვს უყალიბდება სასკოლო უნარ-ჩვევები – ის სწავლას სწავლობს. მკვლევართა აზრით, ამ ამოცანის გადაწყვეტა ბავშვების ინტელექტუალურ განვითარებას განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ უყენებს. მისი შესრულება შეიძლება საშუალო სამეტყველო და ფსიქომოტორული მონაცემებითაც, მით უმეტეს, თუ ბავშვი „მონდომებულია“ და მშობლებიც აკონტროლებენ სასწავლო პროცესს. აზროვნების განვითარების თავისებურებები და ნაკლოვანებები განსაკუთრებულ როლს არ თამაშობს დაწყებით კლასებში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში აზროვნება არის ცნებამდელ დონეზე, ბავშვი ვერ ასხვავებს კერძოსა და ზოგადს, საგანთა (მოვლენათა) არსებითსა და უმნიშვნელო ნიშნებს. არსებითი ნიშნების ნაცვლად ის იყენებს ემოციურ, ფუნქციურ ან სიტუაციურ განზოგადებებს (ანუ იმ შთაბეჭდილებებს, რომლებსაც ესა თუ ის მოვლენა ან საგანი იწვევს მასში) და არა ობიექტურ ნიშან-თვისებებს. ბავშვისთვის ყველაფერი შეიძლება ერთმანეთთან იყოს კავშირში, ანუ ის

> „საშუალო კლასების ძირითადი ამოცანა კი ის არის, რომ შეიყვანოს მოზარდი მეცნიერების სისტემაში, გააცნოს მას მეცნიერული ცოდნის საფუძვლები, სადაც ხატოვანი შთაბეჭდილებების ადგილი აღარ არის.“

საკუთარი შთაბეჭდილებების კავშირს ობიექტურ კავშირად იღებს. ამ ასაკის აზროვნების თავისებურებებმა შეიძლება საკმაოდ ღრმად გაიდგას ფესვები, რადგან მოსწავლეების წინაშე საერთოდ არ დგას სპეციალური ამოცანები ხატოვანი აზროვნების დაძლევისათვის.

საშუალო კლასების ძირითადი ამოცანა კი ის არის, რომ შეიყვანოს მოზარდი მეცნიერების სისტემაში, გააცნოს მას მეცნიერული ცოდნის საფუძვლები, სადაც ხატოვანი შთაბეჭდილებების ადგილი აღარ არის. ნებისმიერ მეცნიერებას აქვს გარკვეული სტრუქტურა, რომელიც აგებულია ცნებით პრინციპებზე. მის საფუძველში დევს საწყისი ცნებები და აქსიომები, რომელთაგან გამომდინარეობს უფრო კერძო, სპეციფიკური ცნებები. იმისათვის, რომ მიიღო, გაითავისო ნებისმიერი მეცნიერება, მისი შინაგანი ლოგიკა, მისი ნაწილების ურთიერთკავშირი, აუცილებელია, ფლობდე ცნებით აზროვნებას. ცნება ყალიბდება მაშინ, როცა შევიცნობთ საგანს (მოვლენას) მისი ყველა კავშირით და დამოკიდებულებით სხვა საგნებთან (მოვლენებთან) – მხოლოდ მაშინ, როცა ეს მრავალფეროვანი კავშირები გაერთიანებულია ერთ სიტყვაში და იღებს განსაზღვრების სახეს. ეს ნიშნავს ობიექტური რეალური კავშირების ასახვას და არა სიტუაციურ და ემოციურ ფონზე „აღმოჩენილი“ თვისებების მიწერას საგნებისა თუ მოვლენებისათვის. მხოლოდ ცნებას შეუძლია ადეკვატურად ასახოს ის კანონზომიერებები, რომლებიც მოცემულია მეცნიერებაში და გამოიყენება მეცნიერული ცოდნის გადმოსაცემად. თუ მოზარდის ცნებები ხატოვანი კი არ არის, არამედ ზოგადია (ობიექტურია), მაშინ ის ადვილად იგებს იმას, რასაც გაკვეთილზე უხსნიან და რასაც თვითონ კითხულობს სახელმძღვანელოში. თუ ბავშვი ძირითადად ხატოვნად წარმოიდგენს ფაქტებსა თუ დებულებებს, ის მხოლოდ იმახსოვრებს (იზეპირებს) გაკვეთილებზე და წიგნებში მოცემულ ინფორმაციას. ამ სახით კი მეცნიერების შესწავლა შეუძლებელია.

> „თუ განმავითარებელი მუშაობა არ მიმდინარეობს ყოველდღიურად, სისტემატურად და ბავშვი გამუდმებით აღწერს, წარმოიდგენს და იმახსოვრებს, მაშინ ცნებითი აზროვნება ვერ განვითარდება.“



სწავლის პროცესი თანდათან არასრულფასოვანი ხდება, გარკვეული საგნების შესწავლა კი – საერთოდ შეუძლებელი. რა თქმა უნდა, ბავშვი განვითარებული ცნებითი აზროვნებით არ იბადება, მისი მომწიფება ზრდასთან ერთად, თავისით არ მიმდინარეობს. ვიგოტსკის კვლევების მიხედვით, ცნებითი აზროვნების საწყისები დაწყებით კლასებშივე ყალიბდება და მეცნიერული ცნებების დაუფლების პერიოდშიც გრძელდება. აქამდე დაწყებითი კლასების პროგრამები ძირითადად აგებული იყო ისე, რომ მოსწავლე უსმენდა, წარმოიდგენდა, იმახსოვრებდა და შემდეგ ყვებოდა. ამ ტიპის პროგრამების შედეგენას ხელს უწყობდა ფსიქოლოგების რეკომენდაციებიც – მოცემულ ასაკში ხატოვანი აზროვნების დომინირების გამო. როდესაც ბავშვს ინფორმაციას აღწერითი და ხატოვანი ფორმით მიაწოდებენ, მეცნიერული მასალა მისთვის ტრანსფორმირდება ჩვეულ, დასურათხატებულ თვალსაჩინოებებში. ამ დროს შესაძლოა, წარმოდგენების სისტემა მდიდრდება, მაგრამ ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავების ხერხები ნაკლებად ვითარდება. ბავშვის განვითარება ორი სიდიდით განისაზღვრება – აქტუალური დონით, ანუ იმ დონით, რომელშიც ის ახლა იმყოფება და უახლოესი განვითარების დონით, ანუ ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ფუნქციებით. მაგალითად, 5 წლის ბავშვს ჩანასახის სახით უკვე აქვს ის ფუნქციები, რომლებიც 7

წლის ასაკში მწიფდება და ა.შ. სწავლა უნდა შევუსაბამოთ არა განვითარების აქტუალურ დონეს, არამედ უახლოესი განვითარების დონეს, რომელიც შეიძლება დღეს არ არის მომწიფებული, მაგრამ უკვე „გზაშია“, იზრდება და ხვალ მოგვცემს შედეგს – გადავა აქტუალური განვითარების დონეზე. თუ ბავშვის განვითარებას ამ ჭრილში არ განვიხილავთ, ოპტიმალური პერიოდი, როცა მისი განვითარება შესაძლებელია, ჩაივლის და მოხდება ის, რის შესახებაც წერდა ვიგოტსკი: სწავლების ორიენტირება ხდება განვითარების დასრულებულ ციკლებზე (ანუ მხოლოდ განვითარებულ, აქტუალურ დონეზე) და ამიტომ ის არაფერ ახალს არ სძენს განვითარებას.

ბავშვის ფსიქიკური განვითარების მამოძრავებელი მხოლოდ წინმსწრები სწავლებაა, რომელიც მიმართულია მოუმწიფებელი ფუნქციებისკენ და ეყრდნობა ჩამოუყალიბებელ პროცესებს. მაშასადამე, თუ განმავითარებელი მუშაობა არ მიმდინარეობს ყოველდღიურად, სისტემატურად და ბავშვი გამუდმებით აღწერს, წარმოიდგენს და იმახსოვრებს, მაშინ ცნებითი აზროვნება ვერ განვითარდება. სამწუხაროდ, ჩვეულებრივი მდგომარეობა ასეთია: თუ დაწყებით კლასებში ბავშვი კარგად სწავლობს (თუმცა შეიძლება წარჩინებული არ არის), მაშინ მშობლები და პედაგოგები ყურადღებას არ აქცევენ ფსიქოლოგების გაფრთხილებებსა და რეკომენდაციებს სწავლების პროცესის თავისებურებებთან, კერძოდ, ინტელექტუალური სტრუქტურების ტრანსფორმაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

როცა მე-5, მე-6 კლასებში ბავშვებს სწავლის პროცესში სირთულეები ხვდებათ და მათი მოსწრების დონე დაბლა იწევს, მშობლები იწყებენ ნერვიულობას, მიმართავენ ფსიქოლოგს ან პედაგოგს. ამიტომ ისინი მზად უნდა იყვნენ ასეთი პრობლემების დროს კომპეტენტური რჩევების მისაცემად. ამისათვის კი აუცილებელია, ჩატარდეს მე-4 კლასის მოსწავლეების კომპლექსური ფსიქოლოგიური გამოკვლევა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ სწავლობენ ისინი (ანუ არ უნდა შემოვიფარგლოთ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებით). ამ ეტაპზევე უნდა გავარკვიოთ, რა „მდგომარეობაშია“ ბავშვებში სწავლისათვის საჭირო ინტელექტუალური უნარები, რომელ საგანში რა ტიპის სირთულე შეიძლება შეექმნათ მათ და ა.შ. უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გადაილახოს სიძნელეები. განვითარების ოპტიმიზაციის შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის, ფაქტობრივად, ორი წელი გვაქვს (მე-5, მე-6 კლასები), როდესაც შეიძლება რაიმე შევცვალოთ უკეთესობისკენ. კვლევები ადასტურებს, რომ ინტელექტის ის ტიპი, რომელიც მოსწავლეებს მე-7, მე-8 კლასებში უყალიბდებათ, ძნელად იცვლება. უნარები, რომლებსაც ამ დროისთვის მოსწავლეები ვერ დაეუფლნენ, თანდათან ითრგუნება. შემდგომ პერიოდში პრინციპულად ახალი ინტელექტუალური ოპერაციები ბავშვის საზროვნო სფეროში აღარ წარმოიქმნება.

შუა საუკუნეების საქართველოს საგანმანათლებლო ტრადიციები

გიორგი ალიბეგაშვილი

საყოველთაოდ ცნობილია ძველი საქართველოს ისეთი საგანმანათლებლო კერები, როგორებიც იყო ფაზისის, მოგვიანებით, გელათის, იყალთოს აკადემიები, აგრეთვე, საზღვარგარეთ მდებარე სამონასტრო კომპლექსები. იქ, საღვთო სჯულის, ღვთისმეტყველების, უცხო ენების გარდა, მრავალ ისეთ გამოყენებით საგანს ასწავლიდნენ, რომელთა ცოდნაც აუცილებელი იყო ტაძრებისა თუ მრავალგვარი დანიშნულების შენობების ასაგებად, ხატებისა და ფრესკების დასაწერი საღებავების ფერების მისაღებად, ხელნაწერების შესაქმნელად, მედიკამენტების დასამზადებლად და კიდევ მრავალი ამოცანის განსახორციელებლად. ეს თავისთავად გულისხმობს გეომეტრიის, ბოტანიკის, მინერალოგიის, მედიცინისა და სხვა დისციპლინათა საფუძვლების ცოდნას.

სამწუხაროდ, მწირი ცნობები მოგვეპოვება ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე, განსაკუთრებით კი სწავლების მეთოდიკაზე, თუმცა არაერთ თხზულებაში გაფანტული ცნობებისა და ანტიკურ-ბიზანტიური ეპოქების განათლების სისტემების გათვალისწინებით შეიძლება აღდგენა იმ სასწავლო ტრადიციებისა, რომლებიც ადრე შუა საუკუნეების საგანმანათლებლო პროცესს შეადგენდა. ბიზანტია საქართველოს მეზობელი სახელმწიფო იყო და ჩვენი ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რეგიონულ ინტერესებს უშუალოდ უკავშირდებოდა. იმასაც შევნიშნავთ, რომ შუა საუკუნეებში განათლება ადამიანის ჭეშმარიტ საკუთრებად მიიჩნეოდა. ჩვენი წინაპრების რწმენით, ის მოზარდს ანიჭებდა სულიერებას, შინაგან გაწონასწორებულობას, სიმტკიცესა და მხნეობას.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წმ. გრიგოლი თავის აღმზრდელებს შემდეგნაირად მიმართავს (ამ მიმართვაში შუა საუკუნეების სწავლა-განათლების პრიორიტეტები ჩანს): „თქვენ იცით ძალი საღმრთოთა წიგნთა, გულისხმა გიყოფია წმიდათა მოციქულთა და მღდელმოძღვართა განსაზღვრებული კანონი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა“. თავისთავად დაისმის კითხვა: რა საგნები ისწავლებოდა ამ ეპოქის საგანმანათლებლო სასწავლებლებში გარდა საღმრთო წიგნებისა და წმიდა მოციქულთა და მღვდელმთავართა მიერ განსაზღვრული წეს-კანონებისა? თვალს თუ უფრო შორეულ წარსულს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ანტიკურ ეპოქაში წამყვან სასწავლო-სამეცნიერო დარგად ფილოსოფია – „სიბრძნის სიყვარული“ იყო მიჩნეული, შუა საუკუნეებში კი მას თეოლოგია – „ღვთისმეტყველება“ ჩაენაცვლა. მსგავსად ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებისა, ქრისტიანი მოღვაწეებიც, როგორც წესი, მეცნიერების სხვადასხვა დარგში წერდნენ შრომებს: ღვთისმეტყველებაში, ისტორიოგრაფიაში, მათემატიკაში, მედიცინაში, ანთროპოლოგიაში, ბიოლოგიაში, გეოლოგიაში და ა.შ., რომელთა დარგობრივი დიფერენციაციაც მოგვიანებით მოხდა.

აქვე საინტერესოა ერთი გარემოებაც: თუკი ეკლესიის მიერ, ერთი მხრივ, აკრძალული იყო ანტიკური წიგნების შესწავლა-გამოყენება, მეორე მხრივ, მათი სამეცნიერო-სასწავლო მიღწევების გათვალისწინება აუცილებლად მიიჩნეოდა. ამასთან დაკავშირებით წმ. ეფრემ მცირე (XIს.) საყურადღებო აზრს გამოთქვამს: „ამათ მიერ (წარმართული წიგნებით) წინა აღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰგურემდენ“ მათ, ანუ არაქრისტიან მოწინააღმდეგეებსო. როგორც ჩანს, ქრისტიანები არა მარტო საღვთო სიბრძნით, არამედ წარმართული, ანტიკური წიგნებითაც განისწავლებოდნენ და მათივე იარაღით, მათივე სიბრძნით, თხზულებებით ამარცხებდნენ მოწინააღმდეგეებს.

ცნობილია, რომ პირველი ქრისტიანული სასწავლებლები ჯერ კიდევ ქრისტიანობის დევნის ეპოქაში წარმოიშვა. IV საუკუნიდან ისინი აქტიურდებიან და წარმართულ საგანმანათლებლო კერებს უპირისპირდებიან. დაწყებით ეტაპზე ისწავლებოდა წერა-კითხვა,

ორთოგრაფია, არითმეტიკისა და გრამატიკის საფუძვლები; იგულისხმებოდა კლასიკოსი ავტორების თხზულებათა გაცნობაც. ბიზანტიაში, მაგალითად, ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ კითხულობდნენ. სხვათა შორის, ხალხური გადმოცემით, ათენში სასწავლებლად გაგზავნილი შოთა რუსთაველი ჰომეროსის პოემებს გაუტაცია და ის ბერძნულ, არაბულ და სპარსულ ენებს დაუფლებია.

სწავლების მომდევნო ეტაპზე მოზარდები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს კითხულობდნენ, განსაკუთრებული გულმოდგინებით კი ფსალმუნს სწავლობდნენ, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე ღვთისმსახურების უმთავრეს ტექსტად გამოიყენებოდა. ამ კონტექსტში შეიძლება გავიხსენოთ „შუშანიკის წამებასა“ (476-482 წ.წ.) და „აბოს მარტვილობაში“ (786-790 წ.წ.) დაცული ცნობები.

რაც შეეხება სხვა საგნებს, რომლებიც შუა საუკუნეების საქართველოში ისწავლებოდა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: წმ. გრიგოლმა „მსწრაფლ დაისწავლა სწავლა **საეკლესიო, სამოძღვრო,** ქართულ ენასა შინა ყოველი დაისწავლა და **მწიგნობრობაიცა** ისწავლა **მრავალთა** ენათაი და **საღმრთონი წიგნნი** ზეპირით მოიწვართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის **სოფლისა ფილოსოფოსთა** ისწავლა კეთილად; და რომელი პოვის სიტყვა კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკვალი განაგდის, და განითქვა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო **გარეშესა მას სიბრძნესა** სოფლისასა ჰბასრობნ სიტყვისაებრ მოციქულისა, ვითარმედ გან-რა-მე-აცოფა ღმერთმან სიბრძნე-იგი ამის სოფლისა. **სიტყვა** მისი იყო **შეზავებული მარილითა მადლისაითა**. რაჟამს იტყვინ, ბრძნად აღიღის პირი თვისი და წესი განუჩინა ენასა თვისსა და ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაიცა კეთილი იზარდებოდა“.

მოყვანილი ციტატის მიხედვით, თავს უფლებას მივცემთ და ვიტყვით: იმ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომლითაც წმ. გრიგოლი განისწავლა, შემდეგი დისციპლინები შედიოდა: 1) საეკლესიო სწავლა, რომელიც **საეკლესიო ისტორიასაც** შეიცავდა; 2) სამოძღვრო, ანუ **ღვთისმსახურება, ლიტურგია**; 3) **სხვადასხვა უცხო ენა**; 4) საღმრთო წიგნები, ანუ **ბიბლიური** და **ეგზეგეტიკური** თხზულებები; 5) გარეშე სიბრძნე, ანუ, სავარაუდოდ, **ანტიკური ფილოსოფია**; 6) მადლის მარილით შეზავებული სიტყვა, ანუ **მჭევრმეტყველება, რიტორიკა**; 7) **ქრისტიანული სათნოებანი,** ანუ ქრისტიანული ეთიკა.

> „მწირი ცნობები მოგვეპოვება ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე, განსაკუთრებით კი სწავლების მეთოდიკაზე, თუმცა არაერთ თხზულებაში გაფანტული ცნობებისა და ანტიკურ-ბიზანტიური ეპოქების განათლების სისტემების გათვალისწინებით შეიძლება აღდგენა იმ სასწავლო ტრადიციებისა, რომლებიც ადრე შუა საუკუნეების საგანმანათლებლო პროცესს შეადგენდა.“

ამ ჩამონათვალში იმ საგანთა მხოლოდ ერთი ნაწილია მოხსენიებული, რომლებსაც შუა საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოში ასწავლიდნენ. მასში რამდენიმე მნიშვნელოვანი დარგი არ არის მოხსენიებული, მაგრამ შეუძლებელია, მათი საფუძვლები არ ყოფილიყო გათვალისწინებული სასწავლო პროცესში, ვინაიდან ცნობილია, რომ წმ. გრიგოლ ხანძთელი იყო საეკლესიო წეს-განგებისა და სამართლის მცოდნე, ხუროთმოძღვარი, პოეტი-ჰიმნოგრაფი, საგალობელთა მუსიკალური შემოქმედი, ადამიანთა სულიერად და ფიზიკურად განმკურნებელი, ხელნაწერთა შემქმნელ-გადამწერი, ხელოვანი და ა.შ.

აღმოსავლეთ საქრისტიანოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგად ითვლებოდა **მათემატიკა,** რომელიც პრაქტიკული მოთხოვნების შესაბამისად ვითარდებოდა. მათემატიკური გათვლები საქართველოში ასტრონომიული თუ სხვადასხვა კალენდარული თარიღის, საეკლესიო ქრონოლოგიის (მაგალითად, სამყაროს შესაქმის, იესო ქრისტეს მოძღვრების ქადაგების, აღდგომის დღის და სხვ.) დასადგენად, აგრეთვე, არქიტექტურული პროექტებისთვის (აქ აუცილებელი იყო **გეომეტრიის** ცოდნაც) გამოიყენებოდა.

ქიმიის სწავლებასაც ასევე დიდი პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, კერძოდ, ხატწერისთვის, ფრესკათა მოხატვისთვის, სამკურნალო წამლების დასამზადებლად. ადრებიზანტიური ეპოქიდან ცნობილია სპეციალური ნიშნები ქიმიურ ნივთიერებათა გამოსახატავად, რომლებიც თანამედროვე ქიმიურ ფორმულებს ცვლიდნენ.





ბოტანიკა, ბიოლოგია, ზოოლოგია, ანატომია და **მედიცინა** ხალხის მრავალსაუკუნოვან დაკვირვებებს იყენებდა და ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობისა და სამკურნალო საქმის განვითარებას. ამასთანავე, ისინი ქრისტოლოგიური კუთხითაც ისწავლებოდა. ამ მიმართულებით შეიქმნა „ექვსთა დღეთაი“ და „კაცისა შესაქმისათვის“, აგრეთვე, „სახისმეტყველი“ თუ „თვალთაი“, რომლებშიც, ერთი მხრივ, ყურადღებაა გამახვილებული უფლის „ხელოვანებაზე“ – ყოველი საგნის, სულიერისა თუ უსულოს, უზენაესის სიბრძნითა და შემოქმედებით განსაზღვრულობაზე და მეორე მხრივ, ქრისტოლოგიური კუთხით დანახულ მათ სიმბოლურ მნიშვნელობაზე. ამ თხზულებებში თვალსაჩინოა ავტორთა მცდელობა, შეძლებისდაგვარად შეაზავონ ანტიკურობისა და ქრისტიანული რელიგიის სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო გამოცდილება და წარმოდგენები.

საგანმანათლებლო სისტემის ასევე მნიშვნელოვან სამეცნიერო დარგებად და სასწავლო საგნებად განიხილებოდა ჰუმანიტარული დისციპლინები: ისტორია, ფილოსოფია, სამართალისმცოდნეობა და საბუნებისმეტყველოდან – გეოგრაფია.

ისტორიის – ანტიკურ ეპოქაში **ფილოსოფიის** გვერდით მდგომი დისციპლინის მნიშვნელობა შუა საუკუნეებში შეიცვალა და დაუკავშირდა **ბიბლიურ ისტორიას**, რომელიც სამყაროსა და ადამის შესაქმიდან იწყებოდა. ამასთანავე, ძველი აღთქმა განიხილებოდა ახალ აღთქმაში აღწერილი ამბების წინასწარუწყებად, ხოლო ახალი აღთქმა – ძველ აღთქმაში გადმოცემულ წინასწარმეტყველებათა აღსრულებად. ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთ დარგში – გრამატიკაში იგულისხმებოდა არა მხოლოდ „გრამატიკა“, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, არამედ **ლექსიკოგრაფია** და **მეტრიკა**, თავისთავად, **ორთოგრაფიაც**. X ს-ის უნიკალურ „შატბერდის კრებულში“ შემონახულია ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლი, რომელშიც შეტანილია მსჯელობა ბერძნული ანბანის სხვადასხვა ასო-ნიშნის ფონიკიური და ებრაული ანბანების ასოებთან კავშირის შესახებ, აგრეთვე ისიც, თუ რომელმა მოღვაწემ რა „შესძინა“ ბერძნულ ანბანს.

რაც შეეხება **სამართლისმცოდნეობას**, იგი განიხილებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებით, სჯულისკანონის შინაარსით, სხვადასხვა სამონასტრო წესდების განგებითა და ბიბლიური ტექსტების განმარტებით. ითვლებოდა, რომ წმინდა წერილი არა მარტო საღვთო ისტორია და ღვთისმსახურების საფუძველთა საფუძველია, არამედ უფალსა და ადამიანს შორის „სამართლებრივი“ ურთიერთშეთანხმების, ღვთის მიერ დადგენილი ოთხი აღთქმის ზნეობრივი მიმართებების ამსახველი ძეგლიც.

და ბოლოს, ისწავლებოდა **გეოგრაფია**, რომელიც ასევე ანტიკურ გამოცდილებას, კერძოდ, სტრაბონის გამოკვლევებს ემყარებოდა. თუმცა შემდგომ პრაქტიკულმა სახელმწიფოებრივმა საჭიროებამ ეკლესიისა და ვაჭრობისათვის სხვადასხვა ხასიათის თხზულების შექმნაც განაპირობა, რომლებშიც აღწერილი იყო იმ ეპოქის ქვეყნები და ხალხების წეს-ჩვეულებანი. ზოგიერთი ასეთი ნაშრომის ავტორები ვაჭრები იყვნენ, რომლებიც წერდნენ იმ მხარეთა და მიმოსვლის გზების შესახებ, სადაც მოგზაურობა მოუხდათ.

ამგვარია ზოგადი სურათი იმ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტრადიციებისა, რომლებიც შუა საუკუნეებში არსებობდა. მისი სრულყოფილად აღდგენა, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ჩვენი წინაპრების მოღვაწეობას – რომ ისინი იყვნენ დიდი ღვთისმეტყველები, მხატვრული სიტყვისა და მუსიკალური საგალობლების შემოქმედნი, ხუროთმოძღვარნი, ხატმწერნი, მკურნალნი, და ა.შ. – აღნიშნული ეპოქის სწავლა-განათლებისა და მეცნიერების სისტემის სურათი უფრო ნათელი გახდება.

რეფერალური ჰოსპიტალი

945 285

წამახალისებელი აქცია

იმკურნალეთ რეფერალურ ჰოსპიტალში და გახდით უამრავი სხვადასხვა პრიზის მფლობელი:

- 12 ტელევიზორი
- 12 მიკროტალღური ღუმელი
- 12 მაცივარი
- 12 გაზქურა
- 12 მტვერსასრუტი
- 12 სარეცხი მანქანა
- 12 ჩაიდანი
- 12 უთო

წამახალისებელი გათამაშება ჩატარდება თვეში ერთხელ ყველა იმ პაციენტზე, რომლის მკურნალობის საფასურიც დაფარულია თვით პაციენტის ან სპონსორის (სადაზღვევო კომპანიები, ადგილობრივი ტერიტორიული მმართველობის ორგანოები და სხვა) მიერ.

სამკურნალო პროცედურის ღირებულების გათვალისწინებით ყოველ 400 ლარზე გადმოგეცემათ 1 ბილეთი.

მაგალითად:

თუ გადაწყვიტეთ ენდოპროტეზირების ოპერაციისთვის მიმართოთ რეფერალური ჰოსპიტლის ორთოპედიულ სამსახურს (ხელმძღვანელი- პროფესორი თორნიკე ნოზაძე), და ოპერაციის სრული ღირებულება შეადგენს - 3600 ლარს, ამ შემთხვევაში თქვენ მიიღებთ 9 (ცხრა) ბილეთს

ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი პაციენტების როგორც ჯანმრთელობაზე, ასევე მატერიალურ კეთილდღეობაზე

სამედიცინო მიმართულებებისა და საუკეთესო სპეციალისტების ფართო არჩევანი

- ზოგადი ქირურგია
- ლაპარასკოპიული ქირურგია
- ნეირო ქირურგია
- ოტო-რინო-ლარინგოლოგია
- ბავშვთა ქირურგია
- სისხლძარღვთა ქირურგია
- ონკო ქირურგია
- გინეკოლოგია
- ლაპარასკოპიული გინეკოლოგია
- ონკო გინეკოლოგია
- სამშობიარო
- პედიატრია
- ტრავმატოლოგია
- ორთოპედია
- პროქტოლოგია
- ემერჯენსი
- რეანიმაცია
- ინტენსიური თერაპია
- უროლოგია
- მაღალტექნოლოგიური კვლევები
- თერაპია
- ნევროლოგია
- კარდიოლოგია

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ www.ref.ge

ქინძმარაულის ქ. I შესახვევი N1



პროფესია და არჩევანი

ბელა ჩეკურიშვილი

პრიორიტეტულ პროფესიებს სამომხმარებლო ბაზარი განსაზღვრავს. ბოლო წლებში რამდენიმე ახალი პროფესია გამოიკვეთა, რომელთა მიღება დაინტერესებულ ახალგაზრდებს უკვე თბილისის პროფესიულ სასწავლებლებში შეუძლიათ. ის სტერეოტიპი, რომ პროფესიული სასწავლებელი ზარმაცი მოსწავლეების განწესების ადგილი იყო, ნელ-ნელა დაინგრა. დღეს პროფესიულ სასწავლებლებს კონკრეტულ მიზნებზე ორიენტირებული ახალგაზრდები აკითხავენ.

პროფესიული სწავლების ცენტრი „იკაროსი“ თბილისში 2007 წლიდან ფუნქციონირებს და დაინტერესებულ ახალგაზრდებს შემდეგ სახელობო-საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს: სასტუმრო საქმე, კულინარული ხელოვნება, სარესტორნო საქმე. სტუდენტები შეფ-მზარეულის, ბარმენის, მიმტანის, სასტუმროს მოხელის პროფესიებს იძენენ. ახალი სასწავლო წლიდან „იკაროსი“ გიდებსა და ტურ-ოპერატორებსაც მოამზადებს. ეს სწორედ ის სპეციალობებია, რომელთა მიმართ მოთხოვნა ქართულ ბაზარზე განსაკუთრებით მაღალია. შესაბამისად, მაღალია კუსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი. იგი 90%-ს აღწევს.

როგორც „იკაროსის“ დირექტორი, მათე ტაკიძე გვიხსნის, სასწავლებელში სწავლება 9 თვიდან 2 წლამდე გრძელდება (პროგრამების მიხედვით). სტუდენტები მიიღებიან როგორც მე-9 კლასის, ასევე მე-12 კლასის ბაზაზე. საგნობრივ ჩამონათვალში უცხო ენა პირველია. ამის გარეშე ტურისტულ ბიზნესში წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. რადგან ჩვენი ტურისტული სეგმენტი უკრაინელ, აზერბაიჯანელ და სომეხ ვიზიტორებსაც მოიცავს, ინგლისური ენის გარდა, რუსული ენის ცოდნაც საჭიროა.

მათე ტაკიძე, პროფესიული სწავლების ცენტრ „იკაროსის“ დირექტორი: „ყველა დიდი სასტუმრო და სარესტორნო ქსელი ჩვენი პარტნიორია. სტუდენტები პრაქტიკას იქ გადიან და ამ სასტუმროთა მენეჯერები ჩვენთან კითხულობენ ლექციებს. ასევე, მისაღებ გამოცდებზე ვიწვევთ ყველა მენეჯერს. ისინი ადგილზე ეცნობიან და წარმატებულ სტუდენტებს აქვე უფორმებენ კონტრაქტებს. სასწავლებლის სტუდენტებს აქვთ კონკრეტული მიზანი, შეიძინონ პროფესია და იყვნენ წარმატებულნი. ამის გარანტიას კი ჩვენი სასწავლებელი აძლევთ“.

ტურ-ოპერატორები და გიდები პრაქტიკას საქართველოს ყველა ტურისტულ რეგიონში გაივლიან. მათ ტურისტულ კომპანიებში დასაქმება შეეძლებათ, რადგან საჭირო ცოდნა და გამოცდილება ექნებათ. სასწავლე-

ბელი ჩართულია სისტემა „ოპერაში“, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი დონის სასტუმროს ადგილზე დაჯავშნის საშუალებას იძლევა. გიდის პროფესია გულისხმობს იმას, რომ მან მომხმარებელს უნდა შესთავაზოს როგორც კულტურული, ასევე სათავგადასავლო ტურები (რაფტინგი, პარაპლანით ფრენა, მეკლდეურობა).

„თუ გვინდა, ქვეყანამ ტურიზმზე აქცენტი გააკეთოს, სპეციალისტები უნდა გვყავდეს. ჩვენთან სერვისის სფეროა მოსაწესრიგებელი. ვიზიტორს კი სერვისთან შეხება ყოველწამიერად უხდება“, – ამბობს მათე ტაკიძე.

„იკაროსი“ წლის განმავლობაში 500-მდე სტუდენტს ამზადებს. ასაკი შეუზღუდავია. სასწავლებელში ბევრი უმაღლესდამთავრებულია – ისინი, ვისაც ახალი პროფესიის შეძენა და დასაქმება სურს. იგეგმება საერთო საცხოვრებლის მოწყობაც, სადაც რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტები დაბინავდებიან.

საქართველოში დიდი მოთხოვნაა მზარეულებზე. „იკაროსი“ ახალ სტანდარტებს ამზადებს კონდიტერებისთვის და ამ სპეციალობაზე მიღებას მაისიდან აცხადებს.

„იკაროსის“ სასწავლო პროგრამა ტურისტულ სეგმენტზეა გათვლილი, მაგრამ, ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, მასში ახალი მიმართულებებიც შედის: ლიფტის ტექნიკა და სერვისი და ლანდშაფტის დიზაინი.

ლიფტის სერვისის და ტექნიკური პერსონალის სკოლა ქვეყანაში აღარ არსებობს. „იკაროსმა“ ლიფტიორის პროფესია აღადგინა, რაც დღევანდელ რეალობაში. ამ ფაკულტეტზე სტუდენტების მიღება მაისიდან დაიწყება. საქართველოში მოქმედი კომპანია „ნიუ ლიფტ ჯორჯია“ ვალდებულებას იღებს, სასწავლო პრაქტიკისათვის ყველა პირობა შექმნას.

ჩვენს ქვეყანაში ლანდშაფტის დიზაინის სფეროში ძირითადად უცხოელები მუშაობენ. სასწავლო პროგრამის შედგენა „იკაროსმა“ უკვე დაიწყო. სასწავლებლის ხელმძღვანელს სურს, ამ პროცესში საერთაშორისო ექსპერტები ჩართოს და ერთობლივად შემუშავებული პროგრამა წარუდგინოს სალიცენზიოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

მუშაობა მიმდინარეობს ახალ პროგრამაზე სარესტორნო და სასტუმრო საქმის მენეჯერთა მოსამზადებლად. ამ შემთხვევაში, „იკაროსი“ ესპანეთის ტურიზმის აკადემიასთან თანამშრომლობს.

პროფესიონალი პედაგოგები, სასწავლო სახელოსნოები, კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი – ეს ყველაფერი იმ გარემოს ქმნის, რომელიც „იკაროსში“ მისულ სტუდენტს სწავლების ხარისხის გარანტიას აძლევს.

ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტის პროფესია დღევანდელ ახალგაზრდებში ერთ-ერთი ყველზე პოპულარული და ამავე დროს შრომის ბაზარზე მოთხოვნადია. უნივერსიტეტების გარდა, დაინტერესებულ ახალგაზრდებს მისი დაუფლება **თბილისის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრში** შეუძლიათ.

თბილისის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი **მამუკა ჯანჯალია** ამბობს: „2007 წელს შექმნილი ეს პროფესიული სასწავლებელი საზოგადოებას სთავაზობს ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ შემდეგ პროგრამებს: ინფორმაციული ტექნოლოგიები, კომპიუტერული სისტემები და ქსელები, ვებ-ტექნოლოგიები, მულტიმედია ტექნოლოგიები. სახელობო პროგრამების გარდა, სასწავლებელში არსებობს მოკლევადიანი პროგრამებიც, სწავლების ხანგრძლივობა კი 2-დან 9 თვემდე მერყეობს. 2010 წელს, პირველად საქართველოში, აქ

■ მათე ტაკიძე

„სასწავლებლის სტუდენტებს აქვთ კონკრეტული მიზანი, შეიძინონ პროფესია და იყვნენ წარმატებულნი. ამის გარანტიას კი ჩვენი სასწავლებელი აძლევთ.“



■ მამუკა ჯანჯალია

> „ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტის პროფესია დღევანდელ ახალგაზრდებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ამავე დროს შრომის ბაზარზე მოთხოვნადია.“

დაინერგა სწავლების მსურველთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა. წარმატებით მუშაობს სტუდენტთა დასწრება-მოსწრების ელექტრონული ჟურნალი, რამაც მნიშვნელოვნად გააადვილა სასწავლო პროცესის მენეჯმენტი. ცენტრში დანერგილია და ფუნქციონირებს დისტანციური მართვის სისტემა MOODLE, რომელიც მოიცავს როგორც ტესტებს, ასევე სასწავლო მასალებს. სისტემაში დარეგისტრირება და მისით სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია“.

ამავე დროს, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი ecdl სერტიფიკატის ოფიციალური ცენტრია საქართველოში. ფუნქციონირებს ქართულენოვანი საიტი ecdl.ge, სადაც შესაძლებელია ecdl სერტიფიცირებისთვის ნებისმიერი მასალის ქართულ ენაზე მოპოვება.

თამარ შალვაშვილი, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორის მოადგილე: „ჩვენს სასწავლებელში სწავლა ნებისმიერი ასაკის მსურველებს შეუძლიათ. გვაქვს მხოლოდ ერთი მოთხოვნა: მათ გავლილი უნდა ჰქონდეთ საბაზისო სკოლის საფეხური. სახელობო პროგრამებთან ერთად სტუდენტები ეუფლებიან ზოგად საგნებსაც. ეს კვალიფიკაციის მიღებისთვის არის საჭირო. მიმდინარე სასწავლო წელს სახელმწიფო გახდა 80%-ით თანადამფინანსებელი, თუმცა სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლებს უგამოცდოდ ვიღებთ. ისინი 100%-ით ფინანსდებიან. გასულ წლებთან შედარებით ასაკობრივი ზღვარი შემცირდა, შუა ხნის ადამიანები სასწავლებლად აღარ გვაკითხავენ. სტუდენტთა კონტინგენტს შეადგენს საზოგადოების ის ნაწილი, ვინც კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტის პროფესია აირჩია. მოდიან ისინიც, ვისაც გადამზადება უნდათ. ასეთები მოკლევადიან კურსებს ირჩევენ. ჩვენს სასწავლებელზე მოთხოვნას განაპირობებს ის, რომ უპირატესობას პრაქტიკას ვანიჭებთ: ყველაფერი კომპიუტერთან ისწავლება. თითო სტუდენტზე თითო კომპიუტერია. თანამედროვედ აღჭურვილ აუდიტორიებში 12-14 მოსწავლე სწავლობს“.

სასწავლებელს 72 პარტნიორი ორგანიზაცია ჰყავს, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გადიან და უმეტესწილად იქვე საქმდებიან. სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი 52%-დან 75%-მდე მერყეობს. სასწავლო პროგრამა დამსაქმებლებთან შეთანხმებით დგება. სწორედ ისინი კარნახობენ პროფესიულ სასწავლებელს იმ კვალიფიკაციას, რომელზეც არის მოთხოვნა შრომის ბაზარზე. პედაგოგები განსაზღვრავენ საჭირო უნარ-ჩვევებს და ადგენენ საგნების ნუსხას, რისი დახმარებითაც შესაძლებელია ამ კვალიფიკაციის მიღება.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საგრძნობლად ამაღლდა მოსწავლეთა კომპიუტერული უნარ-ჩვევები. პროფესიულ სასწავლებელში მოსულებმა უკვე იციან საოფისე პროგრამები და ისიც, თუ კონკრეტულად რისი შესწავლა სურთ, რა სპეციალობის მიღება უნდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში IT განათლების დონემ აიწია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის პროფესიული სწავლების განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის სტანდარტი. ის ითვალსწინებს იმ პედაგოგიურ უნარებს, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებს მოეთხოვებათ. მასწავლებლის სტანდარტის საფუძველზე, მათ ტრენინგები ჩაუტარდებათ საბაზო პედაგოგიურ უნარებში. ტრენინგმოდული პროფესიული სწავლების ექსპერტებთან თანამშრომლობით შემუშავდა.

ევროსაბჭოს ახალი რეკომენდაციები ყველა პედაგოგისთვის

გიორგი ლაცაბიძე

„პესტალოცის პროგრამის“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგები მასწავლებელთა ტრენერებისათვის. ისინი ყველა მასწავლებლისთვის საკვანძო კომპეტენციებს მიეძღვნა. აღნიშნული კომპეტენციები ეფუძნება 1996 წელს ჟაკ დელორის მიერ შემუშავებულ XXI საუკუნის განათლების მოდელს, რომელშიც 3 კომპონენტი გამოიყოფა:

1. აფექტური და მორალური სფერო (დამოკიდებულებები და მიდრეკილებები): **ვისწავლოთ, შევცვალოთ;**
2. კოგნიტური სფერო (ცოდნა და გაგება): **ვისწავლოთ, რომ ვიცოდეთ;**
3. პრაგმატული სფერო (უნარები და პროცესები): **ვისწავლოთ, რომ გავაკეთოთ.**

ეს მოდელი გვთავაზობს კომპეტენციების ახლებურ ხედვას, მიზნების განხორციელებების გზებსა და საშუალებებს. სამივე კომპონენტის კრიტერიუმები მოიცავს მასწავლებლის, როგორც ინდივიდუალური, ისე პროფესიული როლის შესრულების შესაძლებლობებს.

კომპონენტების ჩამონათვალი

ვისწავლოთ, რომ შევცვალოთ	ვისწავლოთ, რომ ვიცოდეთ	ვისწავლოთ, რომ გავაკეთოთ
ღირებულებები, დამოკიდებულებები, ვალდებულებები და მიდრეკილებები	ცოდნა და გაგება	უნარები და პროცესები
„ვიცი ჰუმანური მიდგომები და ვაცნობიერებ განათლების როლს უკეთეს გარემოში ადამიანის ცხოვრებისათვის. სრულვყოფ ცოდნას უკეთესი განათლებისთვის“.	„დემოკრატისაა და პროფესიული განვითარებისათვის ვაცნობიერებ უწყვეტი სწავლის, ტრენინგებისა და განათლების მიღების აუცილებლობას“.	„შემიძლია დავეხმარო მოსწავლეებს ცოდნის მიღებაში, რაც მათ საშუალებას მისცემს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ თანამედროვე საზოგადოებაში“.

ევროსაბჭოს ახალი რეკომენდაციების მიხედვით, სკოლებს, უბრალოდ, ცოდნის გადაცემის მისია კი არ აკისრიათ, არამედ ისინი დემოკრატიული ღირებულებების გადაცემის ადგილებს წარმოადგენენ საზოგადოების განვითარების მხარდასაჭერად. მასწავლებლები, რომლებსაც მოზარდებთან ყოველდღიური და ხანგრძლივი ურთიერთობა აქვთ, მომავალ თაობას აყალიბებენ. მათთვის ძირითადი ადამიანური ღირსებები საყოველთაოა და უცვლელი, ამიტომაც, სკოლის ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი და სწავლების სტილი უცვლელად გადაეცემა თაობიდან თაობას.

სამყარო, სადაც მომავალი თაობა ცხოვრობს და ვითარდება, მუდმივ ცვლილებას განიცდის. ბუნებრივია, სკოლის კულტურა და საგანმანათლებლო მეთოდების ასპექტებიც შესაბამისად უნდა იცვლებოდეს, ვითარდებოდეს და იხვეწებოდეს. ახალგაზრდობა უნდა ფლობდეს ცოდნას ახალი კონტექსტების (**საზოგადოებებზე დაფუძნებული ცოდნა**) და საკვანძო ინტერესების (**ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები**) შესახებ. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს კომუნიკაციას, ინტერკულტურულობას, თანასწორუფლებიანობას, მულტიპერსპექტიულობას და „ახალ წიგნიერებას" (იგულისხმება ვებ 2.0-ის ლიტერატურა და სწავლებისათვის ახალი მედიის გამოყენების შესაძლებლობები).

სწავლების პროცესში თითოეულ მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს პასუხისმგებლობის გრძნობა. ის უნდა დაეუფლოს სხვადასხვა უნარ-ჩვევას, მუდმივად უნდა იღებდეს გამოცდილებას და ბოლოს, პასუხისმგებლიანი მოქალაქე უნდა გახდეს. ეს მასწავლებლებისგან სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც მოსწავლეებს საკუთარი თავის მართვისა და თანაცხოვრების უნარ-ჩვევებს განუვითარებს. თანამშრომლობა სოციალური ერთობის მნიშვნელოვანი კომპონენტია: ის ადამიანებს შორის კავშირს ამყარებს. მასწავლებელს შეუძლია სასწავლო პროცესში მოსწავლეების ჩართვით ხელი შეუწყოს მათი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. თანამშრომლობის გაძლიერება უზრუნველყოფს „პიროვნულ ზრდასა და გარდაქმნას, ის ხელს უწყობს ტოლერანტობასა და პატივისცემას სხვების მიმართ" („ინტერკულტურული დიალოგის შესახებ", 2007, ევროსაბჭო). მოზარდებში თანამშრომლობის უნარის განვითარება დემოკრატიულ პროცესებში მათი აქტიური მონაწილეობის წინაპირობას ქმნის.

> ევროსაბჭოს ახალი რეკომენდაციების მიხედვით, სკოლებს, უბრალოდ, ცოდნის გადაცემის მისია კი არ აკისრიათ, არამედ ისინი დემოკრატიული ღირებულებების გადაცემის ადგილებს წარმოადგენენ საზოგადოების განვითარების მხარდასაჭერად. მასწავლებლები, რომლებსაც მოზარდებთან ყოველდღიური და ხანგრძლივი ურთიერთობა აქვთ, მომავალ თაობას აყალიბებენ.

სკოლა ზოგჯერ ისეთ დაწესებულებას წარმოადგენს, სადაც მასწავლებლები დოგმატურად ადგენენ და ახორციელებენ სასწავლო პროგრამას. მდგრადი განვითარების დემოკრატიული საზოგადოებების სწავლების გაგება უნდა შეიცავდეს სწავლების უფრო ფართო პერსპექტივას და მასწავლებლებმა უნდა შეიმუშაონ „სკოლების, როგორც დემოკრატიული გარემოს" ხედვა (დიუი, 1916). მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა მისცენ შესაძლებლობა, განივითარონ საკუთარი სამოქალაქო დამოკიდებულებები და ქცევა სასკოლო ან საზოგადოებრივ პროექტებში მონაწილეობის გზით. მათ უნდა შეძლონ გამოიყენონ ის, რაც ისწავლეს და გამოავლინონ შემეცნებითი და სოციალური უნარები პრაქტიკულ საქმიანობაში, აქტიურად ჩაებან ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე ჩატარებულ სამოქალაქო პროექტებში.

სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა მსოფლმხედველობის ახალგაზრდების ურთიერთგაგებას. მათ უნდა იცოდნენ საკუთარი ისტორია, ერთმანეთის ისტორია და ისიც, თუ როგორ უკავშირდება ისინი ერთმანეთს. ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვაგვარი წყაროების, აღმოჩენების, ანალიზისა და ინფორმაციის გამოყენებას, ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების შესაძლებლობის განვითარებისათვის – იმისათვის, რომ მათ გააანალიზონ სახელმწიფო პოლიტიკა და თანამედროვე საკითხები რაციონალური მტკიცებულებების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც სკოლაში, ასევე მის გარეთ არსებული მრავალი სოციალური პრობლემა დაკავშირებულია მრავალფეროვნების საკითხებთან, ინტერკულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბება დიდწილად არის დამოკიდებული სკოლის სასწავლო გეგმის ძირითად კომპონენტებზე. მასწავლებლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამ საქმეში. თითოეულ მასწავლებელს ბევრი რამის განხორციელება შეუძლია თავის პრაქტიკაში, რითიც დაეხმარება მოსწავლეებს სხვადასხვა კომპეტენციის განვითარებაში.

მასწავლებლის როლი ასევე მნიშვნელოვანია დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობაშიც. თუმცა სკოლის სივრცეში დემოკრატიის მხარდაჭერა და ხელშეწყობა მეტად რთული ამოცანაა. ამის მისაღწევად მასწავლებლები კარგად უნდა იყვნენ გარკვეულნი ამ სფეროში და შესაბამის ცოდნას, უნარებს უნდა ფლობდნენ.

გთავაზობთ აფექტური და მორალური სფეროს (დამოკიდებულებები და მიდრეკილებები) კრიტერიუმებს. გაჩვენებთ იმას, თუ რა ღირებულებები და დამოკიდებულებები უნდა ჰქონდეს მასწავლებელს იმისათვის, რომ მოახერხოს მოსწავლესთან ერთად ამ ეპოქის გამოწვევების წარმატებით დაძლევა.

ვისწავლოთ, რომ შევცვალოთ

- ვაღიარებ კომუნიკაციის უნარ-ჩვევებისა და სწავლების საკუთარი მეთოდების შემუშავების მნიშვნელობას;
- მჯერა, რომ ადამიანთა უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა არის თანაცხოვრების უნივერსალური კომპონენტი;
- დარწმუნებული ვარ, რომ დემოკრატიული ღირებულებების გაზიარებას შეუძლია გავლენა მოახდინოს ხალხის დამოკიდებულებებსა და ქცევებზე;
- დარწმუნებული ვარ, რომ სწავლისა და სწავლების პროცესები უნდა იყოს ხარისხიანი და განსხვავებული;
- მსურს, ხელი შევუწყო მოსწავლის კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას და საშუალება მივცე მას, პასუხისმგებლობა აიღოს სწავლის პროცესში;
- ვაცნობიერებ მონაწილეობითი და განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობას (თვითშეფასება, თანატოლების შეფასება, თვითგამოვლენა და ჯგუფური მოხსენებები);
- მსურს, განსხვავებული როლი ვითამაშო (კულტურული მედიატორის, კონსულტანტის, ფასილიტატორის, ადამიანთა უფლებების დამცველის, საზოგადოების აქტიური წევრის და ა.შ) და ვასწავლო მოსწავლეებს წარმატებული, ეფექტიანი თანამშრომლობა;
- ვაცნობიერებ ინტერნეტის გავლენას მოზარდი თაობის შემეცნებით გამოცდილებაზე, აგრეთვე სწავლის იმ შედეგებს, რაც განაპირობა მისმა სწრაფმა განვითარებამ;

> „სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა მსოფლმხედველობის ახალგაზრდების ურთიერთგაგებას. მათ უნდა იცოდნენ საკუთარი ისტორია, ერთმანეთის ისტორია და ისიც, თუ როგორ უკავშირდება ისინი ერთმანეთს.“

- ვაფასებ ფორმალურ და არაფორმალურ სწავლებას;
- მსურს, ძალისხმევა არ დავიშურო და მივიღო კმაყოფილება;
- ვაცნობიერებ ჩემი ქცევის, მეტყველებისა და ჟესტიკულაციის მნიშვნელობას და ვიცი, რომ ისინი გადმოსცემენ ჩემს ღირებულებებს;
- დარწმუნებული ვარ ჩემს ღირებულებებში და შემიძლია ხელი შევუწყო მოსწავლეებში მათ ჩამოყალიბებას სწავლების დროს;
- მსურს, შევაფასო პრობლემა, დაბრკოლება და ვისწავლო ამ პროცესში;
- მჯერა, რომ თანამშრომლობა მთავარ როლს თამაშობს სოციალურ ჩართულობასა და პიროვნებისადმი პატივისცემაში;
- დარწმუნებული ვარ, რომ საჭიროა, მოსწავლეს მივცეთ გარკვეული უფლებები და თანახმა ვარ, მე, როგორც მასწავლებელმა, უარი ვთქვა ჩემს ზოგიერთ უფლებაზე კლასში;
- მსურს, მივიღო კრიტიკული შენიშვნები კოლეგებისგან, მოსწავლეებისგან და ადმინისტრაციისგან;
- ვაცნობიერებ თანამშრომლობის მნიშვნელობას გუნდური მუშაობის, ჯგუფური მუშაობის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მოსწავლეებსა და მშობლებთან ერთობლივი ინიციატივების, ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პროექტების საშუალებით;
- ხელს ვუწყობ და ვიცავ ეთიკურ დამოკიდებულებებს ერთობლივ მუშაობაში;
- მსურს, ჩემი წვლილი შევიტანო ცრუ შეხედულებებისა და სტერეოტიპების თავიდან ასაცილებლად ერთობლივი მუშაობის დროს;
- ვაცნობიერებ ჩემს მსოფლმხედველობას და ზოგიერთ ასპექტს ვაყენებ კითხვის ნიშნის ქვეშ;
- თანახმა ვარ, დავინახო საგნები სხვადასხვა პერსპექტივიდან;
- კომფორტულად ვგრძნობ თავს დისკუსიის დროს, ისეთ საკითხებზე მსჯელობისას, რომლებზეც განსხვავებული აზრი მაქვს;
- ვაღიარებ მრავალფეროვნებას, როგორც პოზიტიურ ღირებულებას;
- ვაცნობიერებ საზოგადოებაში სოციალური ჩართვის დაბრკოლებებსა და საფრთხეებს, როცა მოქალაქეები არ არიან ინფორმირებულნი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მიღონ მრავალფეროვნება;
- ვიმუშავებ განსხვავებების მიმართ ინტერესსა და ემპათიას;
- ვაღიარებ რისკების არსებობას სპეციფიკური და საკამათო საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით;
- ვაცნობიერებ იმ რისკს, რასაც მედია წარმოადგენს ახალგაზრდობისთვის (მაგ.: ძალადობის, რასიზმის, სიძულვილის პროპაგანდა, პორნოგრაფია, დაფარული რეკლამები, მანიპულაცია);
- მზად ვარ, მოლაპარაკებები ვაწარმოო სკოლის გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით და ვაცნობიერებ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც დგას კლასისა და სკოლის წინაშე.

სერტიფიცირება – საფრანგეთის გამოცდილება

თეა შავერდაშვილი

საქართველოში, დღეს, მასწავლებელთა სერტიფიცირება აქტუალური თემაა. გადავწყვიტეთ, გაგაცნოთ სხვა ქვეყნების გამოცდილება, კერძოდ, საფრანგეთის განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატია განათლების სისტემის წარმომადგენლების შეფასების შესახებ. მხოლოდ საქართველოში მოღვაწე მასწავლებლები არ გადიან სერტიფიცირების გზას, რაც, ჩვენი აზრით, აუცილებლად გასავლელი, საინტერესო გზაა. ის მასწავლებლების მოტივაციას ამაღლებს და მათ პროფესიულ გამოცდილებას ზრდის.

როგორ ფასდებიან საფრანგეთის განათლების სისტემის წარმომადგენლები?

შეფასება ერთნაირად ეხება ყველა იმ ადამიანს, რომელიც ქმნის განათლების სისტემას: მოსწავლეებს, მასწავლებლებს და ასევე სხვა თანამშრომლებს.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა შეფასება

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები (აღმზრდელები და სკოლის მასწავლებლები) მოწმდებიან და ფასდებიან რეგულარულად.

მასწავლებლების შეფასების საბოლოო ქულებს ადგენს აკადემიის ინსპექტორი, საფრანგეთის განათლების სისტემის ინსპექტორების მიერ საგაკვეთილო პროცესის შემოწმების შედეგად გამოტანილი დასკვნების საფუძველზე.

ნიშანი იწერება გაკვეთილებზე ინსპექტორის დასწრებისას, მასწავლებლის მუშაობაზე დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნის შესაბამისად.

გაკვეთილზე დასწრების შემდეგ ხდება გასაუბრება მასწავლებელთან, რის შემდეგაც ყალიბდება საბოლოო დასკვნა, რომელიც გავლენას ახდენს მასწავლებლის შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე.

საშუალო საფეხურის მასწავლებელთა შეფასება

საშუალო საფეხურის მასწავლებლები არიან კოლეჯისა და ლიცეუმის პედაგოგები, რომელთა საბოლოო შეფასება ეფუძნება ორმაგ რეიტინგს – პედაგოგიურსა და ადმინისტრაციულს.

ადმინისტრაციული შეფასების გადასალახ ზღვარს წარმოადგენს დადგენილი ქულის 40%. საბოლოო გადაწყვეტილებას მასწავლებლის შეფასების შესახებ იღებენ სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

რაც შეეხება პედაგოგიურ შეფასებას, მასზე პასუხისმგებელნი არიან განათლების სისტემის ინსპექტორები პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებში და ასევე, განათლების სისტემის რეგიონული ინსპექტორები.

პედაგოგიური შეფასების გადასალახ ზღვარს წარმოადგენს დადგენილი ქულის 60%. აღნიშნულ შეფასებებს ითვალისწინებენ მასწავლებლის პროფესიული წინსვლის პროცესში.

სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი პირების შეფასება

დირექციის წარმომადგენლების მუშაობის შედეგებიც პერიოდულად ფასდება, თუმცა, ამ შემთხვევაში, ქულა არ იწერება. მათი შეფასების პასუხისმგებლობა ეკისრება აკადემიის რექტორს.

საბოლოო დასკვნა მიიღება სასწავლო დაწესებულების დათვალიერების, დირექციის

> „სერტიფიცირებული მასწავლებლის ანაზღაურების ზრდა დამოკიდებულია მისი პროფესიული განვითარების ხარისხსა და შეფასებების შედეგად მიღებულ ქულებზე.“

> „მასწავლებლის პროფესია არ გულისხმობს უცვლელი მეთოდებით სწავლებას მთელი ცხოვრების მანძილზე. მას საგანმანათლებლო უნარების გამოვლენა შეუძლია არა მარტო კლასში მუშაობისას, არამედ პედაგოგიური და საგანმანათლებლო ნაშრომებისა თუ სხვა მასალების მომზადების დროსაც.“

საქმიანობასთან დაკავშირებული მოხსენებითი წერილისა და პირადი გასაუბრების საფუძველზე.

განათლების სისტემის ინსპექტორების შეფასება

თავად განათლების სისტემის ინსპექტორებიც რეგულარულად კონტროლდებიან და ფასდებიან. მათი საბოლოო შეფასება განისაზღვრება მათი მოღვაწეობის 3-დან 5 წლამდე პერიოდში დასახული მიზნებისა და მიღებული შედეგების შესაბამისად.

აღნიშნული შეფასების შესახებ საბოლოო დასკვნას უმაღლესი ხელმძღვანელობა იღებს, ყოველწლიური მოხსენებებისა და პირადი გასაუბრების საფუძველზე.

სერტიფიცირებული მასწავლებელი

სერტიფიცირებული მასწავლებლები არიან საშუალო საფეხურის მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან სახელმწიფო კოლეჯებსა და ლიცეუმებში.

ისინი მონაწილეობენ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში (ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლეებთან, მათი შეფასება, დახმარება ორიენტაციის საკითხებში, რაც გულისხმობს მათთვის რჩევების მიცემას სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით).

სერტიფიცირებული მასწავლებლების შესარჩევი კონკურსები

სერტიფიცირებული მასწავლებლების შესარჩევ კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად არსებობს სასერტიფიკაციო მოსამზადებელი კურსები. სერტიფიკატი ორგვარია:

ა) პედაგოგიური განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი საშუალო საფეხურზე ზოგადი საგნების სწავლებისათვის;
ბ) პედაგოგიური განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი ტექნიკური განათლების მიმართულებით, ტექნიკური საგნების სწავლებისათვის.

პროფესიული წინსვლა და ანაზღაურება

კონკურსში წარმატების მიღწევის შემთხვევაში, კანდიდატი ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უნივერსიტეტის სტაჟიორი. პროფესიული განათლების მიღებასთან ერთად, ის სტაჟირებას გადის სასწავლო დაწესებულებაში (4-6 საათი კვირაში). აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ კანდიდატი აბარებს პროფესიულ საკვალიფიკაციო გამოცდას და მას შესაბამისი წოდება ენიჭება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უნივერსიტეტში სწავლის პირველ ეტაპზე სტაჟიორი ემზადება წოდების მოსაპოვებლად და მუშაობს საკუთარი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაზე.

სერტიფიცირებული მასწავლებლის ანაზღაურების ზრდა დამოკიდებულია მისი პროფესიული განვითარების ხარისხსა და შეფასებების შედეგად მიღებულ ქულებზე. მასწავლებლის პროფესია არ გულისხმობს უცვლელი მეთოდებით სწავლებას მთელი ცხოვრების მანძილზე. მას საგანმანათლებლო უნარების გამოვლენა შეუძლია არა მარტო კლასში მუშაობისას, არამედ პედაგოგიური და საგანმანათლებლო ნაშრომებისა თუ სხვა მასალების მომზადების დროსაც. ის მთელი პროფესიული ცხოვრების მანძილზე უნდა აქტიურობდეს საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების დასახვეწად.

იმ მასწავლებლებს, ვისაც ამის სურვილი აქვთ, პროფესიული განვითარება აძლევს წინსვლისა და თანამდებობის შეცვლის შესაძლებლობას. მათ შეუძლიათ გახდნენ სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელები, მეთოდისტები, მაძიებლები საზღვარგარეთ. ამასთან ერთად, ის კონკურსები, რომლებიც მასწავლებლებისთვის ტარდება, მათ ასევე აძლევს წინსვლის შესაძლებლობას. და ბოლოს, მონდომება, საქმის სიყვარული და თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესებში ჩართულობა მასწავლებლებს დიდად ეხმარება პროფესიული განვითარების გზაზე.

რონიკო ® Roniko

ექსკლუზიური პროექტი ყველა პედაგოგისთვის

ოპტიკური კომპანია "რონიკო" გთავაზობთ:

® 20% - იან ფასდაკლებას

მზის სათვალეებსა და ოპტიკური ჩარჩოებზე.
(150 ლარამდე ღირებულების პროდუქციაზე)

® 50% –იან ფასდაკლებას

მხედველობის დიაგნოსტიკაზე
მაღალტექნოლოგიური აპარატურით.

წარადგინეთ პედაგოგის დამადასტურებელი მოწმობა და ისარგებლეთ სპეციალურად თქვენთვის შექმნილი შეღავათებით

ფასდაკლებით სარგებლობა შეგიძლიათ 2011 წლის 31 დეკემბრამდე !

რონიკო ® Roniko

ჭავჭავაძის გამზ .№ 50	47 51 62
რუსთაველის გამზ №46	99 96 22
რუსთაველის გამზ №19	99 61 00
61აღმაშენებლის გამზ №107	95 04 72
თამარ მეფის გამზ №14	96 03 63
ვაჟა-ფშაველას გამზ №20	39 93 64
პეკინის გამზ № 25	38 46 05
პეკინის გამზ .№ 13	36 33 67
ვ. ვეკუას ქ №3 (GTC)	93 89 35
ცაბაძის ქ №8	34 79 78
მარჯანიშვილის №16	91 07 55
ვაგზლის მოედანი2 „თბილის ცენტრალი“	10 25 42
ბათუმი კ.გამსახურდიას 41	8 (422) 7 04 61

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით
ტელ: 93 46 89
პროექტის კოორდინატორი:
ეკატერინე ყიფიანი
მობ: +995 99 70 34 61

შენიშვნა! ფასდაკლება არ ვრცელდება კონტაქტურ ლინზებზე, აქსესუარებზე და 150 ლარის ზევით ღირებულების პროდუქციაზე !

www.blog.roniko.ge

გათავისუფლდი

- მაღალი ტარიფებისგან
- დაფარული ხარჯებისგან
- დაბალი ხარისხისგან
- შეზღუდვებისგან
- ეთთფეროვნებისგან

გა1ანდი

ჯეოსელში შენივე ნომრით

ჯეოსელი

www.geocell.ge

7777 822770177

ერთხელ, ჟან-პოლ სარტრი სენის სანაპიროზე სეირნობისას, ბუკინისტური წიგნების მაღაზიასთან შეჩერდა და შესვლა დააპირა. აქ ის თავის მეგობარს შეხვდა.

– გგონია რაიმე საინტერესო წიგნს ნახავ? – უთხრა მეგობარმა. უკვე დიდი ხანია ამ მაღაზიაში შესაძენი არაფერია.

– მართალი ხარ, მაგრამ, ყველაზე საინტერესო არის ის, როდესაც ეძებ, და არა ის, როცა პოულობ – უპასუხა სარტრმა.